თამაზ გოგიჩაიშვილი

იურიდიული ფსიქოლოგიის საკითხები

თბილისი
1994

343.95
ბ-59

თამაზ გოგიჩაიშვილი

იურიდიული ფსიქოლოგიის საკითხები

ქუთაისი
1994

24/I-95

ნაშრომში წარმოდგენილია იურიდიული ფსიქოლოგიის ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა: კრიმინალური ფსიქოლოგია, გამომძიებლის ფსიქოლოგია, დაკითხვის ფსიქოლოგია, ჩხრეკის ფსიქოლოგია, ამოცნობის ფსიქოლოგია, დაპირისპირების ფსიქოლოგია, დათვალიერების ფსიქოლოგია, სასამართლო ფსიქოლოგიური ექსპერტიზა, არასრულწლოვან დამნაშავეთა ფსიქოლოგიური თავისებურებანი და შრომა-გასწორების ფსიქოლოგია.

წიგნი განკუთვნილია იურიდიული და ფსიქოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის და მკითხველთა ფართო წრისათვის.

ნაშრომის ბოლოში მითითებულია მდიდარი სპეციალური ლიტერატურა, რომელიც საკითხების უფრო ღრმად შესწავლის შესაძლებლობას იძლევა.

რედაქტორი: პროფ. ზაინდურაშვილი

რეცენზენტი: დოც. ი.ფიფიაშვილი

Activate Windows

ურიდიული ფსიქოლოგიის საგანი. იურიდიული ფსიქოლოგია სწავლობს
ართლებრივი რეგულირების სფეროში არსებულ პიროვნების სპეციფიკურ
ქოლოგიურ კანონზომიერებებს. იურიდიული ფსიქოლოგია იკვლევს
რთმსაჯულების გამოყენებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური მოვლე-
ის მექანიზმებსა და კანონზომიერებებს. ეს კანონზომერებებია: ა)
როვნების ისეთი თვისებების ჩამოყალიბება, რომლებიც საფუძვლად
ება კანონსაწინააღმდეგო ქცევებს; ბ) დანაშაულებრივი ქცევის პრო-
ში წარმოქმნილი პიროვნების ფსიქიკური თვისებების დინამიკა; გ)
ართალწარმოების პროცესში წარმოქმნილი ფსიქოლოგიური სიტუაციების
სწავლა; დ) დამნაშავის პიროვნული თვისებების შეცვლა ხელახალი
ზრდისა და თვითაღზრდის შედეგად; ე) პროფილაქტიკური ღონისძიებე-
ა გატარების დროს აღმოცენებული ფსიქოლოგიური სიტუაციების შეს-
ვლა; ვ) არასრულწლოვან დამნაშავეთა ასაკობრივი თავისებურებებანი
ასოციალური ქცევის ფსიქოლოგიური მიზეზები; ზ) დამნაშავის ფსი-
ის კორექციისა და რეაბილიტაციის პრობლემები.

ამრიგად იურიდიული ფსიქოლოგია არის მეცნიერება კანონსაწინა-
მდეგო ქცევებში, პროცესუალურ ქმედებაში და სასჯელის რეალიზაციის
ოცესში გამოვლენილი და განვითარებული ფსიქოლოგიური კანონზომიე-
ბების შესახებ. იგი მოიცავს ფსიქიკურ მოვლენათა განსაკუთრებულ
ჭყაროს. ესაა მართლმსაჯულების პროცესში ჩართული პიროვნების ფსი-
ის თავისებურებანი და კანონზომიერებანი.

იურიდიული ფსიქოლოგია დამოუკიდებელი ფსიქოლოგიური დისციპლი-
ა, რომელიც ვითარდება ზოგადფსიქოლოგიური თეორიისა და მეთოდოლო-
ის საფუძველზე. იურიდიული ფსიქოლოგიის ბაზისია ფსიქოლოგია და
რისპრუდენცია, რომელიც სწავლობს სახელმწიფოსა და სამართლის აღ-
ენების, განვითარებისა და ფუნქციონირების ობიექტურ კანონზომიე-
ბებს. ამის გამო იურიდიული ფსიქოლოგია მჭიდროდაა დაკავშირებული
ქოლოგიური და იურიდიული მეცნიერების სისტემასთან. იგი მეტ-ნაკ-
ად მჭიდრო ურთიერთკავშირშია ფსიქოლოგიისა და იურისპრუდენციის
ულა დარგთან.

იურიდიული ფსიქოლოგიის თეორიული საფუძველია ზოგადი ფსიქოლო-
ა. იურიდიული ფსიქოლოგია იყენებს ზოგადი ფსიქოლოგიის ცნებით და
ეგორიულ აპარატს და ცოდნის სისტემას პიროვნების ფსიქიკური
ივრების ზოგადი კანონზომიერებების შესახებ.

სოციალური ფსიქოლოგია სწავლობს სხვადასხვა სოციალური ჯგუფე-
ბისა და კოლექტივების ფსიქიკურ გამოვლინებებს. ესაა საზოგადოებრი-
ვი აზრი, განწყობიღება, კავშირები, დიდერობა, შეთავსებადობა და
მრავალი სხვა. ამ მოვლენების შესწავლა ხელს უწყობს საზოგადოებრივი
და ინდივიდუალური სამართალცნობიერების უფრო ღრმა ანალიზსა და გა-
აზრებას, ჯგუფური დანაშაულის სპეციფიკას და ა.შ.

პედაგოგიური ფსიქოლოგია იკვლევს სწავლებისა და აღზრდის ფსი-
ქოლოგიურ სტრუქტურას და ამდიდრებს იურიდიულ ფსიქოლოგიას ძნელადაღ-
საზრდელობის, ხელახალი აღზრდისა და თვითაღზრდის ფსიქოლოგიური კა-
ნონზომიერებების ცოდნითა და კვლევის მეთოდებით. განსაკუთრებით დი-
დია პედაგოგიური ფსიქოლოგიის როლი და მნიშვნელობა სტუდენტ-
იურისტთა მომზადების საქმეში.

ასაკობრივი ფსიქოლოგია სწავლობს ადამიანის ფსიქიკური განვ-
თარების ასაკობრივ დინამიკას, პიროვნებისა და ფსიქიკური პროცესე-
ბის განვითარების სპეციფიკას სკოლამდეც, უმცროს სასკოლო, გარდამა-
ვალ, ჭაბუკობის, მოწიფულობისა და მოხუცებულობის ასაკში. იურიდიული
ფსიქოლოგია იყენებს ასაკობრივი ფსიქოლოგიის მონაცემებს ეჭვმიტანი-
ლისადმი, დამნაშავისადმი, მოწმისადმი, დაზარალებულისადმი და ა.შ.
დიფერენცირებულად და ინდივიდუალურად მიდგომის საქმეში. იურიდიული
ფსიქოლოგია ითვალისწინებს აგრეთვე ასაკობრივი ფსიქოლოგიის მონაცე-
მებს აქსელერაციის შესახებ იურიდიული პასუხისმგებლობის მინიმალური
ასაკის განსაზღვრისა და დადგენის საქმეში.

სამედიცინო ფსიქოლოგია სწავლობს ექიმისა და ავადმყოფის ფაქტ
ფსიქოლოგიურ ურთიერთობას, ფსიქოთერაპიის, ფსიქოჰიგიენისა და ფსი-
ქოპათოლოგიის პრობლემებს. იგი ამდიდრებს იურიდიულ ფსიქოლოგიას
ისეთი საკითხების დამუშავებით, როგორიცაა ეჭვმიტანილთა და დამნა-
შავეთა ფსიქოლოგიური გადახრები, მათი ქცევის თავისებურებები და
კორექციის მეთოდები.

შრომის ფსიქოლოგია სწავლობს შრომითი ქცევის ფსიქოლოგიურ სა-
კითხებს, განსაზღვრული პროფესიისადმი პიროვნების ფსიქო-ფიზიკურ
ვარგისიანობას, პროფორიენტაციის, პროფშერჩევისა და შრომის მეცნიე-
რული ორგანიზაციის პრობლემებს. საინჟინრო ფსიქოლოგია სწავლობს
შრომის პროცესში ადამიანისა და მანქანის ფსიქო-ფიზიოლოგიურ ურთი-
ერთკავშირს. იურიდიული ფსიქოლოგია ფართოდ იყენებს ამ მიმართულებით
დაგროვილ ცოდნას იურისტთა პროფესიული შერჩევის მიზნით და იურიდიუ-
ლი შრომის სპეციფიკის დასადგენად. იურისტს აუცილებლად სჭირდება
შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგიის მონაცემების ცოდნა არასწორი

Activate Windows

პროფესიული შერჩევის შედეგად ჩადენილი დანაშაულის გამოძიების პროცესში.

სამხედრო ფსიქოლოგია სწავლობს ადამიანის ფსიქიკის თავისებურებებს ომისა და ომისადმი მიახლოებულ ექსტრემალურ სიტუაციებში, რომელიც მოითხოვს სწრაფ რეაქციებსა და გადაწყვეტილებების მიღებას უმაღლესი რისკისა და პასუხისმგებლობის პირობებში. იურიდიული ფსიქოლოგია ფართოდ იყენებს ამ მონაცემებს ექსტრემალურ პირობებში ჩადენილი დანაშაულის გამოსაძიებლად.

იურიდიული ფსიქოლოგია მჭიდროდაა დაკავშირებული აგრეთვე სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიასთან, რომელიც არის მეცნიერული მოძღვრება სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის, განვითარებისა და ფუნქციონირების შესახებ. აქ შემოდის ისეთი საკითხების შესწავლა, როგორიცაა სამართლებრივი ცნობიერების პრობლემები, სამართლებრივი სისტემის მოქმედების მექანიზმები, პიროვნების სამართლებრივი სოციალიზაცია, იურიდიული პასუხისმგებლობის და ანტისაზოგადოებრივი ქცევის მექანიზმები.

იურიდიული ფსიქოლოგია დაკავშირებულია სამოქალაქო სამართალთან, სახელმწიფოსა და სამრთლის ზოგად ისტორიასთან, კრიმინალისტიკასთან, ადმინისტრაციული, საფინანსო, შრომისა და ეკოლოგიურ სამართალთან, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პროცესთან. სისხლის სამართლის ისეთი პრობლემები, როგორიცაა დანაშაულის სუბიექტური მხარე, სუბიექტი, დანაშაულის მოტივაცია, შერაცხადობა და ბრალი, დანაშაულის ჩადენა ძლიერი სულიერი მღელვარების დროს, თანამშრომლობა და რიგების განაწილება ჯგუფურ დანაშაულში იურიდიული ფსიქოლოგიის მონაცემების გათვალისწინების გარეშე ვერ გადაწყდება.

იურიდიული ფსიქოლოგია იყოფა ორ ნაწილად - ზოგად და განსაკუთრებულ ნაწილად. ზოგადი ნაწილი სწავლობს იურიდიული ფსიქოლოგიის ძირითად დებულებებს, ხოლო განსაკუთრებული ნაწილი კი - ამ თეორიული დებულებების პრაქტიკულ გამოყენებას მართლმსაჯულების აღსრულების ყველა სტადიაზე.

ზოგად ნაწილში შედის იურიდიული ფსიქოლოგიის საგნის, მეთოდებისა და ამოცანების განხილვა, იურიდიული ფსიქოლოგიის როლის განსაზღვრა ფსიქოლოგიურ და იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში. აქ შემოდის აგრეთვე იურიდიული ფსიქოლოგიის ისტორია და მისი განვითარების თანამედროვე მდგომარეობა. აქ შემოდის აგრეთვე სამართალცნობიერება, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმა. ზოგადი

ნაწილი მოიცავს გამომძიებლის, პროკურორის, ადვოკატის და მოსამართლის ფსიქოლოგიას, მათი პიროვნების, აზროვნების, ნებისყოფის, გრძნობებისა და ემოციების თავისებურებებს, საგამომძიებლო და სასამართლო ტაქტიკის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს.

იურიდიული ფსიქოლოგიის განსაკუთრებული ნაწილი იხილავს მტკიცების ფსიქოლოგიას, ცალკეულ პროცესუალურ მხარეთა ფსიქოლოგიას, მოწმისა და ეჭვმიტანილის დაკითხას, საგამომძიებლო ექსპერტიზის ჩატარების საკითხებს, ამოცნობის, დათვალიერების, ჩხრეკის და დაპირისპირების ფსიქოლოგიურ საკითხებს.

იურიდიული ფსიქოლოგიის განსაკუთრებული ნაწილი მოიცავს შემდეგ დისციპლინებს: კრიმინალური ფსიქოლოგია, სასამართლო ფსიქოლოგია და შრომა-გასწორების ფსიქოლოგია.

კრიმინალური ფსიქოლოგია სწავლობს დანაშაულის მომზადებასთან, დანაშაულებრივი განწყობის, განზრახვისა და სტერეოტიპის ფორმირებასთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს. კრიმინალური ფსიქოლოგია იკვლევს დამნაშავის პიროვნებას და აღმზრდელობითი ზემოქმედების პრინციპებს. იგი სწავლობს აგრეთვე დანაშაულებრივი ჯგუფების სტრუქტურას, ამ ჯგუფებში როლებისა და ფუნქციების განაწილებას, დანაშაულებრივი ქცევის მოტივის პრობლემას. კრიმინალური ფსიქოლოგია მჭიდრო კავშირშია სისხლის სამართალთან, კრიმინოლოგიასთან, სოციალურ და ასაკობრივ ფსიქოლოგიასთან.

სასამართლო ფსიქოლოგია სწავლობს სამართლებრივი პროცესის ფსიქოლოგიურ მხარეს, მტკიცების ფსიქოლოგიას, პროცესუალურ ქმედებაში მონაწილე შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების თავისებურებებს. იგი სწავლობს აგრეთვე დანაშაულის პროფილაქტიკის ფსიქოლოგიურ ასპექტებს.

შრომა-გასწორების ფსიქოლოგია სწავლობს დანაშაულის ჩამდენ პირთა ხელახალი აღზრდის, თვითაღზრდისა და რეაბილიტაციის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებს შრომა-გასწორების დაწესებულებებში. აქ შემოდის ისეთი საკითხები, როგორიცაა მსჯავრდებულის ადაპტაცია პირობებისა და რეჟიმისადმი, დამოკიდებულება და შეგუება განაჩენისადმი, მსჯავრდებულთა ჯგუფებსა და კოლექტივებში შესაბამისი მიკროკლიმატის შექმნა და სხვა.

იურიდიული ფსიქოლოგიის მეთოდები. იურიდიული ფსიქოლოგია ფსიქოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი დარგია და იგი იყენებს ფსიქოლოგიის მეთოდებს იურიდიული მეცნიეროების სპეციფიკისა და თავისებურებების გათვალისწინებით. იურიდიული ფსიქოლოგიის მეთოდებია: ექსპერი-

Activate Windows

მენტი, ტესტები, საუბრის მეთოდი, ანკეტის მეთოდი, ინტერვიუ, ბიოგრაფიული მეთოდი.

დაკვირვების მეთოდი. ამ მეთოდის ღირებულება იმაშია, რომ დაკვირვების დროს მკვლევარი არ არღვევს დასაკვირვებელის ქცევის ბუნებრივ მსვლელობას, არ ერევა მის მიმდინარეობაში. დაკვირვების მეთოდით საკვლევლობის დროს საჭიროა მთელი რიგი პირობების დაცვა: წინასწარ უნდა იყოს გარკვეული და დაკონკრეტებული დაკვირვების ინტერესები და მიზანი. უნდა შედგეს დაკვირვების პროგრამა, ხოლო დაკვირვების შედეგები ზუსტად უნდა იქნას ფიქსირებული. დაკვირვების მეთოდი გამოიყენება სასამართლო-გამომძიებით და შრომა-გასწორების სფეროში. იგი ხშირად გამოიყენება აგრეთვე ცალკეული პროცესუალური აქტების დროს. დაკვირვების მეთოდს შრომა-გასწორების პროცესში აქვს ორი მხარე: მეცნიერულ-თეორიული და პრაქტიკული. მეცნიერული მხარე გულისხმობს ისეთი ინფორმაციის შეგროვებასა და რეგისტრაციას, რომელიც აუცილებელია მსჯავრდადებულის პიროვნების შესასწავლად. პრაქტიკული მხარე კი გულისხმობს სააღმზრდელო ღონისძიებების ეფექტურობის დადგენას.

ექსპერიმენტული მეთოდი. იურიდიულ ფსიქოლოგიაში გამოიყენება ექსპერიმენტის ორის სახე: ბუნებრივი და ლაბორატორიული ექსპერიმენტი. ლაბორატორიული ექსპერიმენტი ძირითად ტარდება მეცნიერული კვლევის მიზნით და სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის წარმოების დროს. ამ დროს შეიძლება გამოყენებული იქნას ტექნიკური საშუალებებიც (მრავალარხიანი ოსციოლოგრაფები, ტაქისტოსკოპები და სხვ.). ლაბორატორიული ექსპერიმენტის მეთოდით იკვლევენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა გამომძიებლის პროფესიული თვისებები, მისი აღქმის, ყურადღების და მეხსიერების თავისებურებანი და სხვა.

ბუნებრივი ექსპერიმენტის დროს ცდის პირებმა არ იციან ექსპერიმენტის მიმდინარეობის შესახებ და სიტუაციას აღიქვამენ და განიცდიან როგორც ბუნებრივ მოვლენას. სასამართლო-გამომძიებით პრაქტიკაში ასეთი ექსპერიმენტის გამოყენების სფერო შეძლებულია. იგი გამოიყენება საგამომძიებლო ექსპერიმენტის ჩატარების დროს მოწმეთა და დაზარალებულთა ზოგიერთი ფსიქოლოგიური თვისების შემოწმების მიზნით.

ტესტები. ტესტები გამოიყენება ინტელექტუალური განვითარების დონის, პროფესიული ვარგისიანობისა და სხვადასხვა სახის გამღიზიანებელზე რეაქციის დროის დადგენის მიზნით. ტესტირება გამოიყენება სასამართლო-გამომძიებით პრაქტიკაში, მტკიცებითი ინფორმაციის სიმწირის პირობებში ვერსიების შემუშავების დროს.

ანკეტის მეთოდი. ანკეტის მეთოდი გულისხმობს მოსახლეობის ერთი ნაწილის გამოკითხვას განსაზღვრული ფორმით, რომელიც შეიცავს გამომძიებლისათვის საინტერესო კითხვებს. ამ მეთოდით შეიძლება გამოვიკვლიოთ რომელიმე მასობრივი მოვლენის სასიათი და განვითარების ტენდენცია. იგი ემყარება ანკეტების შევსების ანონიმურობას. ამ მეთოდით მოპოვებული მასალა შემდეგ მუშავდება სტატისტიკურად. იურიდიულ ფსიქოლოგიაში ამ მეთოდით ძირითადად იკვლევენ განსაზღვრული დანაშაულის მიზეზებს.

საუბრის მეთოდი. საუბრის მეთოდი გამოიყენება პიროვნების შესახებ მრავალმხრივი ინფორმაციის მისაღებად მასთან საუბრის გზით. ამ დროს აუცილებელია შეიქმნას საუბრის თავისუფალი, ძაღდაუტანებელი ატმოსფერო. საუბრის მეთოდის საშუალებით ირკვევა დანაშაულის თანამონაწილეთა დამოკიდებულება ამ დანაშაულისადმი და მისი შეფასება. საუბრის დროს მკვლევარი აკვირდება თანამოსაუბრის რეაქციას, მიმიკას, უესტებს და ა.შ.

ინტერვიუ. ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პიროვნებისგან მოვისმინოთ რომელიმე მოვლენის ან შემთხვევის მისეული შეფასება. ინტერვიუს შედეგებს შეიძლება მიეცეს სოციოლოგიური განზოგადებაც. ინტერვიუ ტარდება წინასწარ შედგენილი პროგრამის მკაცრად დაცვით. ინტერვიუს სუბიექტი შეიძლება იყოს ეჭვმიტანილი, მოწმე, დამნაშავე, მსჯავრდებული, გამომძიებელი, მოსამართლე, პროკურორი. მაგალითად, მკვლევარი მოსამართლისაგან ინტერვიუს ჩამორთმევის დროს ეცდება ინფორმაცია მისი მრწამსის, მტკიცებათა შეფასების კრიტერიუმის ან ეჭვმიტანილთან ფსიქოლოგიური კონტაქტების დამყარების ფორმების ან სასამართლო პროცესის ალმზრდელობითი როლის შესახებ.

ბიოგრაფიული მეთოდი. ბიოგრაფიული მეთოდი იძლევა ინფორმაციას ეჭვმიტანილის ან მსჯავრდებულის მრავალი ფსიქოლოგიური თავისებურებების შესახებ. ასეთი ცნობები შეიძლება გაბნეული იყოს სხვადასხვა დოკუმენტებში - წერილებში, დღიურებში, არქივში, დახასიათებებში და ა.შ. ამ მასალის ყოველმხრივი შესწავლა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ როგორ ვითარდებოდა და ყალიბდებოდა მოცემული პიროვნება, რომელმა ცხოვრებისეულმა გარემოებებმა დაასვეს დაღი მის პიროვნებას და ჩამოუყალიბეს ანტისაზოგადოებრივი განწყობები.

Activate Windows

დანაშაულის ფსიქოლოგიური სტრუქტურა. კრიმინალური ფსიქოლოგია სწავლობს დანაშაულის მომზადებისა და ჩადენის, დანაშაულებრივი განწყობის ფორმირებისა და ქცევის, დანაშაულებრივი სტერეოტიპისადმი შეგუების ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს. კრიმინალური ფსიქოლოგია სწავლობს დამნაშავის პიროვნებას და მასზე აღმზრდელობითი ზემოქმედების გატარების გზებსა და საშუალებებს. იგი სწავლობს აგრეთვე დანაშაულებრივი ჯგუფების ჩამოყალიბების ფსიქოლოგიურ ასპექტებსაც.

კრიმინალური ფსიქოლოგია იძლევა დანაშაულთან ბრძოლის პრაქტიკულ რეკომენდაციებსაც. დანაშაულის გამოძიების ამოცანასთან დაკავშირებული კრიმინალური ფსიქოლოგიის ძირითადი მოთხოვნებია:

ა) დამნაშავის პიროვნების ღრმა ფსიქოლოგიური შესწავლა, რაც ხელს უწყობს დანაშაულის შედგენილობის ისეთი ელემენტების სწორად დადგენას, როგორიცაა დანაშაულის სუბიექტი და დანაშაულის სუბიექტური მხარე;

ბ) გამოძიების პროცესში ტაქტიკური ხერხების სწორად შერჩევა. კონკრეტული დამნაშავის პიროვნების ღრმა შესწავლის გარეშე სწორი დასკვნების გაკეთება შეუძლებელია;

გ) დამნაშავის პიროვნებაზე აღმზრდელობითი ზემოქმედება მისი პიროვნული გადახრების კორექციისა და რეაბილიტაციის მიზნით უნდა იწყებოდეს პირველსავე დაკითხვაზე და უნდა ეყრდნობოდეს მოცემული პიროვნების ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებს;

დ) კონკრეტული დანაშაულის მიზეზისა და მოტივის დასადგენად აუცილებელია დამნაშავის პიროვნების ფსიქოლოგიური შესწავლა.

დანაშაული არის აქტი, რომელშიც ვლინდება ფსიქოლოგიურ, სოციალურ და სხვა ფაქტორთა რთული ურთიერთქმედება და ურთიერთდამოკიდებულება. პიროვნების სოციალიზაციის პროცესში ადგილი აქვს გადახრებსა და დეფექტებს, რომელთა მიზეზია საზოგადოებრივი გამოცდილების დამახინჯებული აღქმა, ანტისაზოგადოებრივი განწყობები, პიროვნების ასოციალური მიმართულება. ეს გადახრები ზემოქმედებენ პიროვნების ფსიქოლოგიურ სტრუქტურაზეც, რაც, საბოლოო ანგარიშით კანონსაწინააღმდეგო ქცევებში აისახება და ვლინდება. დანაშაულის სოციალურ-ფსიქოლოგიურ მიზეზად ითვლება პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიურ თვისებათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც წარმოიშვა პირვნების სოციალიზაციის დეფექტების შედეგად და რომელიც შემდგომში საფუძვლად ედება ასოციალურ ქცევას.

პიროვნების სოციალიზაციის ეს დეფექტები განსაზღვრულ პიროვნებებში იწვევენ პიროვნების სოციალურ დეგრადაციას, როდესაც ირღვევა მოთხოვნილებათა სტრუქტურა, სუსტდება და ქრება საზოგადოებრივი ინტერესები და სოციალური ფუნქციის შესრულების ყოველგვარი სურვილი. ამ მოვლენებს მივყევართ პიროვნების ანტისოციალური განწყობების ჩამოყალიბებამდე და განმტკიცებამდე, რაც იმაში გამოიხატება, რომ ასეთი პიროვნება უარყოფითად აღქვამს თავს კონფლიქტურ სიტუაციებში ან ასეთ სიტუაციებს თვითონ ქმნის, რაც შემდგომ გადაიზრდება დანაშაულში.

დანაშაულის ფსიქოლოგიური სტრუქტურის ერთ-ერთი კომპონენტია დანაშაულებრივი ქცევის მოტივი და მიზანი. ნებისმიერი ქცევის მთავარი და ძირითადი საფუძველი მოტივია. მოტივი არის ქცევაში პიროვნების მოთხოვნილებებისა და ინტერესების ასახვა. მოტივს ერთ-ერთი ვნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დანაშაულებრივ ქცევაშიც. დანაშაულებრივი ქცევის მომზადების საქმეში მოტივი ღებულობს აღმძრველის ფუნქციას, რომელიც დასახული მიზნის მიასაღწევად გარდაიქმნება პიროვნების ნებელობით ენერგიად. მოტივი ყალიბდება არაერთგვაროვნად. მოქმედებისაკენ აღძრა ხდება ბნეობრივი, ანგარებითი, აგრესიული, თავდაცვითი და ა.შ. პარამეტრების საფუძველზე. დანაშაულებრივი ქცევის მოტივის არჩევის დროს ხდება შეფასება პიროვნული და საზოგადოებრივი პოზიციებიდან და მოტივთა ბრძოლაში იმარჯვებს პიროვნების უფრო ღირებულებითი და ძლიერი მოტივები.

კანონსაწინააღმდეგო ქცევის მოტივის არჩევა არის დანაშაულებრივი ქცევის საფუძველი. დანაშაულებრივი ქცევის მოტივის მიღება ხდება ჩვეულებრივ და ექსტრემალურ სიტუაციებში. მაგალითად, ისეთი დანაშაული, როგორიცაა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაუცება თანამდებობის ბოროტად გამოყენების გზით გამოიწვიოს ექსტრემალური სიტუაცია, რომელიც მოითხოვს უკიდურეს ფსიქიკურ დაძაბულობასა და აღელვებას. ასეთი დანაშაულებრივი ქცევა ხორციელდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში მშვიდ სიტუაციაში და წყნარი, დასაბუთებული, მოფიქრებული გათვლისა და გაანგარიშების პირობებში.

ექსტრემალურ სიტუაციაში ჩადენილი დანაშაულის მოტივი შეფერილია ემოციურ-სტრესული ელფერით. ამ დროს გადაწყვეტილების მიღება ხდება მოკლე დროში, სწრაფად და ძლიერი აღელვების დროს, როცა დანაშაულებრივი ქცევის მოტივის ჩამოყალიბება ხდება იმპულსური გამღიზიანებლების საფუძველზე. ქცევის ასეთი მოტივის მიღება დამახასიათე-

Activate Windows

ელია ძლიერი აღელვების დროს ჩადენილი მკვლელობის, ხულიგნობის, ეაუპატიურებისა და სხეულის მძიმე დაზიანების მიყენების შემთხვევებში.

პიროვნების სოციალიზაცია რთული და მრავალმხრივი პროცესია. იგი მოიცავს ერთმანეთზე ურთიერთმოქმედ მრავალ ასპექტს. ეს ასპექტებია: სოციალური როლების შესრულება, სოციალური გამოცდილების აღქმა, ურთიერთობათა სისტემის ჩამოყალიბება, სოციალური კონტროლი და სხვა.

პიროვნების სოციალიზაცია არის მსოფლმხედველობის, მოთხოვნილებათა სტრუქტურის, ცოდნის, გამოცდილების, მრწამსის და საზოგადოებაში აღიარებული ურთიერთობათა სისტემის ასახვა პიროვნებაში. სოციალიზაციის დეფექტები ყალიბდება რიგი მიზეზების შედეგად. ზოგიერთ შემთხვევაში ხდება პიროვნების მიერ სოციალური გამოცდილების მცდარი, დამახინჯებული აღქმა, რის შედეგადაც ყალიბდება ანტისაზოგადოებრივი და ასოციალური განწყობები. პიროვნების ჩამოყალიბებაში სოციალური პირობები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ამიტომ სოციალიზაციის დეფექტები განაპირობებენ პიროვნების ზოგიერთი თვისების დეფექტებსაც.

დანაშაულის სოციალურ-ფსიქოლოგიური მიზეზების ქვეშ გულისხმობენ პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური თვისებების ისეთ ერთობლიობას, რომლებიც აღმოცენდებიან მისი სოციალიზაციის დეფექტების შედეგად და რომელთა არსებობა საფუძვლად ედება კანონსაწინააღმდეგო ქცევებს.

ყველა დამნაშავისათვის დამახასიათებელია პიროვნების უარყოფითი ფსიქიკური თვისებები. ესენი პიროვნებაში ჩამოყალიბდა და განვითარდა სოციალიზაციის დეფექტების გამო. ესაა აღზრდის, სოციალური როლების შესრულების, მოთხოვნილებათა სისტემის, სოციალური გამოცდილების ათვისებისა და სოციალური კონტროლის დეფექტები.

პიროვნება საზოგადოებაში ასრულებს, თამაშობს განსაზღვრულ სოციალურ როლებს, რომლებიც მეტ-ნაკლები მნიშვნელობისა და დანიშნულებისაა. სოციალური როლები შეიძლება იყოს ეპიზოდური და მუდმივი. სოციალური როლი სრულად და კარგად სრულდება იმ შემთხვევაში, როცა პიროვნება თვლის, რომ ეს როლი საზოგადოებისათვის არა მხოლოდ საჭირო ა აუცილებელია, არამედ - როცა ამ როლის შესრულებას მისთვის მოქვს პირადი შინაგანი კმაყოფილება და როცა მაქსიმალურად კმაყოფილება პიროვნების მორალური და მატერიალური მოთხოვნილებანი.

პიროვნების ფსიქიკურ თვისებებსა და სოციალური როლების შესრუ-

ლებას შორის არსებობს რთული და ფაქიზი ურთიერთგანპირობებულობა. პიროვნების ფსიქიკური დეფექტები იწვევს სოციალური როლის შესრულების დეფექტებსაც. სოციალური როლი მაშინაა პიროვნების უარყოფითი ფსიქიკური თვისებების განვითარების მიზეზი, როცა არსებობს ამ როლის შესრულების უარყოფითი განწყობა. ამ როლის შესრულებისადმი გამომუშავებული დადებითი დამოკიდებულება და განწყობა, აქტიური სწრაფვა მიზნის მისაღწევად, პიროვნების ზოგიერთი უარყოფითი თვისების დათრგუნვისა და ღიკვიდაციის მიზეზი ხდება. სოციალური როლის შესრულების დეფექტებს აქვს რთული სტრუქტურა, რომელიც განპირობებულია სოციალური, ეთნიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორებით. სოციალური როლის შესრულების დეფექტები შეიძლება იყოს:

ა) პიროვნების ზოგიერთი ფსიქო-ფიზიოლოგიური თვისების არაასებობა. ესაა სოციალური როლის შესრულების ფსიქოლოგიური საფუძვლები. მაგ. ღითად, შენელებული რეაქციები, მხედველობის დეფექტები, ფერების აღქმის სუსტი უნარი მძღოლისათვის ამ სოციალური როლის შესრულების ცუდი პირობაა. სოციალური როლის შესრულებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ერთ-ერთი ცენტრალური მიზეზია სუსტი ნებისყოფა. უნებისყოფო ან სუსტი ნებისყოფის პიროვნებისათვის ნებისმიერი დაბრკოლება გადაულახავია და მიზნის მიღწევა ძნელდება;

ბ) სოციალური როლის შესრულებისათვის საჭირო მიზნებისა და არსის შესახებ ცოდნის უკმარობა. სოციალური როლი სრულყოფილად სრულდება მაშინ, როცა პიროვნება ფლობს ღრმა პროფესიულ ცოდნას ამ როლის შესახებ. სოციალური როლის შესრულება ამ როლის შესახებ არასაკმარისი ცოდნის გარეშე პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიურ დეფექტებამდე მიგვიყვანს.

პიროვნების მიერ სოციალური როლისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ასუსტებს მის აქტივობას, იგი ხდება უყურადღებო, ინდეფერენტული, სუსტდება მისი სააზროვნო პროცესები, ასეთი პიროვნება არ ავლენს ინიციატივას, რის გამოც იცვლება პიროვნების ფსიქოლოგიური სტრუქტურა. სოციალური როლისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ცვლის პიროვნების მთელ სტრუქტურას. ვიწროვდება მისი ინტერესები, მისწრაფებები, იდეალები. ამ დროს სუსტდება პიროვნების მოვალეობის გრძნობა, თვითგანათლების საჭიროებისა და აუცილებლობის გრძნობა, რის გამოც პიროვნება ღებულობს ზერელე და მოუფიქრებელ გადაწყვეტილებებს, იმუშავებს ქცევის უარყოფით სტერეოტიპებს, რაც ხელს უშლის წარმატებული სოციალური ქცევების განხორციელებას. ასეთ პიროვნებას ხშირად მოსდის კონფლიქტები. მას უყალიბდება და უფიქსირდება უხეშობა და

Activate Windows

აგრესიულობა. საბოლოო ანგარიშით პიროვნებას უყალიბდება უკმაროზის განცდა და კომპლექსი.

პიროვნების სრული სოციალიზაცია იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა მას შეთვისებული აქვს სოციალური გამოცდილების ფუნდამენტალური დებულებები. საზოგადოებაში წარმატებით ცხოვრება და მოქმედება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა პიროვნების თაობების დაგროვებული სოციალური გამოცდილება აქვს ათვისებული, რაც, თავის მხრივ, პიროვნების ქცევას განსაზღვრავს.

სოციალური გამოცდილება შეიძინება, იგი რა გადაეცემა გენეტიკურად და არაა ბიოლოგიურად განპირობებული. სოციალურ გამოცდილებას პიროვნება იძენს საზოგადოების წევრებთან თანაცხოვრების პროცესში. მისი შეძენა ხდება ოჯახური აღზრდით, მიკროჯგუფებთან ურთიერთობით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, სპეციალური განათლების მიღებით, პირადი გამოცდილების განზოგადებით და ა.შ.

სოციალური გამოცდილების დეფექტებში უპირველეს ყოვლისა აისახება იმ მიკროგარემოს დეფექტები, რომლის საშუალებითაც მოცემულმა პიროვნებამ გამოცდილება შეიძინა. საკუთარი მცდარი ქცევები აღიქმება როგორც სოციალური გამოცდილების შედეგი. სოციალური როლის შესრულებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება პიროვნებას სოციალური გამოცდილების შეძენის სურვილის დაკარგვამდე მიიყვანს.

სოციალური გამოცდილების შედეგები მჭიდრო კავშირშია პიროვნების ურთიერთობათა სისტემასთან, მოთხოვნილებებთან და ინტერესებთან. ამ შემთხვევაში პიროვნების მოთხოვნილებები არაა სულიერი და მაღალი რანგის. ამ დროს მოთხოვნილებები უმეტესწილად მატერიალური და უტილიტარულია, რაც სოციალური გამოცდილების აღქმას და ათვისებას ხელს უშლის. ასეთ შემთხვევაში პიროვნება აღიქვამს ისეთ სოციალურ გამოცდილებას, რომელიც აკმაყოფილებს მხოლოდ მის ვიწრო მატერიალურ მოთხოვნილებებს.

სოციალური გამოცდილების დეფექტები ხელს უწყობენ იმას, რომ პიროვნება წარმატებით ვერ ასრულებს სოციალურ როლებს და საბოლო ანგარიშით საზოგადოების ცხოვრებაში ვერ ღებულობს აქტიურ მონაწილეობას. ასეთი პიროვნება პირად ინტერესებს ყოველთვის საზოგადოებრივზე მაღლა აყენებს.

სოციალურ-ფსიქოლოგიური დეფექტების თანდათანობით განვითარებას მივყვებართ პიროვნების სრულ სოციალურ დეგრადაციამდე. ესაა პიროვნების ამოვარდნა საზოგადოებაში არსებული სოციალური კავშირებიდან, სოციალურად მნიშვნელოვანი როლების შესრულების უუნარობა, მოთხოვნი-

ლებათა სისტემის სტრუქტურის სრული დარღვევა. პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური დეფექტები უშიძგებენ პიროვნებას დანაშაულისაკენ. ეს დეფექტები, საბოლოო ანგარიშით, ნებისმიერი დანაშაულის საფუძველი ხდება.

დანაშაულებრივი ქცევების პროგნოზის თვალსაზრისით ადამიანებს ყოფენ ოთხ ჯგუფად: ა) პირები, რომელთა ქცევის პროგრამა ემყარება მყარ ზნეობრივ და სამართლებრივ პრინციპებს, რომელთაც ჩამოყალიბებული აქვთ ამ პრინციპების შესაბამისი ჩვევები და განწყობები. ესაა ქცევის დადებითი სოციალური სტერეოტიპები; ბ) პირები, რომლებიც არ არღვევენ კანონებს პასუხისმგებლობის შიშით; გ) პირები, რომლებიც რთულ კრიტიკულ სიტუაციებში არღვევენ კანონს, მაგრამ ცდილობენ თავი აარიდონ პასუხისმგებლობას; დ) პირები, რომელთათვისაც დანაშაულებრივი ქცევის განხორციელება არაა დაკავშირებული ზნეობრივ და სამართლებრივ შეფასებებთან და დაბალი ზნეობრივი და სამართლებრივი კვალიფიკაციის გამო არც აცნობიერებენ მას.

<u>დამნაშავის პიროვნების ფსიქოლოგია.</u> კრიმინალურ ფსიქოლოგიაში გამოყოფენ დამნაშავის შესწავლის სამ ასპექტს:

ა) სოციალურ-დემოგრაფიული: სქესი, ასაკი, განათლება, სპეციალობა, კულტურის დონე;

ბ) სოციალურ-ფსიქოლოგიური: ინტელექტუალური, ნებელობითი, ზნეობრივი, სასიათის და ა.შ. ნიშნები.

გ) ფსიქო-ფიზიოლოგიური: ტემპერამენტი, ნერვული სისტემის ტიპი, პიროვნების ზოგიერთი პათოლოგიური მხარე.

პიროვნება რთული ბუნების ფენომენია. იგი მრავალი მეცნიერების ინტერესის საგანს შეადგენს. პიროვნების ერთ-ერთი სტრუქტურული ფენომენი არის ღირებულებითი ორიენტაცია. იგი განსაზღვრავს პიროვნების გარესამყაროსადმი და საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების თავისებურებებს, რომლებიც აისახება ქცევებშიც. ღირებულებები არის პიროვნების ცნობიერებაში ისეთი პარამეტრებისა და მოვლენების ასახვის ფორმა, სადაც აისახება მისი მისწრაფებისა და ინტერესების დაკმაყოფილების შესაძლებლობანი.

ღირებულება ფსიქოლოგიაში განიხილება როგორც ნებისმიერი ბუნებრივი თუ სოციალური მოვლენის დადებითი სოციალური მნიშვნელობა.

ღირებულება ყოველთვის კონკრეტული და სუბიექტურია. იგი სუბიექტისა და საზოგადოებრივი ჯგუფების მოთხოვნილებათა სისტემას, ინტერესებსა და მიზნებს უკავშირდება. ღირებულება ფსიქოლოგიური ფენომენი ხდება მაშინ, როცა ის პიროვნულ ხასიათს ღებულობს.

Activate Windows

შეფასებათა და ღირებულებათა მრავალწახნაგოვანი სტრუქტურა ნათლად ვლინდება დანაშაულებრივი ქცევის პროცესში. ყოველი დამნაშავის მოტივაციური მექანიზმი წარმოუდგენელია ღირებულებათა ორიენტაციისა და სუბიექტის პოზიციის ფართო სპექტრის გარეშე.

ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბება არის სოციალური გამოცდილების ინდივიდუალიზაცია და ინდივიდის სოციალიზაცია. საზოგადოებრივ ღირებულებათა და ნორმების ათვისება არის სოციალიზაციის პროცესის შედეგი. სოციალური ნორმები არის პიროვნების სოციალიზაციის აუცილებელი კომპონენტი. იგი გულისხმობს: ა) სოციალური ნორმების ცოდნასა და გააზრება-გაცნობიერებას; ბ) სოციალური ნორმების სამართლიანობის შეფასებას; გ) ნორმების, როგორც სავალდებულოს აღიარებას; დ) სოციალური ნორმების შესაბამისად პიროვნების მოქმედების უნარს.

სანქცია (დადებითი და უარყოფითი) არის საზოგადოებრივი რეაქცია ქცევის განსაზღვრულ ტიპზე. დადებითი სანქციებია წახალისება, შექება, ჯილდო და ა.შ., ხოლო უარყოფითია - სასჯელი, დამუქრება და სხვა. ვერც ერთი სანქცია ვერ უზრუნველყოფს დანაშაულებრივი ქცევისგან თავშეკავებას, თუ არ ამუშავდება პიროვნების ღირებულებით-ნორმატიული მექანიზმები.

დამნაშავე, ღებულობს რა კანონსაწინააღმდეგო ქცევის ჩადენის გადაწყვეტილებას, ხელმძღვანელობს შეფასებათა და ღირებულებათა რთული იერარქიული სტრუქტურით. ესენია:

ა) დანაშაულებრივი ქცევის სასურველი შედეგის ღირებულება;

ბ) სიტუაციისა და სხვა გარემოებათა მნიშვნელობა, რომლებიც ხელს უწყობენ ან ხელს უშლიან დასახული მიზნის მიღწევას;

გ) მოცემულ სიტუაციაში მიზნის მისაღწევად ქცევის რომელიმე ხერხის ეფექტურობა;

დ) ჩადენილი დანაშაულის არასასურველი შედეგები და მნიშვნელობა.

ამრიგად, დამნაშავის პიროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია მისი ღირებულებით-ნორმატიული სფერო, რომელიც გულისხმობს ფაქტებისა და მოვლენების აღქმისა და შეფასების სოციალურ განწყობებს და ამ ფენომენების მისეული შეფასების საფუძველზე შესაბამისი ქცევების განხორციელებას.

პიროვნების თვითშეფასება არის თვითცნობიერების ძირითადი კომპონენტი. თვითშეფასება არის პიროვნების მიერ საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების შეფასება და საკუთარი თავისადმი კრიტიკული მიდგომა. თვითშემეცნება ემყარება თვითშეფასებას და ამ გზით საკუთარი თავის შესახებ მოპოვებულ ცოდნას. თვითშეფასება არის პრეტენზიის

დონის საფუძველი. თვითშეფასება საკუთარი თავის, მოქმედების, კოლექტივში მდგომარეობის, კოლექტივის წევრებთან ურთიერთობის და საკუთარ შესაძლებლობათა შეფასებას გულისხმობს. თვითშეფასების განვითარების დონეზეა დამოკიდებული პიროვნების აქტივობა, მისი მონაწილეობა კოლექტივის მოქმედებაში და მისწრაფება თვითაღზრდისადმი. თვითშეფასება შეიძლება იყოს ადექვატური და არაადექვატური, ე.ი. პიროვნების რეალურ შესაძლებლობათა სწორად ან არასწორად ამსახავი. არაადექვატური შეფასების დროს ხშირია წარუმატებლობა და კონფლიქტები, ირღვევა პიროვნების ჰარმონიულობა. ადექვატური თვითშეფასება ხელს უწყობს პიროვნების საკუთარ ძალებში დარწმუნებულობის, თვითკრიტიკულობის, მომთხოვნელობის, ხოლო არაადექვატური - დაურწმუნებლობის ან ზედმეტად დარწმუნებულობის, უკრიტიკობის და ა.შ. განვითარებას. საკუთარი თავისადმი სრული ადექვატური დამოკიდებულება თვითშეგნების განვითარების უმაღლესი სტადიაა.

დამნაშავეთა თვითშეფასება განსხვავებულია ჩვეულებრივი მოქალაქის თვითშეფასებისაგან საკუთარი თავის მიმართ უფრო ნაკლები კრიტიკული დამოკიდებულებით. დამნაშავეთა თვითშეფასება არაადექვატურია. დამნაშავეთა ძირითად მასას აქვს აწეული, გადაფასებული თვითშეფასება. რეციდივისტების და დანაშაულის პირველად ჩამდენ პირთა თვითშეფასება ზოგადად ერთნაირია.

დამნაშავეთა აწეული თვითშეფასება პიროვნების დაუკმაყოფილებელი პრეტენზიების დროს ქმნის კონფლიქტური სიტუაციების შექმნის ფართო შესაძლებლობებს. ღირებულებითი ორიენტაციის სისტემის დარღვევის დროს კი ასეთ კონფლიქტებს მივყევართ კანონსაწინააღმდეგო ქცევამდე.

კონფორმიზმი არის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენი, რომელიც გამოხატავს პიროვნების საკუთარი პოზიციის შეცვლას ჯგუფური სტანდარტებიდან გადახვევის შემთხვევაში ჯგუფთან თანხმობის მიღწევით. პოზიციის ასეთი ცვლა არის ჯგუფსა და პიროვნებას შორის კონფლიქტის თავიდან აცილების საშუალება. კონფორმიზმი არის პიროვნების ქარაქტეროლოგიური მახასიათებელი, რომელიც სოციალური გარემოთია განპირობებული. კონფორმიზმი არის საზოგადოებრივი აზრისადმი და ტრადიციებისადმი ანგარიშის გაწევის უნარი. კონფორმული ქცევა არის პიროვნების მიერ ცალკეული იდეებისა და დასკვნების შეგნებული მიღება ჯგუფის პირდაპირი ან ირიბი დაწოლისა და გავლენის შედეგად.

ყველა კატეგორიის დამნაშავეს ახასიათებს კონფორმიზმი და კონფორმული ქცევა. კონფორმული ქცევის მიმართულება და შინაარსი შეესაბამება დამნაშავის პიროვნების ღირებულებითი ორიენტაციის სტრუქ-

Activate Windows

ტურას.

დანაშაულებრივი ქცევის გენეზისის შესწავლის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულებრივი გადაწყვეტილების მიღებას რისკის სიტუაციაში. ადამიანთა ქცევა რისკის სიტუაციაში არა-რთგვაროვანია და დამოკიდებულია მათ ინდივიდუალურ თავისებურებებზე, ემოციურ და მოტივაციურ სფეროზე. ასეთი ქცევა ძირითადათ დამოკიდებულია ასაკობრივ, სქესობრივ და სოციალურ ფაქტორებზე. ცნობრბილია, რომ ასაკოვანი ადამიანები, როგორც წესი, ფრთხილებია, ხოლო ახალგაზრდები რისკზე უფრო ადვილად მიდიან და საშიშროებასაც ნაკლებად აქცევენ ყურადღებას. ბიჭები უფრო "რისკიანები" არიან, ვიდრე გოგონები. ეს მდგომარეობა ასაკის წინსვლასთან ერთად თანდათანობით სწორდება. მოწიფულ ასაკში რისკისადმი მიდრეკილება ქალებთან და მამაკაცებთან თითქმის თანაბარია. ზოგიერთ სიტუაციაში ქალები მამაკაცებზე უფრო რისკიანები არიან და ზოგიერთ სიტუაციაში კი - პირიქით. გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ დამნაშავეები საერთოდ ჩვეულებრივ მოქალაქეებთან შედარებით გაცილებით უფრო რისკიანები არიან და არაფრად აგდებენ ხიფათს.

გამომძიებლის ფსიქოლოგია.

გამოძიება არის შემეცნების პროცესი, რომელიც ემორჩილება ზოგად გნოსეოლოგიურ კანონზომიერებებს. ყოველი იურიდიული სპეციალობის წარმომადგენლის ქცევა მოიცავს სოციალურ, ძიებით, რეკონსტრუქციულ, კომუნიკატორულ და ორგანიზაციულ მხარეებს. გამომძიებლის სოციალური ქცევა გულისხმობს დანაშაულის ფაქტის ანალიზს, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას, სამართლებრივ პროპაგანდას და მის მონაწილეობას დამნაშავის ხელახლა აღზრდის პროცესში. გამომძიებლის მოღვაწეობის სოციალური მხარე ასახავს აგრეთვე პროფესიულ მიმართულებას, მოტივებს, ინტერესებსა და არჩეული პროფესიისადმი ემოციურ დამოკიდებულებას. გამომძიებელს თავისი პროფესიის სპეციფიკურობის გამო მუდმივად უხდება კონტაქტი ადამიანური ქცევის უარყოფით მხარეებთან.

გამომძიებლის ძიებითი მოქმედება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს დანაშაულის შესახებ ობიექტური ინფორმაციის შეგროვებას. გამომძიებლის ძიებითი მოქმედება საბოლოო ანგარიშით რეალიზდება დანაშაულის გახსნაში. ძიებითი მოქმედების პირველი ეტაპი მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას კონკრეტული დანაშაულის შესახებ და მის ანალიზს. გამომძიებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს ერთი შეხედვით ნაკლებმნიშვნელოვან დეტალებსაც კი. მას დაკვირვება სჭირდება ნებისმიერი ძიებითი ოპერაციის დროს. დაკვირვება არის აღქმის განვითარების უმაღლესი ეტაპი. იგი გულისხმობს მოვლენათა შორის დამოკიდებულებათა ნებისმიერი, აქტიური და სისტემატური აღქმის წარმოებას წინასწარ დასახული მიზნით. დაკვირვებაში აღქმა დაქვემდებარებულ როლს ასრულებს. დაკვირვება აღქმის გამოყენებით წარმოებული სპეციფიკური პროცესია.

დაკვირვების საშუალებით გამომძიებელი "კითხულობს" მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და დამნაშავის შინაგანი სამყაროს გარეგამოვლინებებს, გრძნობებს, ემოციებს, უესტებს, მიმიკას და ა.შ. ყოველივე ეს ხელს უწყობს დანაშაულის ფსიქოლოგიური მოტივის დადგენას.

გამომძიებლის რეკონსტრუქციული ქცევა არის წარსულის მოვლენების რეკონსტრუქცია იმ კვალის მიხედვით, რომელიც დამნაშავემ დატოვა დანაშაულის ჩადენის მომენტში. გამომძიებლის რეკონსტრუქციულ ქცევაში რეალიზდება მისი ისეთი შემეცნებითი ფსიქიკური პროცესები, როგორიცაა წარმოსახვა, მეხსიერება, ანალიზური და სინთეზური აზროვნება, ინტუიცია.

გამომძიებლის აზროვნებისა და წარმოსახვის სპეციფიკა და ფუნქცია ერთმანეთს გამომრიცხავი ვერსიების წამოყენებაში მდგომარეობს. ყოველი წარმოსახული ვერსია შესაბამისობაში მოდის რეალურ სინამდვილესთან. გამომძიებლის მუშაობაში წარმოსახვის ხვედრითი წილი განსაკუთრებით დიდია ისეთი დანაშაულების გახსნის საქმეში, რომელიც ჩადენილია მოწმეების გარეშე. რაც უფრო კარგად "ხედავს" გამომძიებელი შინაგანი მხედველობით კონკრეტული დანაშაულის სურათს, მით უფრო სწორია მის მიერ შემუშავებული ვერსია. დანაშაულის ჩადენის აღგილის დათვალიერებისას გამომძიებელის წარმოსახვა აძლევს საშუალებას შეუმჩნეველი, უმნიშვნელო დეტალებითაც კი აღადგინოს დანაშაულის ნამდვილი სურათი.

გამომძიებლის წარმოსახვის თავისებურება არის ის, რომ მისი წარმოსახვა კი არ უსწრებს წინ ფაქტებსა და მოვლენებს, არამედ იგი წარსულში მომხდარი ამბების რეკონსტრუქციას ახდენს. ესაა რეტროსპექტული, აღმდგენი წარმოსახვა და მისთვის უფრო მეტადაა დამახასიათებელი კონკრეტულობა და რეალიზმი.

Activate Windows

გამომძიებლის მთელ საქმიანობაში წარმოსახვასთან ერთად მონაწილეობს აზროვნება. გამომძიებელს მუდამ აქვს საქმე საგნებსა და მოვლენებს შორის არსებული კავშირების დადგენასთან. ესაა ანალიზისა და სინთეზის მოქმედების დიაპაზონი და ასპარეზი. გამომძიებელი ყურადღების გარეშე არ ტოვებს უმნიშვნელო დეტალებსაც კი, ოდნავ შესამჩნევ კავშირს მოვლენებს შორის.

შემოქმედებითი აზროვნება ხასიათდება ჭეშმარიტების დადგენის არასტანდარტული გზების ძიებით, როცა ამა თუ იმ შემთხვევის შესახებ ინფორმაცია მეტად მწირია.

გამოძიება, როგორც ავღნიშნეთ, არის შემეცნების პროცესი, რომელიც გამომძიებლის მიერ ხორციელდება დამტკიცების ფორმით. გამომძიებლის აზროვნების პროცესი ემორჩილება ფსიქიკურ პროცესთა ზოგად კანონზომიერებებს და ბევრი საერთო აქვს სხვა სფეროებში გამოვლენილ სააზროვნო პროცესებთან. იურისპრუდენციის სფეროში და კერძოდ საგამომძიებლო პრაქტიკაში გამოვლენილი აზროვნების სპეციფიკური თავისებურებაა კანონსაწინააღმდეგო ქმედებასთან დაკავშირებული სპეციფიკა.

გამომძიებლის შემეცნებითი მოქმედება ვლინდება მის მიერ რთული სააზროვნო ოპერაციების გადაჭრაში, პრობლემის სტრატეგიულ გადაწყვეტაში, სიტუაციისადმი შემოქმედებით მიდგომაში, რომლებსაც სჭირდება შემეცნებითი აქტივობა.

გამომძიებლის აქტივობა უნდა იყოს ოპერატიული, ე.ი. მაღალდინამიკური ინტელექტუალური პროცესი, რომელიც მუდმივ კორექციას განიცდის პირობებისა და პრაქტიკული მუშაობის შედეგების გავლენით.

ინფორმაციის უკმარობა, დროის დეფიციტის პირობებში განსაზღვრული მოქმედებების შესრულების აუცილებლობა მოითხოვს გამომძიებლის ინტელექტის პლასტიკურობას, პროდუქტიულობას, კრიტიკულობასა და მოქნილობას.

გამომძიებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მოწმეები და დაზარალებულები მოვლენებს ყოველთვის სუბიექტურად აღწერენ, მოქმედებს აპერცეფცია - წარსული გამოცდილების გავლენა აღქმაზე. ე.ი. გამომძიებლის აზროვნების ძირითადი თავისებურებებია პროფესიონალური დაკვირვება, ფაქტებისა და მოვლენების სისტემატური შეჯერების და შედარების უნარი, მოვლენათა "რეკონსტრუქცია" მათი ირიბი ნიშნების მიხედვით, კრიტიკულობა და რეფლექსიურობა.

გამომძიებლის სააზროვნო მოქმედებას აქვს სპეციფიკური ხასიათი, მაგრამ არაა აზროვნების განსაკუთრებული ფორმა, იგი ემორჩილება ზოგად ფსიქოლოგიურ და ლოგიკურ კანონზომიერებებს.

რთული საგამომძიებლო ამოცანები ხასიათდებიან ძიებითი აქტების მრავალმხრივობითა და მრავალფეროვნებით. ამ დროს აუცილებელია ევრისტული აზროვნება, მოვლენათა განვითარების წინასწარ განჭვრეტა, მისი მექანიზმის მოდელირება წინა გამოცდილებისა და კონცეპტუალური ცოდნის საფუძველზე.

იურისპრუდენციაში ობიექტური ჭეშმარიტება დგინდება რაციონალური შემეცნების პროცესში. მაგრამ რაციონალურ შემეცნებაში ლოგიკური აზროვნების გვერდით, როგორც დამხმარე ელემენტი, გამოიყენება ინტუიცია. ინტუიცია არის შემეცნება გაშლილი ლოგიკური მსჯელობის გარეშე. ინტუიცია ემოციურადაა შეფერილი, მაგრამ იგი მთლიანად ემოციებზე არ დაიყვანება.

გამომძიებლის ქარაქტეროლოგიურ თვისებათა შორის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ინტელექტუალურ, ნებელობით და კომუნიკატორულ თვისებებს.

გამომძიებლის პიროვნების პროფესიულ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი განპირობებულია გამოძიებითი მოქმედების სოციალურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და ფსიქოლოგიური თავისებურებებით.

გამომძიებლებს კანონით ეკრძალებათ სამართალში მიცემულ პირებთან ურთიერთობის პროცესში გამოიყენონ ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა ან ფარული შთაგონება, მუქარა და სხვ.

გამომძიებლის მუშაობის მაღალი ფსიქიკური დაძაბულობა მისი ფსიქიკის ნეიროფიზიოლოგიურ ორგანიზაციას განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს. გამომძიებლის პროფესიის მნიშვნელოვანი ნერვულ-ფსიქიკური თავისებურებებია:

ა) სენზიტიურობა - გარეგამღიზიანებლების მიმართ აწეული ნერვულ-ფსიქოლო- გიური მგრძნობელობა;

ბ) რეაქტიულობისა და აქტივობის ოპტიმალური შესაბამისობა;

გ) ემოციური გამძლეობა და სტაბილურობა;

დ) რეზისტენტობა - შინაგანი და გარეგანი პირობებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარი, რომელიც ხელისშემშლელია დაწყებული ქცევის ბოლომდე მიყვანის საქმეში.

ე) ფსიქიკურ პროცესთა პლასტიკურობა;

ვ) შფოთვის დაბალი დონე - სახიფათო და რისკის პირობებში ზომიერი ემოციური აგზნებულობა;

ზ) ტოლერანტობა - ნერვულ-ფსიქოლოგიური გადაძაბვისადმი გამძლეობა და ამტანობა.

გამომძიებელი უნდა ფლობდეს ფსიქიკური ზემოქმედების ფაქტ

Activate Windows

ხერხებს. ესაა ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების ხერხები, რომლებიც საბოლოო ანგარიშით საფუძვლად ედება გამომძიებლის ტაქტიკურ ოსტატობას. ფსიქოლოგიური ზემოქმედების ხერხი არის გამომძიებლისადმი წინააღმდეგობის გამწევ პირზე ისეთი ზემოქმედება, როცა იქმნება დაფარული ინფორმაციის გამჟღავნების სიტუაცია. მაგალითად, მიზანმიმართული, ტაქტიკური კითხვების დასმით დასაკითხი პირის სურვილის მიუხედავად შეიძლება აღმოჩენილი იქნას ისეთი ფაქტები და დეტალები, რომელიც დანაშაულის რომელიმე თანამონაწილისათვისაა ცნობილი. დაკითხვის წარმოების დროს გამომძიებელმა ჭეშმარიტების დასადგენად უნდა გამოიყენოს დასაკითხი პირის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი თვისებებიც. ამასთანავე აუცილებელია გამომძიებლის მხრიდან გამოირიცხოს ყოველგვარი ტყუილი და უპატიოსნება. ადგილი არ უნდა ჰქონდეს ინფორმაციის გამოძალვას. გამომძიებელი უნდა ზემოქმედებდეს არა ჩვენების შინაარსსა და მიმართულებაზე, არამედ დასაკითხი პირის მოტივაციურ სფეროზე.

დაკითხვის ფსიქოლოგია

დაკითხვის მიზანია საქმის წარმოებისათვის საჭირო ჭეშმარიტების დამდგენი ინფორმაციის მიღება. ჭეშმარიტი ინფორმაციის მისაღებად საჭირო ფსიქოლოგიური ხერხები რამდენიმე ტიპისაა: ა) მეხსიერების აქტუალიზაციის, ბ) ჩვენების მოტივაციის დამდგენი, გ) დამნაშავის მხიბლების ხელშემწყობი, დ) ტყუილის გამოვლენის, ე) კონფლიქტური სიტუაციების თავიდან აცილების.

მეხსიერების აქტუალიზაციის ხერხებს მიეკუთვნება ისეთი ხერხები, რომლებიც იწვევს დასაკითხი პირის მიერ ასოციაციური კავშირების აღდგენას და აქტუალიზაციას და ამის საფუძველზე მოგონების გააქტიურებას. ესაა გამომძიებლის მიერ გასახსენებელი კითხვების დასმა, რომლის მიზანია საქმის გარემოებათა დეტალების გახსენება. ეს კითხვები არ უნდა შეიცავდეს შთაგონების ელემენტებს. დაკითხვის დროს შეიძლება აგრეთვე ნივთმტკიცებების გამოყენებაც. მეხსიერების გამოცოცხლებისა და გააქტიურების მდიდარ მასალას იძლევა ეჭვმიტანილის ან მოწმის შემთხვევის ადგილზე დაკითხვა, როცა შემთხვევის ადგილის ხელახალი აღქმა აცოცხლებს ასოციაციებს.

ჩვენების მოტივაციის დამდგენი ხერხებია კითხვების ისეთი სერიის დასმა, რომელიც გულისხმობს განისაზღვროს დასაკითხი პირის ქცევის მოტივები. ბრალდებულის მოტივაცია ჩვეულებრივად ვლინდება მისი ჩვენების მოსმენის პროცესში, მაგრამ ხანდახან "გულწრფელი" ჩვენების უკან იმალება დამნაშავის მიერ კარგად მოფიქრებული პოზიცია, რომლის მიზანია გამომძიებლის ყურადღების გადატანა ისეთ დეტალებზე, რომლებსაც არ აქვთ არსებითი მნიშვნელობა.

დამნაშავის მხიბლების საშუალებაა ისეთი კომპლექსური ხერხების გამოყენება, რომლებშიც თავს იყრის გამოძიებისათვის ცნობილი ყველა ინფორმაცია. საქმის შესახებ არსებულ დეტალურ ინფორმაციაში არის დამნაშავის დანაშაულის დამადასტურებელი ინფორმაციაც. ამიტომ გამომძიებელმა ეს ინფორმაცია არა მხოლოდ ზუსტად და დეტალურად უნდა იცოდეს, არამედ იგი უნდა უთხრას ბრალდებულის ზუსტად იმ მომენტში, რომელიც ყველაზე მეტადაა ეფექტური. გამომძიებელმა წინასწარი პროგნოზიც კი უნდა გააკეთოს თუ რა შედეგს გამოიღებს მიმხიბლებელი ინფორმაციის თქმა ბრალდებულისათვის.

ფსიქოლოგიური ხერხები, რომლებიც ხელს უწყობენ ტყუილის აღმოჩენას, ერთიანდებიან დაკითხვის ტაქტიკურ ფორმებში. ეს კითხვებია დამაზუსტებელი, საკონტროლო და მიმღებ-ანიშნებელი. ტყუილის თქმის დროს ცრუ ჩვენებები მიმართულია ცალკეულ ფაქტებზე და გარემოებებზე და როგორც წესი დაკავშირებულია დასაკითხი პირის პოზიციასთან. სიცრუე ადვილად მჟღავნდება მაშინ, როცა გამომძიებელი საფუძვლიანადაა მომზადებული დაკითხვისათვის და კარგადაა ორიენტირებული საქმესთან დაკავშირებულ ყველა დეტალში. ცრუ ჩვენების პროცესში ირღვევა თხრობის თანამიმდევრობა, ლოგიკა, ჩნდება პაუზები. ამიტომ ამ შემთხვევაში სიცრუის აღმოჩენის კარგი საშუალებაა დეტალიზაციისა და კონტროლისათვის საჭირო დამატებითი კითხვების დასმა. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ცრუ ჩვენების სახინაალმდეგო ნივთმტკიცებების დემონსტრაციასაც.

კონფლიქტური სიტუაციის თავიდან აცილების ფსიქოლოგიური ხერხებია ფსიქოლოგიური კონტაქტის ემოციური ფონი. გამომძიებელმა დასაკითხ პირთან უნდა დაამყაროს კეთილი განწყობილება, შექმნას ნდობის ატმოსფერო. კონფლიქტური სიტუაცია აღმოცენდება იმ შემთხვევაში, როცა დაკითხვის პროცესის მონაწილე პირთა ინტერესები ერთ მიზანს არ ექვემდებარება. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა დასაკითხი პირი ყოველნაირად ცდილობს დაფაროს სიმართლე და არ იძლევა ჭეშმარიტ ინფორმაციას.

Activate Windows

მოწმის ჩვენება არის მოწმის მიერ მოწოდებული ინფორმაცია იმ ფაქტების და მოვლენების შესახებ, რომელთაც საქმისათვის აქვს მნიშვნელობა. ამიტომ გამომძიებელმა და მოსამართლემ უნდა გაანალიზონ ამ ინფორმაციის მსვლელობის დინამიკა პირველწყაროდან ბოლო პირამდე. მოწმის ჩვენების ჩამოყალიბების პროცესი პირობითად იყოფა სამ ეტაპად: აღქმა, დამახსოვრება და აღდგენა-მოგონება. ეს ეტაპები ხასიათდებიან საკუთარი, სპეციფიკური კანონზომიერებებით. ადამიანის მიერ ნებისმიერი ინფორმაციის მიღება აღქმის გზით იწყება. აღქმადობა ერთსა და იმავე ადამიანთან სხვადასხვა ფაქტორთა გავლენით განსხვავებულია, რაც პრაქტიკაში უნდა იქნას გათვალისწინებული, როცა ეჭვი ჩნდება მოწმის მხედველობის, სმენისა და შეგრძნების სხვა მოდალობის ნორმალური ფუნქციონირების შესახებ.

ცნობილია, რომ აღქმის სისრულესა და სიზუსტეზე გავლენას ახდენს ადამიანის წარსული გამოცდილება, ცოდნა, მოთხოვნილებები, ინტერესები და ის ამოცანები და მიზნები, რომელსაც აღქმელი სუბიექტი ისახავს. ამის გამო აღქმა ამორჩევით ხასიათს ატარებს.

დანაშაულის რომელიმე ეპიზოდის აღქმის დროს მიღებული ინფორმაცია ხშირად ფრაგმენტულია, მრავალეტაპიანია. გამომძიებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს აღქმის იღუზიების კანონზომიერებანი, რომლებიც საფუძველი ხდება დამახინჯებული და მცდარი ინფორმაციისა. მოწმეს შეიძლება მოუვიდეს ოპტიკური, სმენითი და სხვა შეცდომები. ამასთანავე მისი შეცდომები შეიძლება ეხებოდეს ზომების მცდარ შეფასებას, მანძილის, სიჩქარის, რიცხვის და ა.შ. მცდარ აღქმას.

აღქმის სიზუსტეზე ძალზე უარყოფითად მოქმედებს შიში. დანაშაულის ეპიზოდების აღქმა ადამიანს უხდება არაჩვეულებრივ, ექსტრემალურ სიტუაციებში, რომელსაც თან ახლავს შიში. შეშინებული ადამიანის აღქმის სიზუსტე და სისრულე ყოველთვის ეჭვის ქვეშ უნდა დადგეს. აღქმის პროცესში აღმოცენებული მკვეთრი განცდები აღქმის სიზუსტეს და სისრულეს ანელებს. ცნობილია აფექტების გავლენა დაზარალებულთა მცდარ ჩვენებებზე.

დანაშაულის დეტალების აღქმაზე გავლენას ახდენს აგრეთვე მომდარი ფაქტისადმი მოწმის დამოკიდებულება. მაგალითად, მოწმე დამნაშავის რომელიმე მოძრაობას თავდასხმად ან თავდაცვად აღიქვამს იმის მიხედვით,. თუ რომელ მხარეს იჭერს ის. შეიძლება ობიექტური აღქმა დამახინჯდეს მოწმის მიერ რომელიმე მხარისადმი სიმპატია-ანტიპატიის ჩამოჩენის მიხედვით.

მოწმის ჩვენება არის ძალზე რთული და მრავალმხრივი პროცესის შედეგი. მოწმის ჩვენების ფორმირებაში უმთავრესად მონაწილეობს მხედველობითი შეგრძნებები. მხედველობის საშუალებებით ადამიანი აღიქვამს გარესამყაროს საგანთა და მოვლენათა 80%. დაკითხვის დროს ხშირად ისმის საკითხი რომელიმე საგნის გაწსაზღვრული მანძილიდან დანახის შესახებ. ა.ბოდალიოვის მონაცემებით ადამიანის გარეგნობის აღქმა შეიძლება: ორი მეტრის მანძილზე შეიძლება დავინახოთ ნაოჭები სახეზე, სამოც მეტრზე ვარჩევთ თვალებს, ცხვირს, თითებს, 300 მეტრზე - თავს, მხრებს, სახის სიმრგვალეს, ხელის მტევანს, შვიდას მეტრზე - ხელებისა და ფეხების მოძრაობას, ერთი კილომეტრიდან ჩანს ადამიანის მხოლოდ საერთო კონტური, მაგრამ ძალზე ძნელი გამოსარჩევია ადამიანის სქესი, ასაკი, ტანსაცმლის სახეობა. ორ კილომეტრზე შეიძლება ადამიანი გამოყო გარესამყაროს საგნებისაგან, ხოლო ხუთ კილომეტრზე ადამიანი შეუიარაღებელი თვალით არ ჩანს.

გამომძიებელს უნდა ახსოვდეს, რომ მანძილის აღქმა მხედველობის დეფექტის მქონე პირებთან განსხვავებულია და ამ მდგომარეობის იგნორირება დაკითხვისა და ჩვენების დროს არ შეიძლება.

მოწმისა და დაზარალებულის მიერ სივრცის აღქმაში ადგილი აქვს აგრეთვე მხედველობის იღუზიებით გამოწვეულ უზუსტობებსა და დამახინჯებებს. მხედველობის იღუზიების საფუძველია ფიზიკური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ფაქტორები. მოწმეთა ჩვენებებში უფრო ხშირად ფიგურირებს ფსიქოლოგიური ფაქტორებით გამოწვეული იღუზიები. მაგალითად შეიძლება ადამიანმა არასწორედ აღიქვას საგნის სიდიდე იმის მიხედვით, თუ რა სიდიდის საგნებშია იგი მოქცეული. თუ საშუალო სიდიდის საგანი მოქცეულია დიდი საგნების გარემოცვაში, იგი გვეჩვენება გაციებით უფრო პატარად, ვიდრე რეალურად არის.

მოწმეთა და დაზარალებულთა ჩვენებებში ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე დროის აღქმას. ხშირად დანაშაულის ჩადენის დროის ზუსტ აღქმასა და განსაზღვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. გამოძიების საგანსა და ინტერესებს ხშირად შეადგენს დროის მცირე მონაკვეთები - წამები, წუთები, საათები. ხშირია შემთხვევები, როცა მოწმე ან დაზარალებული ვერ იგონებს, როდის, რომელ დღეს მოხდა დანაშაულის ფაქტი. ასეთ შემთხვევაში დროით ორიენტირად შეიძლება გამოდგეს მსოფლიოს ან ქვეყნის ღირსახსოვარი მოვლენები. ერთერთი საქმის გამოძიებისათვის აუცილებელი იყო დაედგინათ, თუ რომელ დღეს იყიდა მოწმემ ნაქურდალი ფოტოაპარატი, რომელიც მას არ ახსოვდა. გახსენებისათვის გამომძიებელმა მოწმეს სთხოვა გაახსენებინა

Activate Windows

ხომ არ მომხდარა ამ დროისათვის ქვეყანაში რაიმე ღირსახსოვარი ფაქტი. მოწმემ უჩვენა, რომ წინა დღეს რადიოთი გადმოსცეს კოსმოსში პირველი ადამიანის გაფრენის შესახებ. ამის შემდეგ უკვე აღვიღი გახდა ზუსტი თარიღის დადგენა.

დროის ინტერვალების აღქმაში დიდი მნიშვნელობა აქვს გრძნობებსა და ემოციებს. როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ემოციების დროს ადგილი აქვს დროითი ინტერვალების გადაფასებას. დამნაშავე, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტში განიცდის დიდ ნერვულ დაძაბულობას და შესაბამის ემოციურ დატვირთვას, ობიექტურად ვერ შეაფასებს დროით ინტერვალებს. ამიტომ მოწმისა და დაზარალებულის მიერ დროითი ინტერვალების აღქმა ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს.

დროის მონაკვეთების აღქმის დროს აშკარა გადაფასებას აქვს ადგილი იმ შემთხვევაში, როცა მოწმეები და დაზარალებულები განიცდიან შიშს და მღელვარებას. ხულიგნების ჯგუფი შემოიჭრა შენობაში, სადაც ორი მოხუცი ქალი იმყოფებოდა და ატეხეს დებოში. დაკითხვაზე ამ ქალებმა უჩვენეს, რომ ოთახში შემოიჭრა რვა ადამიანი და დეზოში გრძელდებოდა ნახევარ საათს. სინამდვილეში კი იყვნენ ხუთნი და დეზოში გრძელდებოდა ათ წუთს.

დროის აღქმასთან მჭიდრო კავშირშია მოწმისა და დაზარალებულის მიერ მოძრაობის სიჩქარის აღქმა. ანალოგიურ ფაქტებთან გამომძიებელს საქმე აქვს სატრანსპორტო შემთხვევების, ავარიებისა და ა.შ. დროს, როცა აუცილებელი ხდება სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის სიჩქარის დადგენა. იშვიათია შემთხვევები, როცა მოწმე ზუსტად განსაზღვრავს სატრანსპორტო საშუალებების სიჩქარეს. როგორც წესი ადამიანის მიერ მოძრაობის სიჩქარის აღქმა და შეფასება არაზუსტია. ცდებიან მძღოლებიც კი.

აღქმაზე უარყოფით გავლენას ახდენს აგრეთვე აფექტები. აფექტები ესაა. მეტად ინტენსიური და ხანმოკლე ემოციური რეაქციები. მას ახლავს სასიხარკვეთა, რისხვა. აფექტის დროს მცირდება კონტროლი საკუთარ თავზე და სუსტდება შემკავებელი მექანიზმები. აფექტის მდგომარეობაში ყოფი პირის აღქმა და ჩვენება არასრული და უზუსტოა.

ცნობილია, რომ გულწრფელი მოწმეც კი შეცდომებს უშვებს ჩვენებაში, როცა საქმე აღქმასა და მეხსიერებას ეხება. ერთმანეთისგან განსხვავებენ სუბიექტურად მართალ ჩვენებას ობიექტურად მართალი ჩვენებისაგან. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ჭეშმარიტია ყველა ის ჩვენება, როცა მოწმე დარწმუნებულია ჩვენების ჭეშმარიტებაში.

თუ მოწმემ დანაშაულებრივი შემთხვევა თავდაპირველად აღიქვა არასწორად, მას, ცხადია, დაკითხვაზე სწორი ჩვენების მოცემა არ შეუძლია. ამის დასტურია კლასიკური ექსპერიმენტი, რომელიც ჩატარდა იურისტ-ექსპერტთა ერთ-ერთ შეკრებაზე. სხდომის მიმდინარეობის დროს რამდენიმე უცნაურად ჩაცმული პიროვნება შემოცვივდა დარბაზში და დაიწყეს სირბილი, ყვირილი, გაისროლეს რევოლვერი და გაუჩინარდნენ. სხდომის მონაწილეებს (იურისტებს) შემდეგ სთხოვეს მიეცათ ჩვენება მომხდარი ფაქტის შესახებ. (ექსპერიმენტატორისათვის ამ სცენის ყველა დეტალი წინასწარ იყო დაგეგმილი და გათამაშებული). ექსპერიმენტმა გამოარკვია, რომ პროფესიონალმა იურისტებმა ჩვენების მიცემის პროცესში უარაკი შეცდომა დაუშვეს კოსტიუმების, ადამიანთა რაოდენობის, სიტყვების, მოვლენათა თანამიმდევრობისა და სხვათა აღწერისას. ასეთი ექსპერიმენტი სხვადასხვა ვარიანტით მრავალჯერ იქნა გამეორებული და შედეგი ყოველთვის ერთნაირი იყო - ცდის პირები უამრავ შეცდომას (კურიოზულსაც) უშვებდნენ სცენაში მონაწილეთა გარეგნობის აღწერაში.

აღქმულ ინფორმაციას ინახავს შემეცნებითი ფსიქიკური პროცესი - მეხსიერება, რომელიც ორგვარია - ნებისმიერი და უნებლიე. ნებისმიერი მეხსიერების დროს მოწმე, რომელსაც ესმის მომხდარი ფაქტის მნიშვნელობა, წინასწარგანზრახვით იმახსოვრებს შემთხვევის ყველა დეტალს შემდგომში საჭიროების მიხედვით აღსადგენად. ასეთი მოწმეების ჩვენება სრული და საიმედოა.

უნებლიე მეხსიერების დროს მოწმე ასეთ ამოცანას არ ისახავს. დანაშაულის შესახებ ინფორმაციას იგი გვაწვდის იმ ფორმითა და სახით, როგორიც მას უნებლიედ ჩარჩა მეხსიერებაში. ასეთი ინფორმაცია, რა თქმა უნდა, იძლევა საჭირო მასალას, მაგრამ მას სჭირდება ღრმა დაკვირვება და შემოწმება. უნებლიე მეხსიერებაზე ძლიერ გავლენას ახდენს ემოციები. ისეთი ფაქტები, რომლებიც მოწმეებში ძლიერ ემოციებს იწვევენ, უარყოფითად მოქმედებენ როგორც აღქმის, ასევე დამახსოვრების პროცესზეც. მოგონებაზე უარყოფითად მოქმედებს აგრეთვე და ძაბუკი გონებრივი მოქმედება, ახალ აღქმათა და საინტერესო მოვლენათა სიმრავლე. ინფორმაციის შენახვის ხანგრძლივობა აგრეთვე დამოკიდებულია მოწმის ინდივიდუალურ და ასაკობრივ თავისებურებებზე.

გამომძიებელმა უნდა იცოდეს, რომ მოწმე ყველაფერს **ვერ** აღადგენს დაკითხვაზე. იგი ფიქრობს, რომ ყველა დეტალის გახსენება არცაა საჭირო და რასაც ამბობს და იხსენებს, ეს სრულიად საკმარისია საქმისათვის. ინფორმაციის ზოგიერთი ნაწილის მოწოდებას იგი არც თვლის

Activate Windows

ჯიროდ. გამომძიებელმა კი მოწმისაგან ამომწურავი პასუხი უნდა მი-
ოს და მან მოწმეს დაკითხვის მსვლელობის დროს ისეთი კითხვები უნ-
დაუსას, რომლებიც მოწმეს გაუადვილებენ ამ დეტალების გახსენება-
და აღდგენას, იწვევენ დამატებით ასოციაციებს და, საბოლოო ანგა-
შით, აცოცხლებენ მეხსიერებას. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ
წმის მეხსიერებაში დავიწყებული ფაქტების გახსენებისთვის გამომ-
ებელმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დასვას შთაგონებადი კით-
ები.

მეხსიერება, როგორც აღქმა, გარესამყაროს ასახვის პროცესია.
ასიერება მოიცავს სამ სტადიას. ესაა დამახსოვრება, შენახვა და
დგენა-მოგონება.

დასამახსოვრებელი შინაარსის მიხედვით მეხსიერება იყოფა ოთხ
უფად (ტიპად):

მეხსიერება მოძრაობის მიმართ, რომელიც გამოიხატება ადამიანის
ერ სხვადასხვა მოძრაობების დამახსოვრებასა და აღდგენაში. მეხსი-
ების ეს ტიპი კარგად იმახსოვრებს საყოფაცხოვრებო, შრომით, სპორ-
ლ და სხვა მოძრავი ტიპის შტაბეჭდილებებს;

ემოციური მეხსიერება, რომლის დროსაც ადამიანი კარგად იმახსოვ-
ბს და აღადგენს განცდილ სიხარულს, დარდს, შიშს, სასოწარკვეთას
ა.შ. მეხსიერების ამ ტიპის მოწმე ან დაზარალებული არა მარტო
ახსოვრებს რომელიმე საგანს და მოვლენას, არამედ ემოციურ მიმარ-
ებებს ამ საგნების მიმართ;

სიტყვიერ-ლოგიკური მეხსიერება. მეხსიერების ასეთი ტიპის ადამი-
ი კარგად იმახსოვრებს აზრებს, გამონათქვამებს, დეფინიციებს, თე-
ებს. ამ დროს აღდგენა-მოგონებაც ზუსტია;

ხატოვანი მეხსიერება, როცა დაზარალებული ან მოწმეს ამახსოვრდე-
და თვალწინ უდგას შემთხვევის ეპიზოდების და დეტალების ხატები,
ამდის აღწერაც სიძნელეს არ წარმოადგენს. ასეთი პირები კარგად
ონებენ ადამიანთა სახეებს, ადგილის სურათებს, ადამიანთა ხმას,
ის ფერს, პრდუქტების ყნოსვით და გემოს თვისებებს.

ყოველ მოგონებას მოეთხოვება, რომ მასში ინფორმაცია ობიექტური
ბორით იყოს გადმოცემული სუბიექტის მიერ, რაც ფსიქოლოგიური
ალსაზრისით მეტად ძნელი საქმეა. ადამიანთა ერთი ნაწილი ასხვაფე-
ბს მომხდარ ფაქტს, ავსებს მას შეთხზული მომენტებით და ამახინ-
ებს მას ყოველი წინასწარი განზრახვის გარეშე. დამახსოვრებაზე დიდ
ველენას ახდენს განზრახვა. თუ ადამიანი სწავლობს ან აკვირდება

რაიმეს მისი დამახსოვრების მიზნითა და განზრახვით, იგი უკეთესად
მოიგონებს მას შემდგომ, ვიდრე მაშინ, როცა ეს კეთდება განზრახვის
გარეშე. ცნობილი ფსიქოლოგი ე.კლაპარედი, რომელიც დექციებს კითხუ-
ლობდა სასამართლო ფსიქოლოგიაში, მსმენელებს უსვამდა მარტივ კით-
ხვებს, რომლებიც უნივერსიტეტის კარებს, ფანჯრებს და ვესტიბიულის
სვეტებს შეეხებოდა. ამ საგნებს სტუდენტები ყოველდღე ხედავდნენ.
მიუხედავად ამისა ისინი უამრავ შეცდომას უშვებდნენ არა მარტო მათ
აღწერაში, არამედ არსებობაშიც (სტუდენტთა ერთი ნაწილი ამტკიცებდა,
რომ შემოსასვლელში არავითარი ფანჯარა არ იყო. სინამდვილეში კი ორი
ფანჯარა იყო).

როცა მოწმეს უძნელდება რაიმეს მოგონება, ხოლო გამომძიებელს
ძალიან ესაჭიროება მისი ჩვენება რომელიმე კონკრეტული საკითხის შე-
სახებ და დაჟინებით მოითხოვს მისგან მოგონებას, ასეთ დროს მოწმე
მოიშველიებს მის ფანტაზიას და შეავსებს იმ ხარვეზებს, რისი მოგო-
ნებაც არ შეუძლია. მოწმეს შეიძლება არ ახსოვდეს თუ რა ფერის ქუდი
ეხურა დამნაშავეს დანაშაულის ჩადენის მომენტში, მაგრამ მან შეიძ-
ლება გაიფიქროს, რომ ქუდი შეიძლება წითელი ყოფილიყო და "მოაგონ-
დეს", რომ დამნაშავეს წითელი ქუდი ეხურა.

მოწმეთა და დაზარალებულთა ჩვენების სიზუსტესა და სისრულეზე
გავლენას ახდენს აგრეთვე სიმპატია-ანტიპატია და წინასწარ შემუშა-
ვებული განწყობების სტერეოტიპი. ამერიკაში ფეხბურთის გულშემატკი-
ვართა დიდ ჯგუფს უჩვენეს ფილმი ფეხბურთის იმ მატჩის შესახებ, რო-
მელიც მათ სულ ახლახანს ნახეს. ცდის პირები იყვნენ ორივე გუნდის
გულშემატკივრები, რომლებსაც დაავალეს დაეფიქსირებინათ წესების ყო-
ველგვარი დარღვევები. აღმოჩნდა, რომ ცდის პირები მოწინააღმდეგე
გუნდის მოთამაშეთა ყველა დარღვევას დიდი გულმოდგინებითა და სიზუს-
ტით აღრიცხავდნენ, ხოლო თავიანთი გუნდის მოთამაშეთა დარღვევებს
"ვერ ამჩნევდნენ". ასეთი რამ ხშირად ხდება იმ მოწმეთა ჩვენებებში,
რომლებიც ახლო ნათესაურ ან მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებიან
ბრალდებულთან.

მცდარი აღქმის პირობაა აგრეთვე აღკოპოღი. მისი უარყოფითი
გავლენა რეაქციის დროზე მეტად დიდია. ასეთ დროს ყველაფერი შენელე-
ბულია, დარღვეულია მოძრაობის კოორდინაცია. აღკოპოღის მცირე დოზაც
კი ასუსტებს მხედველობას, სმენას, ყნოსვას, ფერების აღქმას (გან-
საკუთრებით წითელი ფერისას). ამიტომ მოწმეთა დაკითხვისას გამომძი-
ებელმა უნდა გაარკვიოს, ხომ არ ჰქონდა დასაკითხ პირს მიღებული
სპირტის ძცირე დოზაც კი.

Activate Windows

ცდილობს რა თავი აარიდოს პასუხისმგებლობას, დამნაშავე ფარავს დანაშაულში მის მონაწილეობას და იწყებს ყველაფრის უარყოფას. ასეთი დამნაშავეები თხზავენ ათასგვარ ლეგენდას აღიბის დასამტკიცებლად.

სიმართლის დაფარვის დროს ბრალდებული შეიძლება სარგებლობდეს შემდეგი მოტივებით. სიმართლის დაფარვა მხოლოდ "დამცავი იმპულსით" არ შემოიფარგლება. საკუთარი დანაშაულის დაფარვის მოტივი არ ატარებს იმპულსურ ხასიათს. იგი კარგად გაცნობიერებული და მყარია. ეს მოტივებია:

ა) სასჯელის შიში. ეს მოტივი ყველაზე უფროა გავრცელებული. ხშირად ესაა გამუდავნების, გახმაურების, საზოგადოებრივი გაკიცხვის, სირცხვილის შიში. მართალი ჩვენების დაფარვას ხელს უწყობს აგრეთვე შემთხვევები, რომლებიც დაკავშირებულია ბრალდებულის ან მისი ოჯახის წევრების ინტიმური მხარის გამუდავნებასთან;

ბ) სიმართლის დაფარვის მოტივი შეიძლება იყოს დანაშაულის თანამონაწილეთა დაფარვა, აგრეთვე დაინტერესებულ პირთა მხრიდან შურისძიების შიში. დაფარვა ხელს უწყობს აგრეთვე დამნაშავის რწმენა დანაშაულის გაუხსნელობის შესახებ.

გ) დაფარვა შეიძლება ატარებდეს პათოლოგიურ ხასიათს და დაკავშირებული იყოს დამნაშავის ფსიქონერვოლოგიური სფეროს დეფექტებთან.

არსებობს ტყუილის სხვადასხვა ფორმა. აშკარა ტყუილი ადრე გამოვლინდება ხოლმე. პრაქტიკაში ძალზე გავრცელებულია ნაწილობრივი ტყუილი. ამ დროს დამნაშავე ამახინჯებს ინფორმაციის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც მისთვის არასასურველია. ასეთ დროს ცრუ ჩვენებები ადვილად ანგარიშით წინააღმდეგობაში მოდის მართალ და სწორ ჩვენებებთან. ამიტომ გამომძიებელმა ბოლომდე უნდა აცალოს ბრალდებულს, თვითონ გაიხსენოს ლოგიკურ წინააღმდეგობებში და დაინახოს სიმართლის დაფარვის უპერსპექტივობა.

ბრალდებულმა, რომელიც შეგნებულად ტყუის, სიმართლე კარგად იცის. მის ცნობიერებაში ერთდროულადაა მოცემული საქმის ნამდვილი და გამოგონილი, მის მიერ შეთხზული ვითარება. იგი აქცენტს აკეთებს გამოგონილზე და ფარავს სიმართლეს. ამიტომ მას ხშირად წამოცდება საქმის ზოგიერთი დეტალის შესახებ, რომელიც სინამდვილეს შეეფერება და ეს შემთხვევა გამომძიებელმა ხელიდან არ უნდა გაუშვას.

ჩხრეკა პრის გადამალული ობიექტის ძებნა. ეს პროცესი შემთხვევის ადგილის დათვალიერებისაგან იმით განსხვავდება, რომ ამ დროს გამომძიებლის წინაშე დასმული ამოცანა ნათელია. გამომძიებელი გადამალული ობიექტის ძებნას აწარმოებს შემეცნებითი, კონსტრუქციული, ინტუიტიური და ორგანიზატორული კომპონენტების საშუალებით. ფსიქოლოგიის შემეცნებითი როლი ჩხრეკის დროს ვლინდება ორი მიმართულებით: ა) იმ ფსიქოლოგიური კანონზომირებების გამოვლენა, რომლებიც საფუძვლად ედება რომელიმე ობიექტის გადამალვას; ბ) ისეთი ტაქტიკური ხერხების დამუშავება, რომლებიც წარმატების საწინდარია.

იმისათვის, რომ მივაგნოთ გადამალულ ნივთს, საჭიროა ღრმად ჩავწვდეთ ამის ჩამდენი პირის ფსიქოლოგიას. უპირველეს ყოვლისა უნდა დაისვას კითხვა - რატომ გადამალა? ნივთის დამმალავი ძირითადად ხელმძღვანელობს იმ მოტივით, რომ ძიებისათვის მიუწვდომელი გახადოს საქმესთან დაკავშირებული რომელიმე ნივთი, რომელიც დანაშაულის საშიფრად შეიძლება გამოდგეს. ჩხრეკის ამოცანის გადაჭრის პროცესში გამომძიებელი სვამს შემდეგ კითხვებს: ა) გადამალული ობიექტის სავარაუდო ადგილის არჩევა; ბ) გადამალული ობიექტის სათანადო შენიღბვა და გ) ჩხრეკის პროცესის დაწყების წინ ქცევის სპეციფიკური წესებისა და ხერხების შემუშავება.

დამნაშავის მიერ გადამალვის ადგილის შერჩევა გულისხმობს ინტელექტუალური და ნებელობითი ძალების დიდ დაძაბულობას. დამნაშავემ უნდა შეარჩიოს ისეთი ადგილი, რომელსაც ვერ მიაგნებენ. სამალავის შერჩევა დამოკიდებულია დასამალავი ნივთის ფორმაზე, სახეობაზე, ზომაზე, ფერზე და ა.შ. ეს მდგომარეობა აიძულებს დამნაშავეს გამოიჩინოს გამომგონებლობა და ფანტაზია. ნივთების დამალვა ხდება ისეთ უჩვეულო, არაბუნებრივ ადგილებში, რომლებიც არ შეესაბამება ადამიანური აზროვნების ჩამოყალიბებულ სტერეოტიპებს. მაგალითად ვალიუტის დამალვა მურაბის ქილებში და ა.შ.).

დამალვის ადგილის შერჩევის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დამნაშავის პროფესიულ ცოდნა-ჩვევებს. ყოველივე ეს გამომძიებლისაგან მოითხოვს დამნაშავის პროფესიის თავისებურებების გათვალისწინებას. გამორიცხული არაა სპეციალისტების კონსულტაციაც.

სამალავის არჩევა დამოკიდებულია აგრეთვე დამნაშავის შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების განვითარების დონეზე, მის თვალსაწიერ-

Activate Windows

ზე, წარმოსახვაზე, ნიჭსა და უნარზე. თუ დამნაშავეს ასეთი უნარები მაღალ დონეზე აქვს განვითარებული, მაშინ იგი საიმედო და ძნელად მისაგნებ სამაღავს ირჩევს. არის შემთხვევები, როცა დამნაშავე უარს ამბობს, "ივიწყებს" თავის პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რომელიც, მისი აზრით, გამომძიებელში ეჭვს გამოიწვევს და სხვა ხერხს ხმარობს. გამომძიებელმა დამნაშავის ეს "ეშმაკობაც" უნდა გაითვალისწინოს.

სამაღავის შერჩევის შემდეგ დამნაშავე ნიღბავს მას. სამაღავის შენიღბვა ხასიათდება იმით, რომ ამ ადგილზე დგამენ დამატებით ნივთებს. მაგალითად, პარკეტის იმ ადგილზე, სადაც ნივთია დამალული, დგამენ ფიცრებს, კარადას და ა.შ. ერთ-ერთმა დამნაშავემ გვამი მიწაში ჩამარხა და საფლავზე ხე დარგო.

ხდება აგრეთვე დამალული ობიექტის ფსიქოლოგიური შენიღბვის ისეთი შემთხვევებიც, როცა დასამალი ნივთი გამოსაჩენ და თვალშისაცემ ადგილზეა დადებული. ესაა გამომძიებლის ყურადღების დეზორიენტაციის ცნობილი ხერხი.

სამაღავის შენიღბვისას ამ ადგილს აძლევენ ბუნებრივი მდგომარეობის სახეს, რათა მან არ მიიპყროს გამომძიებლის უურადღება თავისი არაბუნებრივობით. თუმცა, ხანდახან, დამნაშავეები აჭარბებენ ხოლმე ამ მიმართულებით და ზედმეტად გადატვირთავენ ხოლმე სამაღავს, რაც, თავის მხრივ, იწვევს ყურადღებას და ეჭვს. მაგალითად, ქოლგის (სადაც ძვირფასეულობაა დამალული) შენახვა ისეთ ადგილებში, სადაც ჩვეულებრივად ქოლგის ბუნებრივი ადგილი არაა (საწოლის ქვეშ, სამზარეულოში და ა.შ.). გამომძიებელს უნდა ახსოვდეს, რომ ჭარბი შენიღბვა საეჭვოს ხდის საიმედობას.

სამაღავის შენიღბვის შემდეგ ნივთის დამმალავი ირჩევს ქცევის წესს, რომელიც თავის მხრივ ნიღბავს მის დამოკიდებულებას დანაშაულებრივ ქცევასთან და კერძოდ დამალულ ობიექტთან. მაგალითად, დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დამტაცებელს აქვია ღარიბულად, აქვს მოუწყობელი ბინა და ა.შ. ან კიდევ მკვლელობისადმი დამოკიდებულების შენიღბვის დროს იგი იქცევა ისე, თითქოს ძალზე ნაწყენია და აღშფოთებულია ამ ამბით, ეხმარება კიდეც გარდაცვლილის ოჯახს, ზრუნავს მისი ოჯახის წევრებზე და ა.შ.

ჩხრეკის დროს ქცევის პროცესში სუბიექტი ცდილობს ჩხრეკის მწარმოებლის ყურადღების გაფანტვას და გადატანას სხვა ობიექტზე. ასეთ დროს ქცევის შენიღბვა ხორციელდება ორი - აქტიური და პასიური ფორმით. პასიური ფორმის დროს ეჭვმიტანილი ირჩევს ქცევის ისეთ ფორმას, რომელიც გამორიცხავს მასთან კონტაქტის დამყარებას (დუმილი,

სიტყვებზე მოკლე, ერთსმტყვიანი პასუხები, ერთსა და იმავე ადგილზე ყოფნა და ა.შ.). აქტიური ფორმა კი მიმართულია "დახმარებისა" და ძიებაში აქტიური ჩარევის იმიტაციისაკენ, ისეთი სიტუაციის შექმნისაკენ, თითქოს ის უდანაშაულოა და ეს მას არ ეხება. გამომძიებლისადმი ასეთი არაგულწრფელი დახმარების იმიტაცია ვლინდება ეჭვმიტანილის არაბუნებრივ, უჩვეულო ქცევაში და პროფესიონალი გამომძიებლისათვის იგი ძნელად შესამჩნევი არაა. ასეთი ქცევისათვის დამახასიათებელია გამომძიებლის ყურადღების გამფანტავი და გადამხრელი საუბარი და კითხვები. ხშირად გამომძიებლის ყურადღების გადამხრელ ასეთ მანერებს ახლავს წინასწარ მოფიქრებული ინსცენირების გათამაშებაც (ტონების დაკარგვა, გულყრა, ოჯახის რომელიმე წევრის ისტერიკა, კუჭის ან გულის მოულოდნელი შეტევა და სხვ.).

არჩევს რა დამნაშავე განსაზღვრული ობიექტის სამაღავს, ამით ის წყვეტს სააზროვნო ამოცანებს, რომელიც გულისხმობს ისეთი ადგილის შერჩევას, რომელსაც ვერ მიაგნებენ. როგორ ხდება სამაღავის შერჩევა? დამმალავი უპირველეს ყოვლისა თავის თავში "განიხილავს" ყველა შესაძლო ვარიანტს, ზოლოს არჩევანს შეარჩევს ერთზე. ეს დამნაშავე პირისაგან შემოქმედებითი ძიების რთული მომენტია. ამ სტადიაზე დამნაშავეები ხშირად აკეთებენ სპეციალურ სამაღავებს, ყიდულობენ დამატებით ავეჯს ან აშენებენ ახალ სამეურნეო ობიექტებს. სამაღავის ძიებაში დამნაშავე აწარმოებს "დაზვერვით" სამუშაოებს. იგი კონსულტაციებს ეუბნობა იმ პირებისგან, რომელთაც ადრე ჩაუტარდათ ჩხრეკა, კითხულობენ ფსიქოლოგიურ და კრიმინალისტურ სპეციალურ ლიტერატურას, ნახულობენ დეტექტიურ კინოფილმებს და ა.შ.

გამომძიებლის მიერ ჩატარებული ჩხრეკის პროცესი მოიცავს ორ პერიოდს: ა) საინფორმაციოს და ბ) ინტელექტუალურს. საინფორმაციო პერიოდი გულისხმობს გამომძიებლის მიერ ჩხრეკის ობიექტის შესახებ ფართე და სრული ინფორმაციის შეგროვებას, ხოლო ინტელექტუალური - ვერსიების წამოყენებას. ინფორმაციის შეგროვება თავის მხრივ გულისხმობს ინფორმაციის შეკრებას შენობისა და ოთახების განლაგების შესახებ, რომლის მიმართაც ტარდება ჩხრეკა. გროვდება ინფორმაცია ეჭვმიტანილის ფსიქიკური თვისებების, პროფესიის, ჩვევების, ჩვეულებების, გატაცების, მეგობართა და ნათესავთა წრის, სიმპატიების, ანტიპატიების შესახებ.

სამძებრო ვერსიების შესამუშავებლად საფუძველს ამზადებს რეფლექსური აზროვნება, რომელიც ამ შემთხვევაში კონკრეტულ ხასიათს

Activate Windows

ტარებს. ეს კონკრეტულობა კი დამოკიდებულია გამომძიებლის მიერ საეჭვო ობიექტის (დანა, პისტოლეტი, ნარკოტიკი, ძვირფასეულობა, გვამის ნაწილები და ა.შ.). წინასწარ ცოდნაზე.

სამაღავის შერჩევის და მოწყობის დროს დამნაშავეები ითვალისწინებენ აგრეთვე ფსიქოლოგიური რიგის ისეთ ფაქტორებსაც, როგორიცაა:) დაღლა და ავტომატიზმი. მაგალითად, საძებნ ობიექტს მალავენ წიგნის თაროს შუა ადგილას მდებარე წიგნში. ამ შემთხვევაში ვარაუდი, ნგარიში და გათვლა ეფუძნება იმას, რომ წიგნების დათვალიერებას ვეუღებრივ იწყებენ თაროს ერთი ან მეორე თავიდან, ხოლო თაროს შუაულში ვლინდება დაღლა და განსაზღვრული ავტომატიზმი, რის გამოც გამომძიებელი ყურადღებით უკვე აღარ აგრძელებს წიგნების დათვალიერებას; ბ) გათვლა ბიზღის მომგვრელ ადგილებზე, როცა საძებნ ობიექტებს ალავენ ნაგავში, ნაკელში, ტუალეტში და ა.შ.; გ) იმის ანგარიში, ომ გამომძიებელი გამოიჩენს ტაქტს, ზრდილობას და სხვა კეთილ თვისებებს (საგნების დამალვა ჩვილის და ავადმყოფის საწოლში, ახლობლის აფლავში და ა.შ.); საგნის განგებ გულუბრყვილოდ დაუმალავი დატოვება (როცა საგანს დებენ გამოსაჩენ ადგილას, ჯიბეში და ა.შ.); ე) ამომძიებლის ყურადღების გაფანტვისა და გადახრის მიზნით ორეული ამალავების გაკეთება, როცა პირველი "ცარიელი" სამალავის გასინჯვის შემდეგ დანარჩენებს აღარ სინჯავენ.

ამოცნობის ფსიქოლოგია

ამოცნობის პროცესი მოიცავს სამ ელემენტს, კომპონენტს:) ადამიანის გარეგნობის ან რომელიმე ობიექტის აღქმა;) გარეგნული თვისებებისა და ობიექტის ნიშნების აღქმა;) ობიექტის ამოცნობა წარმოდგენილთა შორის.

არსებობს ობიექტის აღქმის ორი ფორმა: ანალიზური, როცა ხდება არეგნობის ცალკეული თვისებების გამოყოფა (თვალების ან თმის ფერი, ვირის ფორმა) და სინთეზური, რომლის დროსაც ხდება საგნებისა და ვენებების მთლიანობითი აღქმა ცალკეული ნიშან-თვისებათა გამოყოფის არეშე. აღინიშნება მესამე, შერეული ფორმაც, რომელიც აერთიანებს ნალიზური და სინთეზური აღქმის ელემენტებს.

აღქმის პროცესის სისწორე და სისრულე განისაზღვრება აღქმის როცესზე ზემოქმედი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით. ფსიქიკუ-

რი ფაქტორებია აღქმის მომენტში ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა (შიში, ღელვა, რისხვა, სიხარული და ა.შ.), ყურადღების მიმართულება, ტკივილი, ავადმყოფობა, აღქმის მოდალობა. ხშირად ეს ფაქტორები მოქმედებენ კომპლექსურად და ერთი რომელიმე ფაქტორის გამოყოფა ძნელდება. შიშის ან აღელვების გრძნობა, რომელიც გამოიწვევა დანაშაულის პერიპეტიების ხიდვით, აღქმაზე დიდ გავლენას ახდენს. ამ მომენტში დამნაშავის გარეგნობა აღიქმება ჰიპერბოლიზირებულად.

დამნაშავე აღიქმება უფრო მაღლად, ვიდრე ის ობიექტურად არის, თვალები გადიდებულად და განათებულად, შავი თმები ქერად და ა.შ. გამომძიებელმა ყველა ეს მომენტი უნდა გაითვალისწინოს.

აღქმის სისრულე განისაზღვრება აგრეთვე რიგი ობიექტური ფაქტორებით (განათება, ამინდი, დანაშაულის ჩადენის დრო, ხმაური).

ამოცნობის არსი არის იდენტიფიკაცია. ამოცნობის პროცესი იდენტიფიკაციის შედეგია. ამოცნობის პირს აქვს წინასწარ შემუშავებული ხატი, რომლის იდენტიფიკაცია ამოცნობის პროცესში ხდება. ესაა საკმარისი და აუცილებელი ნიშნები. საკმარისია გვაროვნული, სქესობრივი, ჯგუფური ნიშნები. აუცილებელი ნიშანია ისეთი განუმეორებელი, ორიგინალური და სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც განსაზღვრავენ სახეს (სიმაღლე, სიდაბე, სიმსუქნე, სიგამხდრე, კოჭლობა, ცალხელობა...).

აღქმული ხატი მოწმის მეხსიერებაში შეიძლება ინახებოდეს განსხვავებული დროის განმავლობაში. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხდება ზოგიერთი დეტალის ან ნიშნის წაშლა, ამოვარდნა, დავიწყება, დამახინჯება. ამ შემთხვევაში მოწმის ფანტაზიამ შეიძლება ამ ხარვეზების შესავსებად შეკრი ისეთი რამ შეიტანოს, რასაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია. გამომძიებელმა აღქმის ეს თავისებურებაც უნდა გაითვალისწინოს.

რეკომენდებულია, რომ ამოცნობის პროცესს წინ უნდა უძღოდეს ფოტოროობტების ჩვენება, რის საშუალებითაც დაადგენენ გამოსაცნობი პირის მიახლოებით ტიპს, რაც იწვევს ასოციაციურ კავშირებს მოწმის მეხსიერების გამოსაცოცხლებლად.

ამომცნობი ყურადღებას აქცევს აგრეთვე ამოსაცნობის გამოხატული მოძრაობების თავისებურებას. ხელის გასმა, თავის ფხანა, ცხვირის ფხანა, ხელების ქნევა და სხეულის სხვა ნაწილების სპეციფიკური მოძრაობები ბევრ ინფორმაციას იძლევა პიროვნების სულიერი მღელვარებისა და მდგომარეობის შესახებ.

Activate Windows

მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, თუ ამოსაცნობი პირი რამდენ ადამიანს შორისაა მოთავსებული. ამას მნიშვნელობა აქვს ყურადღების განაწილების ფაქტორის სრულად მუშაობისათვის. რეკომენდებულია, რომ ამოსაცნობი პირი სამზე მეტ ადამიანს შორის არ იყოს მოთავსებული. როცა ამოსაცნობი სამზე მეტ ადამიანს შორისაა, შეიძლება ყურადღების გაფანტულობის გამო შედეგი არ იყოს სწორი. ამოსაცნობთა დიდი რიცხვი ხელს უშლის ამოცნობის სიწრაფეს და სისრულეს. როცა სრული გაიგივება, იდენტიფიკაცია ხდება, ამომცნობი დარწმუნებულია ამოცნობის სისწორეში და სწორ დასკვნას აკეთებს. ხოლო როცა ნაწილობრივი იდენტიფიკაცია ხდება ამომცნობის მსჯელობა ასეთია: "მგონი ისაა", "ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ჰგავს" და ა.შ. ამოსაცნობად ერთი პირის წარმოდგენა არ შეიძლება. გამონაკლისი კეთდება მხოლოდ გვამის ამოცნობის დროს, რადგან რამდენიმე გვამის ერთად ნახვამ შეიძლება ააღელვოს ამომცნობი და ამოცნობის პროცესი ჩაიშალოს კიდეც.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ამოცნობა გრძნობათა განსხვავებული ორგანოებით. პრაქტიკაში გავრცელებულია ამოცნობა მხედველობითი ხატის მიხედვით, რომელიც ორ ეტაპად იყოფა: სიმუდტანური და სექცესიური. სიმუდტანური ამოცნობა გულისხმობს წარმოდგენილი ობიექტის წამიერ ამოცნობას ცალკეული დეტალების გამოყოფის გარეშე. ესაა ე.წ. ერთი შეხედვით ამოცნობა. სექცესიური ამოცნობა კი გულისხმობს წარმოდგენილი ობიექტის ამოცნობას ლოგიკური ანალიზის დონეზე და ობიექტის ცალკეული დამახასიათებელი ნიშნების შედარებას იმ ხატის ნიშნებთან, რომელიც ადრე იყო აღქმული.

საგამომძიებლო პრაქტიკაში გავრცელებულია აგრეთვე ადამიანის ხმის ამოცნობა მისი ვიზუალური აღქმის გარეშე. იშვიათად გხვდება საგნებისა და ობიექტების ამოცნობა სუნისა და გემოს მიხედვითაც.

გამომძიებელმა უნდა გაითვალისწინოს აგრეთვე ზოგიერთი ფაქტორი, რ მელიც ხელს უწყობს ამოცნობის პროცესში ტენდენციურ აღქმას. ესაა ზოგიერთი ისეთი დეტალი, რომელიც თავისთავად იწვევს ყურადღებას და თვალში საცემია. მაგალითად, გადაპარსული თავი, გაუპარსავი სახე, დაჭმუჭნული, გაუუთავებელი ტანსაცმელი და ა.შ.

ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო ხდება ამოცნობის პროცესში ექსპერიმენტის ჩატარება. ეს იმისთვის ხდება, რომ შეიმოწმდეს ამომცნობის აღქმის სისრულე და საერთოდ მისი ფსიქიკური მოქმედების აქტივობის ხარისხი. ამისთვის წარმოებს ამოცნობათა სერიები, რომლის დროსაც აღსაქმელ ობიექტებს შეგნებულად უცვლიან სახეს და ცვლიან აღქმის პირობებსაც. ასეთი ექსპერიმენტები გამომძიებელს ბევრ საჭირო და სა-

სარგებლო ინფორმაციას აძლევს.

დაპირისპირების უსიკოლოგია

დაპირისპირება არის ორი ადრე დაკითხული პირი ერთდროული დაკითხვა მათ ჩვენებებში არსებული წინააღმდეგობების აღსაკვეთად. დაპირისპირების ფსიქოლოგიური თავისებურება ისაა, რომ საქმეში ამ ორ მონაწილეს შორის არის კონფლიქტური დამოკიდებულება. ასეთ შემთხვევებში ობიექტურად კონფლიქტური სიტუაციები აღმოცენდება მაშინ, როცა ერთ-ერთი მათგანი შეგნებულად იძლევა მცდარ ჩვენებას. კონფლიქტი კი მოიხსნება იმ შემთხვევაში, როცა დაპირისპირების დროს ერთ-ერთი პირი უარს იტყვის ფაქტების შეგნებულ დამახინჯებაზე.

დაპირისპირების მიზანია ჭეშმარიტების დადგენა, რომლის დროსაც ხდება იმ პირზე ზეგავლენის მოხდენა, რომელიც ცრუ ჩვენებას იძლევა. ამ შემთხვევაში დაპირისპირების პროცესის მონაწილე მეორე პირი არის ზემოქმედების სპეციფიკური საშუალება. დაპირისპრების აუცილებელი პირობაა ცრუ ჩვენების მომცემ პირზე დაპირისპირების პროცესში მონაწილე მეორე პირის აქტიური ზემოქმედება. ამიტომ დაპირისპირება გამომძიებელმა უნდა ჩაატაროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი დარწმუნებულია ერთ-ერთი პირის სიმართლეში. ეს პირი დაპირისპირების პროცესში იძლევა არა მხოლოდ რაიმე ინფორმაციას, არამედ თავისი მეტყველებით გამოხატავს ფაქტებისადმი და ამ პიროვნებებისადმი თავის დამოკიდებულებას. ამის გამო დაპირისპირება გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე რომელიმე მონაწილის ჩვენების გაცნობა. დაპირისპირების პროცესში ერთ-ერთ პირზე ზემოქმედებას ახდენს არა მარტო მეორე მონაწილე, არამედ გამომძიებელიც. დაპირისპირება არის დამატებითი საშუალება ცრუ ჩვენების გამოსავლენად.

დაპირისპირების ეფექტურობა დამოკიდებულია შემდეგ პირობებზე ა) დაპირისპირების პროცესის ჩასატარებლად წინასწარი მომზადების დონე. დაპირისპირება მაშინაა კარგად მომზადებული და ორგანიზებული, როცა გამომძიებელმა დაკითხვაზე წინასწარ გამოიყენა დარწმუნების

მეთოდი. დაპირისპირება არის ერთ-ერთი რგოლი გამოძიების ჯაჭვში, რომლის მიზანია რომელიმე მონაწილის ცრუ ჩვენების შეცვლა, როცა პირი თვითონ დარწმუნდება ცრუ ჩვენებების უაზრობაში.

ბ) დაპირისპირების მოუცილებლობა. რაც უფრო მოუცილებელია დაპირისპირება, მით უფრო მეტ ზემოქმედებას ახდენს იგი ცრუ ჩვენების მიმცემ პირზე.

გ) დამნაშავის პიროვნებაზე ზნეობრივ-ემოციური ზემოქმედება. ცრუ ჩვენების მიმცემი პირის ზნეობრივ მხარეზე ზემოქმედება ეფექტური შედეგის მომცემია.

დ) დაპირისპირების მომზადებისას შესწავლილი უნდა იქნას ის ფსიქიკური ურთიერთობანი და დამოკიდებულებანი, რომელიც დაპირისპირებული პირებს შორის არსებობს. აქვთ თუ არა მათ ერთმანეთის მიმართ სიმპატია-ანტიპატია, იყო თუ არა რომელიმე მათგანი მოერებე დამოკიდებული ან მისი გავლენის ქვეშ. დაპირისპირების პროცესის მომზადება მაშინ უნდა კარგად, როცა დაპირისპირებულ პირთაგან ერთ-ერთი ორგანიზატორია და მეორე იმყოფება მისი გავლენის ქვეშ.

არსებობს დაპირისპირების ორი ფორმა:

ა) დაპირისპირება, რომლის მიზანია დაეხმაროს ერთერთ მონაწილეს დავიწყებული ფაქტებისა და მოვლენების გახსენებაში. დაპირისპირების ეს სახე ხასიათდება იმით, რომ ამ დროს დაპირისპირების მონაწილეებს შორის კონფლიქტს არ აქვს ადგილი. დაპირისპირების ფორმის დროს არაა საჭირო მოუცილებლობა. შეიძლება დაპირისპირებისა და მისი მიზნის შესახებ მონაწილეებს წინასწარ ეცნობოს.

ბ) დაპირისპირების ერთ-ერთ მონაწილეს შეიძლება მართლაც დაავიწყდეს ფაქტები. მაშინ დაპირისპირების პროცესში მას მოატონებენ ამას, ხოლო თუ იგი "ვერ იხსენებს", დაპირისპირების პროცესში მასზე ხორციელდება ფსიქიკური ზეგავლენა. ამ დროს დაპირისპირების პროცესში შეიძლება მოწვეულ იქნას აგრეთვე საქმის რომელიმე სხვა მონაწილეც.

გ) დაპირისპირება, რომელიც ტარდება ბრალდებულის მოთხოვნით. ამ დროს დაპირისპირება ბრალდებულის მხრიდან გამოდის როგორც თავდაცვის საშუალება. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ბრალდებულები ხშირად დაპირისპირების ასეთ ხერხს მიმართავენ მაშინ, როცა უნდათ განსაზღვრული ფსიქიკური ზეგავლენა მოახდინონ იმ პირებზე, რომლებიც მათთვის სასარგებლო ჩვენებას არ იძლევიან.

საგამომძიებლო ქმედებებს შორის, რომელთა საშუალებითაც გამომძიებელი მტკიცებით ინფორმაციას ღებულობს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შემთხვევის ადგილის დათვალიერებას, რომლის მიზანია იმ მტკიცებათა შეგროვება, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის გახსნასა და ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. დათვალიერების პროცესში ნათელი ეფინება ისეთ საკითხებს, რომლებიც მოითხოვს ინტელექტუალურ დაძაბვას, ანალიზურ მიდგომას და დანაშაულთან დაკავშირებული საკითხების გააზრებას.

შემთხვევის ადგილი შეიცავს ბევრ ინფორმაციას დანაშაულის შესახებ. გამომძიებელმა უნდა შეძლოს დანაშაულის ადგილმდებარეობის "წაკითხვა". ამას კი სჭირდება დაკვირვების, მეხსიერების, ყურადღების და აზროვნების სრულყოფილი მუშაობა. ადგილმდებარეობის დათვალიერებისას უნდა გაირკვეს შემდეგი: უნდა დადგინდეს მონაცემები დანაშავის პიროვნების შესახებ, დანაშაულის ადგილზე მისი ყოფნის დრო, დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზნები, დანაშაულის ადგილზე დამნაშავის შეღწევის ხერხები და გზები, დანაშაულის კვალის დაფარვის მოტივები და სხვა.

დანაშაულის ადგილის დათვალიერებას დიდი მნიშვნელობა აქვს საგამომძიებლო ვერსიის შედგენის საქმეში. ადგილის დათვალიერება ბევრ მასალას და მონაცემს იძლევა გამოძიების სწორი მიმართულებით წარმართვისათვის და საშუალებას იძლევა სწრაფად და ეფექტურად იქნას წამოყენებული საგამომძიებლო ვერსია.

ადგილმდებარეობის დათვალიერების დროს საჭირო ხდება შემდეგი ფსიქოლოგიური ამოცანების გადაწყვეტა:

ა) შემთხვევის ადგილის მდგომარეობის ვიზუალური აღქმა;

ბ) აღმოჩენილი კვალისა და ნივთიერი მტკიცებების აზრობრივი ანალიზი;

გ) აღმოჩენილ ნივთებსა და დანაშაულის ფაქტს შორის მიზეზობრივი კავშირების დამყარება;

დ) მომხდარი მოვლენის აზრობრივი მოდელის შექმნა.

გამომძიებლის მიერ შემთხვევის ადგილის მდგომარეობის აღქმა ექვემდებარება აღქმის ზოგად კანონზომიერებებს. მაგრამ იურისპრუდენციაში მას აქვს გარკვეული სპეციფიკა. ამ დროს აღქმის პროცესს აწარმოებს პროფესიონალი გამომძიებელი, რომელსაც განვითარებული აქვს აღქმის უმაღლესი საფეხური – დაკვირვება. შემთხვევის ადგილის

Activate Windows

აღქმა და ობიექტური ანალიზი გამოძიების პროცესში განხორციელებული შემეცნების ერთ-ერთი საფეხურია.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება თავისებური კვლევითი მუშაობაა, რომელიც მოითხოვს მრავალი სააზროვნო ამოცანის გადაჭრას. ეს ამოცანები შეიძლება დაიაგდეს ორ ჯგუფად: ა) ამოცანები, რომლებიც ემსახურება ინფორმაციის გამოვლენას, შეკრებას, ზოგადი და კერძო ვერსიების წამოყენებას; ბ) ოპერატიული, სამძებრო და გამოძიებითი ოპერაციის ამოცანები.

გამომძიებლის მიერ შემთხვევის ადგილის დათვალიერება უკავშირდება ინფორმაციის სიმწირეს. არის შემთხვევები, როცა შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს გამომძიებლის წინაშე დასმულ საკითხებს აქვს კომპლექსური ხასიათი. გამომძიებელმა უპირველეს ყოვლისა უნდა დაადგინოს ჰქონდა თუ არა ადგილი დანაშაულს (ხომ არ იყო უბედური შემთხვევა ან თვითმკვლელობა), ვინ ჩაიდინა დანაშაული, როდის და რა მოტივი ედო საფუძვლად დანაშაულს და ა.შ.

დათვალიერების დროს აღმოჩენილი ინფორმაცია პირველ ეტაპზე წარმოადგენს კონკრეტული ხატების კრებადობას, რომელიც შემდეგ ფორმდება ვერსიის სახით და იღებს სიტყვიერ-ლოგიკურ ფორმას. დათვალიერების ადგილზე შეკრებილი ინფორმაციის შემდეგ დგება სინთეზისა და ანალიზის პროცესი.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას გამომძიებელმა უნდა გადაწყვიტოს სამი ამოცანა:

ა) ყოველგვარი ინფორმაციის შეგროვება, რომელსაც შეიძლება კავშირი ჰქონდეს დანაშაულთან. ამ საფეხურზე ინფორმაციის შეგროვებისას გამომძიებელმა არ უნდა იმოქმედოს რომელიმე ერთი ვერსიის გავლენით;

ბ) მოპოვებული ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე განსაზღვრული ვერსიის შექმნა;

გ) შემუშავებულ ვერსიაში ფაქტებისა და მოვლენების შეპირისპირება, რომელიც ხორციელდება წარმოსახვითა და ანალიზური აზროვნების გზით.

სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა

საგამომძიებლო საქმიანობასა და სასამართლო განხილვის პროცესში ხშირია შემთხვევები, როცა საჭირო ხდება ფსიქოლოგიის მეცნიერების რომელიმე ვიწრო სპეციალობის მონაცემების გამოყენება. ეს უპირველეს ყოვლისა ეხება მოწმეთა, დაზარალებულთა, ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა და სხვათა რომელიმე ფსიქიკური თვისების სპეციფიკური თავისებურების დადგენას.

გამომძიებელის და მოსამართლის ფსიქოლოგიის სფეროში განსწავლულობა დიდად უწყობს ხელს დანაშაულის გამოძიებისა და დამნაშავეთა ხელახლი აღზრდის რთულ საქმეში. მაგრამ პრაქტიკაში ბევრი შემთხვევა ხდება, როდესაც გამომძიებლისა და მოსამართლის ფსიქოლოგიის სფეროში განსწავლულობა არაა საკმარისი და საჭირო ხდება ფსიქოლოგ-ექსპერტის მოწვევა. ამის გამო რიგ შემთხვევებში რთული და ფაქიზი ამოცანების გადასაწყვეტად აუცილებელი ხდება ფსიქოლოგიური მეცნიერების ზოგიერთი სპეციფიკური და სპეციალური ცოდნის გამოყენება, რის გამოც ინიშნება სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა.

სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა არის ფსიქოლოგის მიერ სამართლებრივი სინამდვილის ზოგიერთი მხარის გამოკვლევა და შეფასება. სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაზე და შედეგებზე ბევრადაა დამოკიდებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღება დანაშაულის ობიექტურობისა და ბრალდების შემდგომი ბედის შესახებ.

სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა ინიშნება იმ შემთხვევაში, როცა ბრალდებულის, მოწმის, დაზარალებულის და სხვათა პიროვნება ხასიათდებიან თავისებურებებით, რომელთა გამოკვლევას სჭირდება აუცილებელი პროფესიონალური ფსიქოლოგიური მომზადება. სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა ძირითადათ ინიშნება სისხლის სამართლის პროცესში, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სასამართლოში.

სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა გამოიყენება იმ პირების მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს რაიმე ქმედება, რომელიც ფსიქოლოგიური თავისებურებებითაა განპირობებული. სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ობიექტები არიან ნორმალური ფსიქიკის ადამიანები და ისინი ფსიქიატრიის სფეროს არ განეკუთვნებიან, მათ ფსიქიკურ სრულფასოვნებაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის საშუალებით ვლებულობთ მონაცემებს, რომლის საშუალებითაც სწორად ფასდება რომელიმე ფსიქიკური თვისების გავლენის თავისებურება ქცევაზე. საგამომძიებლო პრაქტიკაში ექსპერტი ფსიქოლოგის მონაწილეობა აუცილებელია იმ შემთხვევაში, როცა ეჭვი ჩნდება ჭეშმარიტების თვალსაზრისით.

სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა არ უნდა ავურიოთ სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზაში, რომელიც იკვლევს თანდაყოლილ ან შეძენილ ნერვულ და ფსიქიკურ დარღვევებსა და გადახრებს (ფსიქოზები,

Activate Windows

ნევროზები, შიზოფრენია, ფსიქოპათია...). სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველია გამომძიებლის ან მოსამართლის ეჭვი მოწმის, დაზარალებულის ან ბრალდებულის ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ.

სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა ინიშნება ფიზიკურად ჯანმრთელი პირების მიმართ. ექსპერტი ფსიქოლოგი არ იკვლევს და არ აფასებს ექსპერტ ფსიქიატრის ს. კითხებს. საგამომძიებლო-სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა საჭირო ხდება კომპლექსური სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა და ჩატარება.

ვ.კონოვალოვას მიხედვით სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა იხილავს ისეთ საკითხთა რიგს, როგორიცაა:

ა) მოწმეთა უნარის შემოწმება მათი ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. მათი გონებრივი განვითარების მდგომარეობის დადგენა, შეუძლიათ თუ არა მათ სწორად აღიქვან საგნები და მოვლენები და მისცენ ზუსტი ჩვენება;

ბ) არასრულწლოვან დამნაშავეთა უნარების შესწავლა, რომელთაც აქვთ გონებრივი ჩამორჩენილობა და რომელიც არაა დაკავშირებული ფსიქიკურ დარღვევებთან. შეუძლიათ თუ არა მათ საკუთარი ქცევის მნიშვნელობისა და შედეგების გათვალისწინება და კონტროლი;

გ) დანაშაულის ჩადენის მომენტში აფექტის არსებობა;

დ) პროფესიონალური ფუნქციის შესრულების ხელშემშლელი ფსიქიკური მოვლენების აღმოცენება (ავიაციაში, რკინიგზასა და საავტომობილო ტრანსპორტზე, ოპერატორის მოქმედებაში და ა.შ.).

ე) ჰქონდა თუ არა პირს სიკვდილის წინ ისეთი ფსიქიკური მდგომარეობა, რომელმაც ხელი შეუწყო თვითმკვლელობას.

ამრიგად, სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა ინიშნება მაშინ, როცა აუცილებელია სპეციალური ფსიქოლოგიური ცოდნის გამოყენება დანაშაულის ნამდვილი მოტივისა და დანაშაულებრივი განზრახვის ჩამოყალიბების მექანიზმის დასადგენად.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის მიზანდასახულობა და ამოცანები მხოლოდ ზემოთჩამოთვლილი საკითხების გაშუქებითა და გარკვევით არ შემოიფარგლება. პრაქტიკაში ექსპერტ-ფსიქოლოგთა წინაშე დგება ისეთი საკითხების შესწავლის აუცილებლობაც, რომელთა გადაჭრის გარეშეც ობიექტური ჭეშმარიტება არ მიიღწევა. ეს საკითხებია:

ა) დამნაშავის როგორი კონფლიქტური განცდები უსწრებდა წინ დანაშაულის ჩადენას და რა გავლენა მოახდინა ამან დანაშაულებრივ ქცევაზე

ბ) იყო თუ არა დამნაშავე დანაშაულის ჩადენის მომენტში ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში;

გ) რა ხასიათის აფექტის მიზეზით, რა ფორმით მიმდინარეობდა, შეეძლოთ თუ არა მისი აფექტური მდგომარეობა შეენიშნათ გარშემომყოფებს;

დ) აქვს თუ არა ბრალდებულს (არასრულწლოვანს) ფსიქიკის ისეთი ნიშნები, რომლებიც ხელს უშლიან საკუთარი ქცევების რეგულაციასა და კონტროლს.

ე) თავისი გონებრივი განვითარების დონის გათვალისწინებით შეეძლო თუ არა დამნაშავეს სწორად შეეფასებინა საკუთარი ქცევის მნიშვნელობა და შედეგები.

ვ) აქვს თუ არა მოცემულ პირს გონებრივი ჩამორჩენილობის ნიშნები (რომლებიც ფსიქიკურ დაავადებასთან პირდაპირ დაკავშირებული), რაში გამოიხატება ასეთი გონებრივი ჩამორჩენილობის რა ფორმა აღენიშნება დამნაშავეს.

ზ) შეეძლო თუ არა არასრულწლოვან დამნაშავეს გაეთვალისწინებინა მისი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი და სწორედ აღექვა საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები და მოვლენები.

თ) აქვს თუ არა მოცემულ დამნაშავეს ისეთი ასაკობრივი და ინდივიდუალური ნიშნები, რომლებიც გავლენას მოახდენენ მისი ჩვენების ობიექტურობაზე.

პრაქტიკაში ხშირად სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა ინიშნება არასრულწლოვანი დამნაშავის მიმართ. ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი შეიძლება გახდეს არასრულწლოვანი პირის ქცევის არაადექვატურობა ასაკობრივ დამოკიდებულ თავისებურებებთან, ჩვეულებრივი მოვლენებისა და ფაქტების უჩვეული ინტერპრეტაცია, ფანტაზიისადმი მიდრეკილება და ა.შ.

სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია ფიზიოლოგიური აფექტის დროს ჩადენილი დანაშაულის საკითხი. არჩევენ აფექტის ორ სახეობას: ფიზიოლოგიურს და პათოლოგიურს.

ფიზიოლოგიური აფექტი არის ფსიქიკური მოქმედების დეზორგანიზაცია, რომელიც მიმდინარეობს დიდი ძალით. იგი ხანმოკლეა. ამ დროს ვიწროვდება ცნობიერება, ირღვევა ნებელობითი და ინტელექტუალური პროცესები. აფექტით შეპყრობილ ადამიანს არ ესმის რჩევისა და დამშვიდების სიტყვები. აფექტის დროს ადამიანს არ შეუძლია ნორმალურად მსჯელობა, მოცემული პირობებისა და საკუთარი ქცევის საღი შეფასება. ასეთ დროს ადამიანი კარგავს საკუთარი ქცევის შეგნებული რეგულაციის უნარს. აფექტია ძლიერი რისხვა და შიში, რომელიც მთლიანად იპყრობს

Activate Windows

ადამიანს და ისეთ რაიმეს ჩაადენინებს, რომელსაც იგი შეგნებულად არ მოიმოქმედებდა. აფექტის აღმოცენება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ტემპერამენტისა და პიროვნების ტიპზე. აფექტის წამოწყებადამოკიდებულია აგრეთვე მოცემული აფექტის ინტენსივობასა და იმ სიტუაციაზე, რომელიც წინ უსწრებდა აფექტის აღმოცენებას.

პათოლოგიური აფექტი არის ემოციური აფეთქების ხარისხის, რომლის დროსაც სუბიექტი ვერ იმორჩილებს საკუთარ ქცევებს და ვერ ახერხებს მათ ვერ ფორმირებას. აფექტის ეს სახე ხასიათდება ცნობიერების ძლიერი შევიწროებით და შემთხვევის გარემოებათა შემდგომი ამნეზიით (სრული დავიწყებიდან ამოვარდნა). პათოლოგიური აფექტის საფუძველია ძლიერი წყენა, მოულოდნელი მწუხარება და სხვა სტრესული სიტუაციები. ფიზიოლოგიური აფექტის დასადგენად ინიშნება სასამართლო-ფსიქოლოგიური, ხოლო პათოლოგიური აფექტის დასადგენად – სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

პათოლოგიური აფექტის მაჩვენებელია უსისტემო ქცევები, დაუკავშირებელი მეტყველება, ყურადღების გადართვის შეცდომები, სხვა ადამიანთა მოქმედებაზე რეაქციის უქონლობა. ესაა ძლიერი უპირობო რეაქცია.

ფიზიოლოგიური აფექტის ნიშნებია გამღიზიანებლზე მოულოდნელი და ძლიერი რეაქციები, რომლებიც არაადეკვატურია მისადმი.

აფექტი არის ჩადენილი დანაშაულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება.

ფიზიოლოგიური აფექტი მოქცეულია ადამიანის ემოციური მდგომარეობის ნორმებში. იგი ხასიათდება მოულოდნელი აღმოცენებით, დიდი ძალითა და წამიერებით. მას სწავლობს ფსიქოლოგია. ასეთი აფექტის საფუძველია ჯანმრთელი ადამიანისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ნეიროდინამიკური პროცესები. ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ტერმინი ფიზიოლოგიური აფექტი არ იხმარება. ამ ტერმინს ხმარობს იურიდიული ფსიქოლოგია პათოლოგიური აფექტისაგან განსხვავების მიზნით. ფიზიოლოგიური აფექტის დიაგნოსტიკა ექსპერტ-ფსიქოლოგის კომპეტენციაა. ჩვეულებრივი აფექტი არ იწვევს ცნობიერების ამღვრევას, რის გამოც ადამიანს, როგორც წესი, ახსოვს ამ მომენტში ჩადენილი ქმედებები. თუმცა, ხანდახან, აღინიშნება შემთხვევები, როცა ქცევის ცალკეული ელემენტები ამოვარდება მეხსიერებიდან.

ექსპერტმა ფსიქოლოგმა აფექტის დადგენის დროს უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები: 1) კანონსაწინააღმდეგო ქმედების წინმსწრები სიტუაციის ფსიქოლოგიური ანალიზი; 2) ბრალდებულის პიროვნე-

ბის მყარი თვისებების ანალიზი, რის მასალასაც იძლევა მოწმეთა ჩვენება, დახასიათებები სწავლის ან მუშაობის ადგილიდან, საუბარი; 3) მონაცემები ფსიქო-ფიზიოლოგიური მდგომარეობის შესახებ დანაშაულის ჩადენის მომენტში (დაღლილობა, უძილობა, სომატიური დაავადება); 4) დანაშაულის ჩადენის მომენტში სუბიექტის ქცევის ანალიზი (მოქმედების თანმიმდევრობა, მიზანმიმართულობა და ა.შ.); 5) სუბიექტის ქცევის ანალიზი დანაშაულის შემდეგ; 6) სუბიექტის მიერ საკუთარი დანაშაულებრივი ქცევის შემდგომი შეფასების ანალიზი, რომლის მასალასაც იძლევა ეჭვმიტანილთან საუბარი.

უკანასკნელ ხანებში ფსიქოლოგთა წრეებში ყურადღება ექცევა სტრესული მდგომარეობის შესწავლას, რომელიც აღმოცენდება დაძაბულობისა და, საერთოდ, ექსტრემალურ სიტუაციებში. სტრესული სიტუაციები ხასიათდება უფრო ნაკლები ძალითა და "აფეთქებებით", ვიდრე აფექტები. სტრესული სიტუაციები აღმოცენდება სხადასხვა ექსტრემალური ფაქტორების ზეგავლენით. ესაა მოულოდნელი და ძალიან ძლიერი გამღიზიანებლები, მოლოდინი, დროის დეფიციტი, დაძაბულობა, სამსახურის წარუმატებლობანი და ა.შ.

სტრესული მდგომარეობის გავლენით ადამიანის ფსიქიკური მოქმედების ცვლის ტიპური ფორმაა ქცევის მოქნილობისა და პლასტიკურობის დაკარგვა. ამ დროს ირღვევა მოქმედების მიზნის არჩევის პროცესი, ქცევის თანმიმდევრობა და ლოგიკურობა, რის გამოც ხდება შეცდომები გარესამყაროს ობიექტებისა და მოვლენების აღქმაში, მცირდება ყურადღების მოცულობა, ვითარდება დამახსოვრების ხარვეზები, ირღვევა სივრცითი და დროითი ინტერვალების შეფასება და ვითარდება სიძნელეები მთლიანობაში სიტუაციის გაგებაში. ხანგრძლივმა სტრესულმა მდგომარეობამ შეიძლება ადამიანი მიიყვანოს აფექტამდე.

სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა გაუპატიურების დროს გამოიხატება ქალის უმწეო მდგომარეობის დადგენით გაუპატიურების პროცესში. ხანდახან ძნელდება დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის დადგენა იმის გამო, რომ ქალის პასიურმა მდგომარეობამ, წინააღმდეგობის გაწევის აშკარა ნიშნების არარსებობამ შეიძლება შეამსუბუქოს ბრალდებულის დანაშაული. არის შემთხვევები, როცა დაზარალებულ ქალს თავისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მონაცემების საფუძველზე შეეძლო ხელი შეეშალა დანაშაულისათვის, მაგრამ მან ეს არ მოიმოქმედა. გამოყოფენ ქალის უმწეო მდგომარეობის სამ ფორმას (ა.ანდრეევა): ა) არაცნობიერი მდგომარეობა (ე.ი. როცა სულიერი ავადმყოფობის გამო ქალი ანგარიშს ვერ უწევს ვერაფერს); ბ) ფიზიკური უმწეობა (ავადმყოფო-

Activate Windows

ბა); გ) მდგომარეობა, როცა უმწეობა გაპირობებულია პირობებით (ჯგუფური გაუპატიურება განმარტოებულ ადგილას). ასეთ შემთხვევაში ექსპერტ-ფსიქოლოგმა უნდა გაარკვიოს ისეთი საკითხები, როგორიცაა:
ა) დაზარალებული ქალის ფსიქიკური განვითარების პირობების შესწავლა სკოლის პერიოდში, ვინ ახდენდა მასზე ძლიერ ზეგავლენას, ჰქონდა თუ არა მას ახალი სიტუაციების მიმართ ადაპტაციის დეფექტები, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მშობლებთან, მასწავლებლებთან, თანატოლებთან (განსაკუთრებით ბიჭებთან), როგორ რეაგირებდა სასჯელისა და წახალისების ფორმებზე;
ბ) ძირითადი ინტერესების თავისებურება, ჩვეულებებისა და გართობის ფორმების სპეციფიკა, რომლებიც წინ უსწრებდა დანაშაულს. აქ ყურადღება უნდა მიექცეს განსხვავებული სქესის ადამიანებთან ურთიერთობას, ხომ არ იჩენდა დაინტერესებას სექსუალური საკითხებით და თუ ასეთი ინტერესი აღინიშნებოდა, მაშინ რა ფორმით;
გ) დაზარალებულის ქარაქტეროლოგიური ნიშნების შესწავლა. ასეთ დროს ქალის პიროვნული თვისებები ღრმად უნდა იქნას შესწავლილი;
დ) დაზარალებულის შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების შესწავლა;
ე) კრიმინალური მოვლენის სიტუაციის შესწავლა (ბრალდებულის, დაზარალებულის და მოწმის ჩვენება, ადგილმდებარეობის შესწავლა);
ვ) კრიმინალური მოვლენის დროს დაზარალებულის ქცევის შესწავლა;
ზ) დაზარალებულის ემოციური მდგომარეობის შესწავლა ბრალდებულთან ურთიერთობის პერიოდში;
თ) დაზარალებულის მიერ მომხდარი ფაქტის შეფასება სოციალური, ბიოლოგიური და მორალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის პრაქტიკამ უჩვენა, რომ გაუპატიურების დროს დაზარალებულებს აღმოუცენდებათ შიშისა და აფექტის გრძნობა. აფექტის მდგომარეობაში მყოფ ქალს უქვეითდება სიტუაციის გაცნობიერებისა და შეფასების უნარი და მისი ქცევა სიტუაციის შესაბამისი ხდება.

არასრულწლოვანთა ქალაქის სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის სპეციფიკა გამოიხატება მოზარდთა ფსიქიკური ჯანმრთელობის გარკვევაში. სრულიად ესმით თუ არა მათ თავიანთი მოქმედებისა და ქცევის შედეგები, მნიშვნელობა. თოთხმეტი წლის ასაკში მოზარდი ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებაში აღწევს ისეთ დონეს, როცა მას შეუძლია საკუთარი ქცევის ცნობიერი რეგულაცია და მართვა. ამის გამოსარკვევად არ კმარა მოზარდის მხოლოდ ინტელექტუალური შესაძლებლობების შესწავლა. საჭიროა აგრეთვე მისი პიროვნების მხარეებისა და

თვისებების შესწავლაც.

სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დროს უნდა დადგინდეს ფსიქიკურ განვითარებაში მოზარდთა ჩამორჩენის მიზეზები. მოზარდის ფსიქიკური და პიროვნული განვითარების ძირითადი მაჩვენებელი არის ცნობიერება და თვითცნობიერება. ცნობიერების თანდათანობითი განვითარების კვალობაზე ადამიანის ქცევა ხდება უფრო მიზანდასახული, მოწესრიგებული, ნებელობითი. ქცევა კარგავს ბავშვისათვის დამახასიათებელ ინფანტილიზმსა და უკონტროლობას.

ტექნიკის მართვასთან დაკავშირებული სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის თავისებურება ისაა, რომ ტექნიკური მიღწევების თანდათანობითმა გართულებამ ადამიანი დააყენა რთული ამოცანის წინაშე. საჭირო გახდა ავტომატური და ნახევრადავტომატური ფუნქციების შეფასება ადამიანის რეალურ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ შესაძლებლობებთან. ასეთი რთული შრომითი ოპერაციების შესრულებას სჭირდება ადამიანის ფსიქო-ფიზიკური ძალების მაქსიმალური დაძაბვა. ადამიანი-ოპერატორის პროფესიული დაოსტატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მის ფსიქიკურ და ფიზიოლოგიურ თავისებურებებზე (აღქმა, მეხსიერება, აზროვნება, უმაღლესი მოქმედების ტიპი) და ფუნქციონალურ მდგომარეობაზე (ემოციური დაძაბულობა, დაღლა).

თანამედროვე რთული ტექნიკის მართვასთან დაკავშირებული შემთხვევების გამოძიება აუცილებელს ხდის შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგიის უფსპერტ-სპეციალისტის მოწვევას.

სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ამოცანა თვითმკვლელობის დროს იმაშია, რომ ამ დროს ცენტრალური ადგილი ეთმობა გარდაცვლილის ფსიქიკური მდგომარეობის დადგენას დაღუპვის მომენტში. ე.ი. უნდა იქნას გამოკვლეული მიზეზები, რამაც ადამიანი თვითმკვლელობამდე მიიყვანა. აფექტთან ერთად ამ დროს მოქმედებს აგრეთვე ემოციური სტრესი და ფრუსტრაცია. ამ დროს ექსპერტ-ფსიქოლოგს უნდა ახსოვდეს, რომ ექსტრემალური ფსიქიკური მდგომარეობის აღმოცენებას შეიძლება მნიშვნელოვნად აპირობებდეს პიროვნების მყარი ფსიქიკური ნიშნები და ის ფსიქიკური მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდა დაღუპული უშუალოდ თვითმკვლელობის წინ. ე.ი. დასადგენია თვითმკვლელობის ფაქტორები.

სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ფუნქციაა აგრეთვე წერილობითი დოკუმენტის ან ტექსტის ავტორობის დადგენაც. ნაწერის ავტორობის დადგენის დროს გამომძიებელი ან მოსამართლე ძირითადად მიმართავს ექსპერტ-კრიმინალისტს (გრაფოლოგს). ამ დროს საჭირო ხდება ექსპერტ-ფსიქოლინგვისტის მოწვევაც. თუ ტექსტი ნაბეჭდია, მაშინ მისი

Activate Windows

ავტორობის საკითხი დგინდება მისი შანაარსის მიხედვით. ტექსტის ავტორობის ობიექტურად დადგენა საშუალებას აძლევს მოსამართლეს და გამომძიებელსსწორად იმსჯელოს ავტორის პოზიციის, ემოციური მდგომარეობის, პიროვნული და ასაკობრივი თავისებურებების შესახებ.

ამრიგად, სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა გამომძიებელსა და მოსამართლეს აძლევს ინფორმაციას ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, როგორიცაა:

1) ბრალდებულის, მოწმის, დაზარალებულის უნარის განსაზღვრა სწორად აღიქვამენ ისინი თუ არა საქმისათვის მნიშვნელოვან და არსებით გარემოებებს და იძლევიან თუ არა სწორ ჩვენებებს. ამ შემთხვევაში იგულისხმება აღქმის, ყურადღების, წარმოსახვის თავისებურებები;

2) დანაშაულის ჩადენის მომენტში ფიზიოლოგიური აფექტის ან სხვა ემოციური მდგომარეობის განსაზღვრა. ნიშნავს რა სასამართლო-ფსიქოლოგიურ ექსპერტიზას იმ მიზნით თუ რა ემოციურ მდგომარეობაში იმყოფებოდა ეჭვმიტანილი, გამომძიებელი და მოსამართლე აწესებენ თუ სახელდ. არ როგორ ემოციურ მდგომარეობაში იმყოფებოდა იგი (აფექტი, აფექტური მდგომარეობა, სტრესი) დანაშაულის ჩადენის დროს;

3) სქესობრივი დანაშაულისაგან დაზარალებულ პირთა უნარის განსაზღვრა სწორად აღიქვამენ და აფასებენ თუ არა ისინი მომხდარ ფაქტს? მოძალადისადმი წინააღმდეგობის გაწევის უუნარობა შეიძლება დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ დაზარალებული სრულიად ან ნაწილობრივ ვერ აცნობიერებს მომხდარი დანაშაულის შედეგებს. ამასთანავე წინააღმდეგობის გაწევის უუნარობაში ფიზიკური მომენტების გარდა (ფიზიკური სისუსტე, სომატური ავადმყოფობა და სხვა) შეიძლება მოგვევლინოს ფსიქიკური ფაქტორებიც (შიში, სტრესი, ფრუსტრაცია, აფექტის შემდგომი მოვლენები). იმ შემთხვევაში, როცა არასრულწლოვანი დაზარალებული თავისი ასაკისა და გონებრივი განვითარების დონის სრულიად ვერ აცნობიერებს მომხდარი ფაქტის ხასიათს და მნიშვნელობას, ამ შემთხვევაში დამნაშავის ქცევა კვალიფიცირდება როგორც გაუპატიურება დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით.

4) გონებრივად ჩამორჩენილი იმ არასრულწლოვან დამნაშავეთა უნარის განსაზღვრა, რომელთაც საფუძვლად ფსიქიკური დაავადება არ უდევს, რამდენად ესმის საკუთარი ქცევის შედეგები და იძლევიან თუ არა ანგარიშს საკუთარი მოქმედების შესახებ. არასრულწლოვანთა მიერ საკუთარი ქცევის გაცნობიერება გამოხატავს ამ ქცევის ობიექტური შინაარსისა და გზების სწორ გაგებას, პირდაპირი ან ირიბი შედეგების წინა-

სწარ გათვალისწინებასა და შეფასებას. არასრულწლოვანთა ფსიქიკური განვითარების შეფერხება იწვევს ამ უნართა შესუსტებას. სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა ავლენს არასრულწლოვანთა ფსიქიკური განვითარების ჩამორჩენილობის ხარისხს და სიმულაციის მკვლელობას ამ მიმართულებით;

5) პროფესიონალური ფუნქციების ნორმალური შესრულების ხელისშემშლელი სხვადასხვა ფსიქიკური მოვლენების აღმოცენების შესაძლებლობის დადგენა;

6) თვითმკვლელობის წინარე მომენტში ჰქონდა თუ არა დაღუპულს სიკვდილის გადაწყვეტილების მიღების ხელშემწყობი ფსიქიკური მდგომარეობა. თვითმკვლელობა არის ადამიანის ქცევის საგანგებო აქტი, რომელიც მოწმობს, რომ ფსიქიკის დარღვევა უფრო ძლიერია, ვიდრე სიყვარულის ინსტინქტი. თვითმკვლელობა ჩვეულებრივ ხდება მოულოდნელად, პიროვნების კრიზისული აგზნების კულმინაციურ მომენტში, ან იგი მზადდებოდა მოფიქრებულად ხანგრძლივი დროის განმავლობაში. პირველ შემთხვევაში ადამიანის ფსიქიკაში დომინირებს აფექტი ან ღრმა ფრუსტრაცია, მეორეში კი – პიროვნების ღრმა დეპრესია, რომელიც გამოწვეულია საერთო გამოუვალი მდგომარეობის კრიტიკული ხასიათით. პრაქტიკამ უჩვენა, რომ თვითმკვლელობის აქტის მომენტში პიროვნებას ახასიათებს რაიმე ფსიქიკურ გადახრათა ფეთქებადი ფორმის აფექტური რეაქციები ან ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაგროვილი უარყოფითი ემოციები, რომელმაც გამოიწვიეს პიროვნების ნევროტიზმი და ფსიქოპათია;

7) ამუამინდელი ან გადატანილი სომატური დაავადების გავლენის დადგენა პიროვნების ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე. ქრონიკული სომატური დაავადებები ინდივიდში იწვევენ ემოციურ-ნებელობითი და ინტელექტუალური სფეროს მდგრად ცვლილებებს. პიროვნება ხდება შთაგონებადი, დაბიტური. მისი გუნება-განწყობილება ხშირად იცვლება ღრმა პესიმიზმიდან და დეპრესიიდან არამოტივირებულ ოპტიმიზმამდე. ასეთი ავადმყოფები ხდებიან ეგოცენტრულები, აფექტურები, აგრესიულები, სენტიმენტალურები, ავები. მძიმე შემთხვევის დროს აღმოცენდება რეაქციული დეპრესია, აფექტური დეპერსონალიზაცია და ჰპნიკური რეაქციები. ასეთი მდგომარეობა ხელს უწყობს დანაშაულებრივი ქცევის აღმოცენებას;

8) წერილობითი დოკუმენტის ან ტექსტის ავტორობის დადგენა.

სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების პრაქტიკაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს დიაგნოსტიკის პრობლემას, რომლის შედეგი არსებით გავლენას ახდენს სასჯელის ზომასა და ფორმებზე.

Activate Windows

ინდივიდის ფსიქოდიაგნოსტიკა გულისხმობს პიროვნების, ინტელექტისა და უნარების დაგნოსტიკას.

ერთ-ერთი კლასიკური მეთოდი არის დ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ი ს მეთოდი, რომელიც მდგომარეობს აღქმის გეგმაზომიერ და მიზანმიმართულ გამოყენებაში. დაკვირვება უნდა იყოს ობიექტური და ექვემდებარებოდეს კონტროლს. დაკვირვება შეიძლება იყოს დროებითი, ხანგრძლივი, მთლიანი ან ამორჩევითი. დაკვირვების მეთოდს სასამართლო-ფსიქოლოგიურ პრაქტიკაში აქვს ნაკლიც. ამ დროს დამკვირვებელი იმყოფება პასიურ მდგომარეობაში, იგი იძულებულია უცადოს, თუ როდის განხორციელდება დასაკვირვებელი მოვლენა. დაკვირვების მეთოდი არ იძლევა შესაძლებლობას დადგენილ იქნას რომელიმე ფსიქიკური მოვლენის, პროცესის ან მდგომარეობის მიზეზი.

ადამიანის ფსიქიკური თავისებურების შესასწავლად გამოიყენება აგრეთვე ს ა უ ბ რ ი ს მეთოდი, რომლის საშუალებითაც დგინდება შესასწავლი პიროვნების დამოკიდებულება ადამიანებთან, სოციალურ ღირებულებებთან, საკუთარ ქცევასთან. დგინდება მისი კულტურის დონე, ინტერესები, მსოფლმხედველობა, პიროვნული თვისებები, ემოციურ-ნებელობითი ნიშნები. სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის პროცესში გამოყენებული საუბრის მეთოდის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ სუბიექტის თავისებურებანი დგინდება თვით სუბიექტის პასუხების საფუძველზე. სხვა მეთოდებთან კომპლექსური გამოყენების დროს საუბრის მეთოდი საკმარის ინფორმაციას იძლევა დაზარალებულის ან ეჭვმიტანილის პიროვნების თავისებურებების შესახებ.

პიროვნების შესახებ საკმაო საექსპერტო ინფორმაციას იძლევა ასევე ი ნ ტ ე რ ვ ი უ ს მეთოდიც. ისევე, როგორც საუბარი, ინტერვიუ გამოიყენება ექსპერტიზის საწყის ეტაპზე, სამუშაო ჰიპოთეზის შესამუშავებლად. ინტერვიუს ძირითადი მიზანია ფორმალიზებული და სტანდარტიზებული კითხვების საშუალებით ინფორმაციის დაზუსტება და კონტროლი. ამ მეთოდის ნაკლი ისაა, რომ ცდის პირი (დამნაშავე ან დაზარალებული) არ იძლევა უშუალო პასუხებს კითხვებზე, ამ დროს მასთან არ შეიძლება პირდაპირი ემოციური კონტაქტი.

სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის პროცესში გამოიყენება ბ ი ო გ რ ა ფ ი უ ლ ი მეთოდიც, რომლის არსი მდგომარეობს სუბიექტის ცხოვრებისეული გზის დამახასიათებელი მასალის შეგროვებაში. ეს მეთოდი გვეხმარება დავადგინოთ პიროვნების ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თვისებების ჩამოყალიბების და განვითარების პროცესი. ბიოგრაფიული მეთოდის წყაროებია წერილობითი დოკუმენტების შესწავლა (ავტობიოგრაფია, დახასიათება, მოხსენებები, მემუარები, დღიურები და ა.შ.).

თუ სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა ტარდება სუბიექტის შესახებ ფსიქიკის განვითარებაში შეფერხების ან ჩამორჩენის დიაგნოზის ეჭვით, გამოიყენება ა ნ ა მ ნ ე ზ ი ს მეთოდი. იგი იძლევა საშუალებას მივიღოთ ინფორმაცია სუბიექტის მიერ გადატანილი ავადმყოფობის და მკურნალობის შესახებ. ინფორმაციის წყაროა თვით სუბიექტი და მისი ავადმყოფობის შესახებ არსებული ობიექტური მონაცემები.

სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის პრაქტიკაში გამოიყენებ აგრეთვე პიროვნების, ინტელექტისა და შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების კვლევის შემდეგი მეთოდები:

კითხვარი. კითხვარი არის კითხვების კრებული, სადაც თითოეული კითხვა ლოგიკურ კავშირშია კვლევის შინაარსთან. პასუხები უნდა დამუშავდეს სტატისტიკურად. კითხვები უნდა იყოს ვალიდური.

სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება გ.აიზენკის პიროვნების კვლევის კითხვარი, რომელიც შედგება ორი პარალელური ფორმისაგან, რაც საშუალებას იძლევა ჩავატაროთ განმეორებითი კვლევა სუბიექტის მიერ ადრე მოცემული პასუხების დამახსოვრების გამოსარიცხავად. კითხვარი შეიცავს 57 კითხვას. არის ვარიანტი ბავშვებისთვისაც, რომელიც შედგება 60 კითხვისაგან. გ.აიზენკის კითხვარი შეიცავს "სიცრუის შკალას", რომლის საშუალებითაც დგინდება ცდის პირის ტყუილი ან სიმუდაცია. გ.აიზენკი პიროვნების სტრუქტურას იხილავს სამი ასპექტით: ა) ექსტრავერსია – ინტრავერსია; ბ) ნევროტიზმი – ემოციური გამძლეობა და გ) ფსიქოტიზმი – ნორმალური. ამ მეთოდის საშუალებით დგინდება პიროვნების სპეციფიკური თვისებები, რომელიც ექსპერტ-ფსიქოლოგს საკმაო ინფორმაციას აწვდის შესასწავლი პიროვნების შესახებ.

სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დროს იყენებენ აგრეთვე მრავალფაზიან პიროვნულ კითხვარს, რომელიც დამუშავდა მინესოტის (ამერიკა) უნივერსიტეტის ფსიქოლოგების მიერ და შეიცავს 550 გამონათქვამს, რაზედაც ცდის პირი იძლევა პასუხს: "სწორია", "არასწორია" ან "ვერ გეტყვით". ეს კითხვარი ნავარაუდევია მოზრდილთათვის. კითხვარის შინაარსი ეხება პიროვნების ისეთ სფეროს, როგორიცაა ფსიქოსომატიური სიმპტომები, ნევროლოგიური დარღვევები, გადახრები მოტივაციის სფეროში, სექსუალური, პოლიტიკური და სოციალური მიმართებები, ოჯახისა და საზოგადოების საკითხები, მანიაკალური მდგომარეობანი, ჰალუცინაციები, ფობიები, სადისტური და მაზოხისტური გადახრე-

Activate Windows

ბი. კითხვარები ასეთი ტიპისაა: "მე გვიან ვიღვიძებ", "მე მაღელვებს სქესის პრობლემა", "მე ვფიქრობ, რომ ჩემს წინააღმდეგ ხდართავენ ინტრიგებს". აღნიშნული კითხვარი კარგ შედეგს იძლევა კომპლექსური სასამართლო-ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების დროს.

სასამართლო-ფსიქოლოგიურ პრაქტიკაში გამოიყენება აგრეთვე რ.კეტელის კითხვარიც, რომლის საშუალებითაც დგინდება პიროვნების 16 მახასიათებელი. არსებობს ამ კითხვარის სამი ფორმა და საბავშვო ვარიანტიც. რ.კეტელის კითხვარის კითხვები ჯგუფდება შინაარსის მიხედვით განსაზღვრული პიროვნული ფაქტორების შესახებ. დავალების შესრულების შემდეგ თვითეული შეკითხვის სფეროში გამოითვლება ბადები, რომლებშიც ისახება რომელიმე პიროვნული ფაქტორის პრევალირება. რ.კეტელის კითხვარი სასამართლო-ფსიქოლოგიურ პრაქტიკაში გამოიყენება როგორც დამხმარე მეთოდი.

სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დროს გამოიყენება აგრეთვე პროექციული მეთოდები, რომელიც გათვალისწინებულია პიროვნების გაუცნობიერებული და ფარული მონაცემების შესასწავლად, რაც ხდება განუსაზღვრული სტიმულების საშუალებით, რომლებიც ხელს უწყობენ ზოგიერთი ცხოვრებისეული სიტუაციის უშალოდ მოდელირებას. უპირველეს ყოვლისა აქ ასახელებენ რ ო რ შ ა ხ ი ს ტ ე ს ტ ს. მასტიმულირებელ მასალად გამოყენებულია 10 ცხრილი (5 შავ-თეთრია, 5 კი - ფერადი). თითოეულ ცხრილზე დახატულია ერთმანეთისაგან განსხვავებული ორგვერდიანი სიმეტრიული ლაქები. თითოეული ცხრილი ცდის პირს მიეწოდება ოთხჯერ: ნორმალურ მდგომარეობაში - მარჯვენა წახნაგით, გადაბრუნებულით - მარცხენა წახნაგით. ცდის პირებს უსვამენ კითხვებს: "რას ნიშნავს ეს", "რას ჰგავს ეს". რორშახის ტესტი საშუალებას იძლევა მნიშვნელოვანი დიაგნოსტიკური მასალის მისაღებად.

პრაქტიკაში გამოიყენება აგრეთვე თემატიკური პერცეპციური ტესტი, სადაც მასტიმულირებელ მასალად გამოყენებულია განუსაზღვრელი შინაარსის 19 სურათი შავ-თეთრი სურათებით და ერთი სუფთა ფურცელი. ცდის პირებს ავალებენ შეადგინონ მოთხრობა სურათების მიხედვით. სუფთა ფურცლის ჩვენებისას კი ცდის პირებს თხოვენ წარმოსახონ რომელიმე სურათი, აღწერონ ის და შემდეგ მოყვეს მის შესახებ. ცდის პირს უჩვენებენ სურათებს და ეკითხებიან რას ფიქრობს სურათზე გამოსახული ადამიანი, რა პროფესიისაა ის და ა.შ. ამ მეთოდის დიაგნოსტიკური ღირებულება იმაშია, რომ იგი საშუალებას იძლევა განისაზღვროს პიროვნების პოტენციური შესაძლებლობანი, ტენდენციები და განწყობები.

სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დროს იყენებენ რ ო ზ ე ნ ც ვ ე ი გ ი ს ტ ე ს ტ ს, რომლის ამოცანაა პიროვნების განსაკუთრებული ასპექტის - ფრუსტრაციაზე რეაქციის შესწავლა. როზენცვეიგის ტესტი შედგება 24 პირობითი სურათისაგან, რომელზედაც ერთი მოქმედი პერსონაჟი რაღაცით შლის მეორის ტეტმებს. მარცხენა პერსონაჟი წარმოთქვამს სიტყვას, რომელიც იწვევს მარჯვენა პერსონაჟის ფრუსტრაციას. უკანასკნელი გამოსახულია ცარიელ კვადრატში, სადაც ცდის პირმა უნდა ჩაწეროს საკუთარი პასუხი. როზენცვეიგის ტესტი გამოიყენება არასრულწლოვანთა სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დროს.

პიროვნული ფსიქოლოგიური ექსპერტული შესწავლის მიზნით გამოიყენება აგრეთვე დაუმთავრებელი წინადადების მეთოდი, სადაც ცდის პირებმა უნდა დაამთავრონ წინადადებები, რომლებიც იწყება სიტყვებით - "ჩემი პროფესია...", "მომავალი...", "ჩემი ოცნება..." და ა.შ. ამ მეთოდს აქვს მრავალი ვარიანტი - ცდის შედეგად მიიღება დადებითი, უარყოფითი და ნეიტრალური დამოკიდებულებები შესასწავლი მოვლენის შესახებ და დგინდება გარკვეული მიმართულების ტიპი. სასამართლო-ფსიქოლოგიურ პრაქტიკაში ამ მეთოდის გამოყენება დადებით შედეგებს იძლევა.

ფარული აფექტური კომპლექსების გამოსარკვევად სიტყვა-სტიმულების დახმარებით სასამართლო-ფსიქოლოგიურ პრაქტიკაში გამოიყენება ა ს ო ც ი ა ც ი უ რ ი ტ ე ს ტ ი, რომელიც ცდის პირისაგან მოითხოვს სწრაფ რეაქციას მოწოდებულ სიტყვაზე. ცდის პირმა მოწოდებულ სიტყვა-სტიმულზე სწრაფად უნდა დაასახელოს ის სიტყვა, რომელიც პირველადვე მოუვა თავში ასოციაციით. ამ მეთოდის საშუალებით დგინდება ასოციაცია საქმესთან დაკავშირებულ სიტყვას შორის, რომელიც სპეციალურადაა შეტანილი სიტყვა-სტიმულთა რიგში. მაგალითად სიტყვაზე "ჩაქუჩი" ცდის პირი პასუხობს "თავი". ეს პიროვნება ეჭვმიტანილი იყო მკვლელობაში ჩაქუჩის თავში ჩარტყმით. ეს მეთოდი ერთ-ერთი კარგი და ეფექტური დამხმარე მეთოდია.

მოზარდებს, რომელთაც აღენიშნებათ გონებრივი ჩამორჩენილობის ნიშნები, მათი სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დროს გამოიყენება პ ი კ ტ ო გ რ ა მ ი ს მ ე თ ო დ ი, რომელიც შეიმუშავა ე.ვიგოტსკიმ. ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ცდის პირს ავალებენ დაიმახსოვროს 10-15 სიტყვა ისე, რომ თითოეული სიტყვა აღნიშნონ ნებისმიერი ნახატით, რომელიც დაეხმარება მას დამახსოვრებაში. ეს ნახატები ასრულებენ მნემოტექნიკურ ფუნქციას. შემდეგ ამ

Activate Windows

ატიმულ-ნახატების საშუალებით ცდის პირებმა უნდა მოიგონონ სიტყვები და აღადგინონ. ნახატების საშუალებას იძლევა განისაზღვროს ცდის პირების ცოდნის დონე, ცხოვრებისეული გამოცდილება, განყენების და ჯანზოგადების უნარი, სააზროვნო მოქმედების სპეციფიკა და პიროვნების შესაძლო პათოლოგიური ცვლილებები.

არასრულწლოვან დამნაშავეთა ფსიქოლოგიური თავისებურებანი

არასრულწლოვანთა დანაშაულის მიზეზია მათი პიროვნული დეფექტები და გარესამყაროს უარყოფითი ფაქტორების გავლენა. დანაშაულს უმთავრესად ძნელი მოზარდები იდენენ. არსასრულწლოვან დამნაშავეებისათვის დამახასიათებელია შემეცნებითი ინტერესების დაბალი დონე. ასეთი მოზარდის ფორმირება მოხდა ასოციალური პირობების გავლენით. მათ უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ სწავლისადმი და, საერთოდ, ადამიანისადმი. ისინი კონფლიქტურნი არიან და დარღვეული აქვთ ადამიანურ ურთიერთობათა სისტემა. ასეთი მოზარდები ერთიანდებიან ქუჩის ჯგუფებში, სადაც ხდება მათი ასოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

როგორც მკვლევარები აღნიშნავენ ძნელ მოზარდთა ასოციალური ქცევები დაკავშირებულია მათი ნერვული სისტემის ორგანულ დაზიანებასთან. ასეთ მოზარდებს აქვთ პიროვნების ფსიქოპატური თვისებები და ნიშნები, გამოირჩევიან დიდი შთაგონებადობითა და აგრესიულობით.

მ. მინკოვსკი გამოყოფს არასრულწლოვან დამნაშავეთა ოთხ ტიპს, რომელთათვის საშიში ქმედება წარმოადგენს:

1) შემთხვევითობას, რომელიც ეწინააღმდეგება მისი პიროვნების ზოგად მიმართულებას;

2) საშიში ქმედებები ესადაგება პიროვნების არამდგრად და არამტკიცე მიმართულებას, მაგრამ დანაშაული სიტუაციურია;

3) დანაშაული მიმდინარეობს პიროვნების ზოგადი უარყოფითი ორიენტაციის გავლენით და განპირობებულია წაქეზებითა და წაბაძვით;

4) საშიში ქმედებები მიმდინარეობს უარყოფითი ფიქსირებული განწყობის გავლენით. ასეთი პირები აქტიურად ეძებენ და ქმნიან დანაშაულის ჩადენის პირობებსა და სიტუაციებს.

ნ.სარჯველაძე აყალიბებს არასრულწლოვანი დამნაშავეების სოციალურ-ფსიქოლოგიური შესწავლის მართებულ და სრულ პროგრამას, რომელიც შედგება ოთხი პუნქტისაგან:

1) არასრულწლოვანი დამნაშავის პიროვნების დისპოზიციონალური ბირთვი მისი პოზიციის სახით აპირობებს დანაშაულებრივ ქცევას. ეს პოზიცია მუდმივ დიფერენციაციისა და დაკონკრეტებას განიცდის. დანაშაულის ჩადენამდე იგი განწყობის სახით შეიძლება არსებობდეს, ხოლო დანაშაულის ჩადენის შემდეგ იგი შეიძლება გადასხვაფერდეს, განმტკიცდეს ან დაირღვეს.

2) არასრულწლოვანი დამნაშავე პიროვნების სტრუქტურული მხარის ანალიზისას უპირველეს ყოვლისა დასადგენია მისი სოციალური სტატუსი, რომელიც მოიცავს დამნაშავის დემოგრაფიულ მონაცემებს, ოჯახურ გარემოცვას, თანატოლებთან ფსიქოლოგიურ კავშირებს, სოციომეტრიულ სტატუსს, სხვების მოლოდინებს მის მიმართ და ა.შ.

სოციალური სტატუსის დადგენის შემდეგ აუცილებლად უნდა გაირკვეს არასრულწლოვანი დამნაშავის ღირებულებითი ორიენტაციები, მისი სოციალური განწყობები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაცემია აგრეთვე თვითმიმართების კვლევა. უნდა დადგინდეს თუ როგორ აქვს წარმოდგენილი დამნაშავე პიროვნებას საკუთარი თავი, როგორია მისი თვითშეფასება, რა მოლოდინი აქვს საკუთარ თავისაგან.

3) უნდა განხორციელდეს არასრულწლოვანი დამნაშავის დინამიკური ტენდენციების კვლევა, რაც გულისხმობს იმის შესწავლას, თუ რაზე არის მიმართული პიროვნება: გარემოსთან შეგუებაზე, თვითშეგუებაზე, გარემოზე ზემოქმედებაზე თუ თვითზემოქმედებაზე.

4) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არასრულწლოვანი დამნაშავის ინდივიდუალობის კვლევას. აქ საგულისხმოა ინდივიდის ინტელექტისა და ემოციური სფეროს, თვითკონტროლისა და იმპულსურობის, ექსტრავერსია-ინტრავერსიისა და ფანტაზიის თვისებების გამოკვლევა.

ნ.როგავა და ფ.გობეჩია თვლიან, რომ არასრულწლოვან დამნაშავეთა დანაშაულებრივი ქცევა მთლიანად აქტუალური მოთხოვნილებებით განსაზღვრული იმპულსური ქცევაა და მის მოტივს წარმოადგენს ემოციურ ფორმაში მოცემული ქცევის სუბიექტური მდგომარეობა. გარდამავალ ასაკში მოზარდი ხშირად მეტისმეტად იმპულსურობას ავლენს, მაგრამ ამის მიზეზია არა ნებელობის დაქვეითება, არამედ იმპულსურობის სწრაფი აღორძინება, რაც განპირობებულია ასაკობრივი თავისებურებებით და, რაც უმთავრესია, განსაზღვრავს დანაშაულებრივ ქცევას.

აღნიშნულმა ავტორებმა სპეციალურად იკვლიეს არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევი მიზეზები, რომელიც ცხრილშია

Activate Windows

წარმოდგენილი:

	დანაშაულებრივი ქცევა გამოწვეულია	ასაკი		
		12-13	14-15	16-17
1.	აქტუალური მოთხოვნილებებით	43,1	40	40
2.	სხვისი გავლენით	56,8	43,6	32
3.	შეღახული თავმოყვარეობით	0	4,7	14,7
4.	გაუფრთხილებლობით	0	7,9	7,3
5.	აღკოჰოლის გავლენით	0	4,9	58

ნ.როგავასა და ფ.გობეჩიას მიხედვით მოზარდის ფსიქიკაში აქტუალური მოთხოვნილებები და ვალდებულებები უპირისპირდებიან ერთმანეთს, რაც ვლინდება წინააღმდეგობით ემოციონალურ და რაციონალურ კომპონენტებს შორის, აქტუალურ მოთხოვნილებებსა და ნებელობით თვისებებს შორის. ყოველივე ეს ქმნის ხელსაყრელ პირობებს მოზარდის ფსიქიკის გაორებისათვის, მასში ორპირი და პირფერი სუბიექტის ჩამოყალიბებისათვის. შინაგანი კონფლიქტები, რომლებსაც მოზარდი დანაშაულისაკენ მიჰყავს, არის გარეგანი არათანმიმდევრული ზემოქმედებისა და წინააღმდეგობრივი სასიცოცხლო გამოცდილების შედეგი. რაც უფრო ძლიერია შინაგანი კონფლიქტი, მით უფრო გაორებულია მოზარდის სულიერი სამყარო და არათანმიმდევრულია მისი ქცევა.

გარდამავალ ასაკში მოზარდს უჩნდება დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოთხოვნილება, რომელიც ისე ძლიერია, რომ მოზარდი ხშირად ამაყობს და ყოყოჩობს იმით, რომ უფროსებს ყურს არ უგდებს და თავისას აკეთებს. აღმზრდელებს, რომელთაც სათანადო ფსიქოლოგიური მომზადება არ გააჩნიათ, ეს მდგომარეობა საგანგაშო ჰგონიათ და მკაცრად ზღუდავენ მათ, რის გამოც მოზარდი ეძებს და პოულობს ისეთ წრეს, სადაც მისი მიდრეკილებების თავისუფალი გაშლისა და რეალიზაციის პირობები იქნება. ეს მოთხოვნილება მოზარდის დანაშაულებრივი ქცევის ხელშემწყობი ძლიერი ფსიქოლოგიური პირობაა.

მოზარდის პიროვნების ფორმირების პროცესის ხელმძღვანელობა არ იქნება ეფექტური სქესობრივ მომწიფებასთან დაკავშირებული ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ცვლილებების გათვალისწინების გარეშე. სქეს-

თა ურთიერთდამოკიდებულების პროცესი ახლა მოზარდის ცნობიერებაში დიდ ადგილს იკავებს. სამწუხაროდ მოზარდთა სქესობრივი მოთხოვნილება ერ მაღლდება ჯეშმარიტად ადამიანურ დონემდე და ვერ ხდება მისი პიროვნების სრულყოფილი ფორმირების ფაქტორი.

სანამ არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ რაიმე აღმზრდელობით ღონისძიებებს გავატარებდეთ, უნდა გავარკვიოთ რა მოტივმა აღძრა მასში დანაშაულებრივი ქცევა, როგორ ჩამოყალიბდა ეს მოტივი, რა ფსიქოლოგიურ სიტუაციაში მოხდა დანაშაულებრივი ქცევის მოტივის ფორმირება.

აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს სასჯელი. სასჯელმა რომ დადებითი როლი შეასრულოს, იგი უნდა იყოს სამართლიანი და მოზარდსაც უნდა სწამდეს მისი სამართლიანობა. სასჯელის დადებითი აღმზრდელობითი ეფექტურობისათვის მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ იმას, რომ ის ობიექტურად სამართლიანი იყოს, არამედ იმასაც, თუ როგორ დამოკიდებულებას ამჟღავნებს მოზარდი მის მიმართ, თუ როგორ უყურებს და აფასებს იგი სასჯელის ამა თუ იმ ზომას, რას ნიშნავს მისთვის სასჯელი – სამაგიეროს გადახდას, შეურაცყოფას თუ მისი ხელახალი აღზრდისათვის ბრუნვას.

აღმზრდელის აუტორიტეტს მოზარდის თვალში არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი რჩევა-დარიგებას მხოლოდ იმისგან ღებულობს, ვისაც ენდობა და ვისი შეფასების სამართლიანად სწამს.

არასრულწლოვან დამნაშავეთა ძირითად "ზიანს" შეადგენენ ძნელი მოზარდები. ყველა ძნელი ბავშვისათვის დამახასიათებელია "აღზრდისადმი აქტიური წინააღმდეგობა" და აღიარებული პედაგოგიური საშუალებების მიუღებლობა. ყველა ძნელი მოზარდისათვის დამახასიათებელია: გარეშემომყოფი ადამიანისადმი არანორმალური დამოკიდებულება. ის, რომ ძნელი მოზარდი ხშირად არღვევს დისციპლინას, არ ასრულებს ქცევის ელემენტარულ ნორმებს, ხშირად მოსდის კონფლიქტები მასწავლებელთან, მშობლებთან და თანატოლებთან, ხშირად მათი გარესამყაროსთან არანორმალური დამოკიდებულების შედეგია.

მოზარდის ასაკობრივი თავისებურებები რთულ სიტუაციებში უარყოფითად მოქმედებენ მის ქცევაზე, იწვევენ კონფლიქტებს, შეკახებებსა და წინააღმდეგობებს გარეშემომყოფებთან. აღმოცენდება გაუცხოება, უფროსებისადმი უნდობლობა და სხვა მრავალი უარყოფითი მოვლენა, რომელიც ხელს უწყობს ძნელადაღსაზრდელობის აღმოცენებას. ძნელი მოზარდებისათვის დამახასიათებელი ფსიქიკური რეაქციებია: ოპოზიციის რეაქციები (უხეშობა, ჯიბრზე გაკეთების სურვილი), პროტესტისა და

Activate Windows

ნეგაციის რეაქციები.

ძნელი ბავშვები გვხვდება ყველა ასაკობრივ საფეხურზე. ესაა ოჯახში არასწორი აღზრდის შედეგად პედაგოგიურად ხელმიუწვდომელი ბავშვები. მაგრამ ძნელი ბავშვების ტიპიური თავისებურებები ძალზე რეციფურად გარდამავალ ასაკში ვლინდება. ცნებაში "ძნელი მოზარდი" იგულისხმება მოზარდი, რომელსაც პიროვნების კორექცია სჭირდება. ძნელებს მიეკუთვნება კაპრიზული, ჯიუტი, გაუგონარი, მატყუარა და ნეგატივიზმის რეაქციის მოზარდები. მოზარდების ნაწილს, რომელსაც არსებითი მოთხოვნილებების ფრუსტრაციის გამო აღმოუცენდება ქცევის აფექტური ფორმები (ადვილი წყენა ან აგრესიულობა), უყალიბდება თავისებური კონფლიქტური მდგომარეობა პრეტენზიის დონესა და კოლექტივში მოზარდის ფაქტიურ მდგომარეობას შორის. აფექტური მდგომარეობის და ქცევის ხანგრძლივი მიმდინარეობა აყალიბებს მოზარდის შესაბამის დამოკიდებულობას სხვა ადამიანებისა და საკუთარი თავისადმი.

ძნელი მოზარდების ტიპიური ფსიქიკური თავისებურებანია აგრეთვე კოლექტივისადმი, ღირებულებებისადმი, ადამიანებისადმი, შრომისადმი და სწავლისადმი დამახინჯებული სუბიექტური დამოკიდებულება. მშობლებთან და მასწავლებლებთან ისინი უხეშნი, თავხედნი და ცინიკურები არიან. მორალის მოთხოვნები მათთვის ზნეობრივი ქცევის პრინციპებად არ გადაქცეულა. მათი ცოდნის დონე დაბალია. მათთვის დამახასიათებელია სიცრუე, უნებისყოფობა, ქურდ-ბაცაცობა და ა.შ.

ძნელი მოზარდების სპეციფიკური ფსიქოლოგიური თავისებურებებია: ემოციური აგზნებადობა, აწეული გაღიზიანებადობა, გუნება-განწყობიების სწრაფი და ხშირი ცვლა, აფექტები, კონფლიქტები, თვითშეფასებისა და პრეტენზიების აწეული დონე, რაც მოზარდის ქცევაში იწვევს აგრესიულობას, უხეშობასა და ნეგატივიზმს. აგრესიული ძნელი მოზარდების ქცევისათვის დამახასიათებელია მორალური დეფექტები

გარდამავალ ასაკში ერთდროულად მიმდინარეობს ორი პროცესი. ესაა სოციალიზაცია, სოციალური გამოცდილების ათვისება და თვითდამკვიდრება; გარეშემომყოფთა მიერ მისი აღიარება. ხშირად, პრესტიჟული დაუკმაყოფილებლობის მიზეზად გვევლინება სწავლაში ჩამორჩენა, სოციალურად ღირებული საქმეების, ინტერესებისა და მისწრაფებების უქონლობა. ფიზიკური ნაკლი და დეფექტები მოზარდთა გარკვეულ ნაწილში იწვევს საკლასო კოლექტივთან სოციალური კავშირების დეფორმაციას და ხელს უწყობს მოზარდის იზოლაციასა და გარიყვას.

ძნელ მოზარდთა დიდი ნაწილისათვის დამახასიათებელია ეგოიზმი,

რაც უმეტესწილად მოხმარებით, უტილიტარულ მოთხოვნილებებში, მისწრაფებებსა და პირადულ განწყობებში ვლინდება. ეგოიზმი ვლინდება იმაში, რომ ყოველგვარი ამოცანის გადაწყვეტის დროს მოზარდი მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ფიქრობს, მწვავედ რეაგირებს საკუთარი მატერიალური ქონების ხელყოფაზე, ვერ იტანს შენიშვნებს, დარწმუნებულია საკუთარ განსაკუთრებულობასა და უცოდველობაში.

ძნელი მოზარდების ძალზე გავრცელებული თვისებაა უპრინციპობა. მათ არ გააჩნიათ მორალის მყარი ნორმები. თუ მოზარდისათვის სასარგებლოა – იგი იქცევა ისე, როგორც საჭიროა, ხოლო თუ უსარგებლოა – ივიწყებს ყოველგვარი მორალური ნორმების არსებობას.

ძნელი მოზარდების ქცევის თავისებურებებია:

1) ძნელი მოზარდების განვითარებაში ერთმანეთის გვერდით არსებობენ უკიდურესად წინააღმდეგობრივი ფორმები: განვითარებული გონება და ინფანტილური განუვითარებელი გრძნობები (ან პირიქით), სუსტი შრომისმოყვარეობა და ძალზე განვითარებული მოთხოვნილებები, შეზღუდული თვალსაწიერი და ყოველდღიური ცხოვრებისეული მდიდარი უარყოფითი გამოცდილება. ყოველივე ეს ქმნის შინაგან დაძაბულობას, სურვილებისა და გრძნობების წინააღმდეგობრივ ხასიათს, რაც მოზარდის წინააღმდეგობრივი ხასიათის ქცევებში გამოიხატება.

2) გარეშემყოფებთან ხანგრძლივი კონფლიქტური დამოკიდებულება. უფროსები მოზარდის ასოციალურ ქცევაზე პასუხობენ კრიტიკული შენიშვნებით, სასჯელითა და საერთო ნეგატიური დამოკიდებულებით. მოზარდი კი ამას აღიქვამს როგორც უფროსების მხრივ მტრობის გამოვლინებად, მასი დამოუკიდებლობის ხელყოფად, პიროვნული ღირსების დაკნინებად და შეურაცხყოფად. ხშირია კონფლიქტები მშობლებთან, მასწავლებლებთან და თანატოლებთანაც კი.

3) ეგოისტური ცხოვრებისეული პოზიციის მოზარდები, რომლებიც ყველაფერს სარგებლიანობის პრინციპით აფასებენ. ესაა მათი ძირითადი მოტივი.

4) ინტერესებისა და მისწრაფებების სწრაფი და ხშირი ცვლა. ამ ჯგუფში შედიან ისეთი მოზარდები, რომლებსაც ახასიათებთ სურვილების, მისწრაფებებისა და ინტერესების ხშირი ცვლა. გატაცების ხშირი ცვლა საერთოდ დამახასიათებელია გარდამავალი ასაკის მოზარდებისათვის, ხოლო ძნელ მოზარდთან ეს პროცესი განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობს.

5) საალმზრდო ღონისძიებებისადმი წინააღმდეგობის გაწევა. მასწავლებლებისა და აღმზრდელთა პედაგოგიურ ღონისძიებებზე ძნელი მოზარდე-

Activate Windows

ბი ნეგატივიზმით პასუხობენ.

დ.ფელდშტეინი გამოყოფს სამართალდამრღვევ ძნელ მოზარდთა ხუთ ჯგუფს:

1) ძნელ მოზარდთა ამ ჯგუფს ახასიათებს უარყოფითი პრიმიტიული მოთხოვნილებების კომპლექსი, ანტისაზოგადოებრივი შეხედულებების სისტემა. ამ ჯგუფის მოზარდებს აქვთ მახინჯი წარმოდგენები და შეხედულებები ამხანაგობაზე, მეგობრობაზე, გაბედულობაზე, ვაუკაცობაზე. მათ დაქვეითებული აქვთ სირცხვილის გრძნობა. ასეთი მოზარდები არიან უხეშები, ავები, ცინიკოსები და აგრესიულები.

2) ამ ჯგუფში შედის დეფორმირებული მოთხოვნილებების მქონე მოზარდები, რომელთაც აქვთ მდაბალი და ქვენა მისწრაფებები. ასეთი მოზარდები ცდილობენ მიბაძონ იმ სამართალდამრღვევებს, რომლებსაც მღრღარი ამორალური მოთხოვნილებები და ანტისაზოგადოებრივი შეხედულებები აქვთ.

3) ამ ჯგუფში ერთიანდებიან ისეთი მოზარდები, რომლებისთვისაც დამახასიათებელია კონფლიქტები დეფორმირებულ და პოზიტიურ მოთხოვნილებებს, მიმართებებს, დამოკიდებულებებს და შეხედულებებს შორის. ამ ჯგუფის მოზარდები თავიანთ ცუდ საქციელს აცნობიერებენ, მაგრამ მათი სწორი მორალური შეხედულებები არ გადაქცეულა მრწამსად და ეგოისტური მისწრაფებები მათში გაცილებით ძლიერია.

4) ამ ჯგუფში შედიან ისეთი მოზარდები, რომლებსაც აქვთ სუსტად დეფორმირებული მოთხოვნილებები. მათთვის დამახასიათებელია უნებისყოფობა, ადვილი შთაგონებადობა, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა.

5) ამ ჯგუფში კი ერთიანდებიან ისეთი მოზარდები, რომლებიც სამართალდარღვევის გზას შემთხვევით დაადგნენ. ისინი არიან უნებისყოფონი და სხვათა გავლენას ადვილად ექვემდებარებიან.

ადამიანის მოთხოვნილებები იყოფა სამ ჯგუფად: ა) ბიოგენური; ბ) ფსიქოგენური და გ) სოციოგენური მოთხოვნილებები. ბიოგენური მოთხოვნილებები ინდივიდში მიმდინარე სხეულებრივი ცვლილებების ნიადაგზე აღმოცენდებიან და სხეულებრივი ცვლილებების გზითვე კმაყოფილდებიან. ფსიქოგენური მოთხოვნილებები პიროვნების ფსიქიკურ სტრუქტურაში იჩენენ თავს და იმ ფსიქიკური პროცესების გზით კმაყოფილდებიან, რომელთაც მათი შესატყვისი ობიექტები იწვევენ ამ სტრუქტურაში. სოციოგენური მოთხოვნილებები კი წარმოიშობიან პიროვნების სოციალურ სტრუქტურაში, სოციალური სიტუაციის ზეგავლენით და ამავე სოციალურ სიტუაციაში კმაყოფილდებიან. მათი წარმოშობისა და დაკმაყოფილების აუცილებელ ფსიქოლოგიურ პირობას, მათი სიტუაციის ცენტრალურ მომენტს

წარმოადგენს მეორე ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, რომელთანაც მათი სუბიექტები გარკვეული ურთიერთობების დამყარებას ესწრაფვიან.

მოქმედების ძალის მიხედვით გარდამავალი ასაკიდან ყველას პრესტიჟის მოთხოვნილება სჭარბობს. ეს მოთხოვნილება ყველა მოზარდში ერთნაირად არაა განვითარებული. პრესტიჟის მოთხოვნილება არის გარდამავალი ასაკის მოზარდის უძლიერესი მოთხოვნილება, რომელსაც შეუძლია სხვა მოთხოვნილებების ზღუდვა და მათი იმპულსების შებღუდვა. პრესტიჟის მოთხოვნილება არის თავის ისეთი გამოჩენის მოთხოვნილება, რომელსაც მაღალი ღირებულების პიროვნული თვისებების შეფასება აკმაყოფილებს. პრესტიჟის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საზოგადოებრივი თვალსაზრისით გამართლებულ გზას წარმოადგენს წარმატების მოპოვება იმ საქმიანობაში, რომელსაც მოქალაქეობრივი მოვალეობა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაკავებული ადგილი გვიკარნახებს. ე.ი. ესაა ისეთი საქმიანობა, რომელიც პიროვნების ღირებულებას მაღლა სწევს და ირგვლივ მყოფ ადამიანებში პრესტიჟს ზრდის.

დადგინდა, რომ პრესტიჟის მოთხოვნილება, რომელიც უმცროს სასკოლო ასაკში ნელი ტემპით ვითარდება, გარდამავალი ასაკის დასაწყისში მაღალი ტემპით იწყებს განვითარებას და ამ ასაკის ბოლოს იგი მოზარდის ერთ-ერთ და ძირითად და წამყვან მოთხოვნილებად იქცევა, რაც შესაძლებლობას იძლევა გარდამავალი ასაკის დასაწყისიდან იგი გამოყენებული იქნას როგორც ერთ-ერთი ძირითადი მოტივი, რომელსაც მოზარდის სასწავლო-საალმზრდელო აქტივობა დაეფუძნება.

გარდამავალი ასაკიდან სულ უფრო იზრდება მოზარდის მოთხოვნილება ისეთ სოციალურ სიტუაციაზე, რომელშიც მას ზავშვის მდგომარეობიდან არაღიარებულ ადგილს უთმობენ და სოციალურად სრულფასოვან პიროვნებად მიიჩნევენ. მოზარდი ისეთ სოციალურ გარემოს ეძებს, სადაც მას თავისუფლებას მიანიჭებენ და სრულფასოვან პარტნიორად აღიარებენ.

დამოუკიდებლობის მოთხოვნილება ყოველთვის ადამიანებთან ურთიერთობაში იჩენს თავს და დაკმაყოფილებასაც ადამიანებთან ურთიერთობაში ნახულობს. თავისუფლების მოთხოვნილების სუბიექტს ფსიქოლოგიური პიროვნება წარმოადგენს, ხოლო დამოუკიდებლობის მოთხოვნილების სუბიექტის როლში ყოველთვის სოციალური პიროვნება გვევლინება. თავისუფლებას მოთხოვნილება უფრო აქტივობის თავისუფლებას ეხება, ხოლო დამოუკიდებლობის მოთხოვნილება, უფრო მეტად, გადაწყვეტილების გამოტანაში დამოუკიდებლობას გულისხმობს (შ.ჩხატარაშვილი). გარდამავალი ასაკის მანძილზე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნილება დიდი ტემპით იზრდება.

Activate Windows

გარდამავალი ასაკის მოზარდისათვის ძალიან დამახასიათებელია პოპულარობის მოთხოვნილება. პოპულარობის წყურვილი და სურვილი ისე დიდია, რომ მოზარდის ქცევაში მისი უგულვებელყოფა იწვევს დაუფიქრებელ გამოხდომებს, რომელთა ერთადერთი მოტივი ყურადღების მიქცევაა.

გარდამავალ ასაკში ინტენსიურ განვითარებას იწყებს საზოგადოებრივ ღირებულებაში შებრძის მოთხოვნილება. ესაა საკუთარი სოციალური ღირებულების მოთხოვნილება. ღირებულებითი ორიენტაცია არის სოციალური, ზნეობრივი პოზიცია, მოქალაქეობრივი მოვალეობის მაღალი გრძნობა, სახელმწიფო ინტერესების რეალიზაციის მიზანმიმართული მოქმედების უნარი, პიროვნებათაშორისი კონფლიქტების გადალახვა დადებითი სოციალური მოტივაციის საფუძველზე.

გარდამავალი ასაკის დასაწყისში სოციალური თანაარსებობის მოთხოვნილებებიდან გამოიყოფა სოციალური ურთიერთობის მოთხოვნილება, რომელიც ჩქარი ტემპით ვითარდება და მოზარდის ერთ-ერთი წამყვანი მოთხოვნილება ხდება.

გარდამავალ ასაკში არასრულწლოვან დამნაშავეთა სოციოგენურ მოთხოვნილებათა ექსპერიმენტული შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ არასრულწლოვან დამნაშავეებთან გარდამავალი ასაკის დასაწყისიდან განვითარებას იწყებს სოციალური პრესტიჟის მოთხოვნილება. არასრულწლოვან დამნაშავეთა მოთხოვნილების ზრდა ჩამორჩება ჩვეულებრივი მოზარდების პრესტიჟის მოთხოვნილებების ზრდას, ე.ი. არასრულწლოვან დამნაშავეთა პრესტიჟის მოთხოვნილება შედარებით ნელი ტემპით ვითარდება. აქ საქმე გვაქვს არა პრესტიჟის მოთხოვნილების განვითარების ჩამორჩენასთან, არამედ დაკმაყოფილების ობიექტის ხარისხობრივ განსხვავებასთან. პრესტიჟის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს მაღალი ღირებულების პიროვნული თვისებების კატეგორია. ამის გამო ეს მოთხოვნილება არასრულწლოვან დამნაშავეებთან დამახინჯებულ ფორმას იღებს. არასრულწლოვანი დამნაშავეები აღიარების მოთხოვნილებას იკმაყოფილებენ არა თავიანთ თანატოლებში, არამედ ისეთ მცირე ჯგუფებში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ქცევის ნორმებიდან გადახრა.

გარდამავალი ასაკის არასრულწლოვან დამნაშავეებს ახასიათებთ ძლიერი და ნაადრევად განვითარებული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოთხოვნილება. გარდამავალი ასაკის ეს ფსიქოლოგიური თავისებურება – სოციოგენური მოთხოვნილებების ძლიერი და ნაადრევი განვითარება მოუწესრიგებელ სააღმზრდელო გარემოში, სადაც პედაგოგიური ზედამხედველობა სათანადო სიმაღლეზე არ დგას, შეიძლება გახდეს არასრულწლოვანი დამნაშავის ქცევის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი.

გარდამავალი ასაკის ფსიქო-ფიზიოლოგიური განვითარების სიძნელეები, ჩვეულებრივ არ განაპირობებენ დანაშაულებრივ ქცევას, მაგრამ ისინი ქმნიან ხელსაყრელ პირობებს იმ შემთხვევაში, როცა მოზარდი სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო მოხვდება უზედამხედველო არაპედაგოგიურ გარემოში.

არასრულწლოვან დამნაშავეთა დანაშაულის ჩადენის მიზეზები უმეტესწილად სოციალური ხასიათისაა. ესაა მომხმარებლური, უტილიტარული ტენდენციები, ანტისაზოგადოებრივი შეხედულებები და ჩვეულებები, ადამიანური ღირსების უპატივცემულობა, სხვისი ბედისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება და ა.შ. რაც შეეხება მათი დანაშაულის მოტივაციას, აღინიშნება ზოგიერთი თავისებურება: ქონებრივი დანაშაულის დროს (სახელმწიფო და პირადი ქონების ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა) ხშირად მოტივად გამოდის ფულის მოთხოვნილება, ანგარება. ასეთი მოტივი აქვს მოზარდთა ქონებრივ დამნაშავეთა 75%, მეორე ადგილზეა ყოყოჩობა, ტრაბახი, სხვა პირთა გავლენა. მნიშვნელოვნად ნაკლებად გვხვდება შური, სამაგიეროს გადახდა. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ ჩადენილი არასრულწლოვანთა დანაშაულის მოტივებია ყოყოჩობა, ანცობა, ვაუკაცობა და ამ გზით ჯგუფში თვითდამკვიდრების მოთხოვნილების დაკმაყოფილება, საკუთარი "მოწიფულობის" დემონსტრირება. ამრიგად ასეთი დანაშაულის ჩადენის მოტივია ურთიერთობის და თვითდამკვიდრების სოციალური მოთხოვნილების დამახინჯებული დაკმაყოფილება. მოზარდები არ ფიქრობენ საკუთარი ქმედების შედეგებზე. ისინი არ ამჟღავნებენ სიბრალულის გრძნობას და ერთგვარ კმაყოფილებასაც კი განიცდიან სხვებისათვის ზიანის მიყენებით.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი გაუპატიურება უმეტესწილად ატარებს ჯგუფურ ხასიათს. ჯგუფის წევრთა უმრავლესობა ასეთ დანაშაულს ჩადის "კომპანიისათვის", ცნობისმოყვარეობით, სქესობრივი ინტერესებით, პრესტიჟული მოსაზრებით, საკუთარი "მოწიფულობის" დემონსტრირებით.

არასრულწლოვან დამნაშავეებს შორის გავრცელებულია ისეთი დანაშაული, როგორიცაა ხულიგნობა. ესაა უხეში ფიზიკური ძალის გამოყენება, ჩხუბი, უცნაზური ცინება.

საინტერესოა არასრულწლოვან დამნაშავეთა ტიპოლოგიის საკითხი. მოზარდებს, რომლებმაც ჩაიდინეს შეგნებული დანაშაული, ყოფენ ორ ტიპად:

1) თანმიმდევრული კრიმინოგენური ტიპი. ამ ტიპის მოზარდები მორალისა და სამართლის ნორმებს სისტემატურად არღვევენ. დანაშაულებრივი

ქცევა გამომდინარეობს მათი ქცევის ბუნებრივი სტიდიდან და განპირო-
ებულია პიროვნების შეხედულებებით, სოციალური განწყობებითა და
ორიენტაციით. ასეთი პირების მიერ დანაშაულებრივი ქცევის სიტუაცია
ორა თუ გამოიყენება, არამედ მათი აქტიურობით თვით იქმნება იგი.
ამასთანავე დანაშაულებრივი ჩანაფიქრის რეალიზაციის გზაზე ხდება
ევრი წინააღმდეგობის გადალახვა.

ბ. სიტუაციური ტიპი. ასეთ ტიპს ახასიათებს ცნობიერებისა და ქცევის
ამორალური ელემენტები. აქ ძირითადათ განმსაზღვრელია რთულ სიტუაცი-
ებში სოციალურ გარემოსა და პიროვნების ურთიერთმიმართების მექანიზ-
ები. დანაშაული ხდება სიტუაციის გადამწყვეტი გავლენით, რომელიც
ქმნება ასეთი პირისაგან დამოუკიდებლად. ასეთი მოზარდები დანაშაუ-
ებრივ სიტუაციებს თვითონ არ ქმნიან.

სინამდვილეში არასრულწლოვანი დამნაშავეები მიეკუთვნებიან შე-
რეულ ტიპებს. სუფთა ტიპები იშვიათობაა.

თავისებურია არასრულწლოვან დამნაშავეთა დაკითხვის საკითხი,
რომელსაც გააჩნია რიგი თავისებურებანი. ე.ვასილიევი გამოყოფს შემ-
ეგ თავისებურებებს:

ა) არასრულწლოვანი დამნაშავე, რომელსაც თექვსმეტი წელი ჯერ არ
ესრულებია, დაკითხვაზე გამოიძახება მშობლებთან ან კანონიერ წარ-
ომადგენელთან ერთად. თოთხმეტ წლამდე ასაკის მოწმის დაკითხვა ხდე-
ა პედაგოგის თანდასწრებით. პედაგოგთა მონაწილეობა თექვსმეტ წელზე
ეტი ასაკის მოწმის დაკითხვაში შესაძლებელია მაშინ, როცა მოწმე
იჩნეულია გონებრივად ჩამორჩენილად.

ბ) არასრულწლოვანი დამნაშავის ჩვენებიდან მიღებული ინფორმაციის
ანალიზის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მისი პიროვნული
ავისებურებანი – და შესაძლო არასწორი გავლენა უფროსების მხრიდან.

უნდა გვახსოვდეს, რომ 3-7 წლის ასაკის ბავშვები გარესამყაროს
აგანთა და მოვლენათა აღქმის დროს ცუდად ერკვევიან
იზებ-შედეგობრივ დამოკიდებულებებსა და კავშირებში, ხშირად მთელ
ოვლენებს აღიქვამენ არა მთლიანობაში, არამედ ფრაგმენტულად. ნანა-
ის აღდგენის პროცესში ისინი ზუსტად და დეტალურად აღწერენ აღქმუ-
ის მეორეხარისხოვან მხარეებს, აღქმის ხარვეზებს ავსებენ ფანტაზი-
თ, ადვილად ექცევიან უფროსების გავლენისა და შთაგონების ქვეშ.

შვიდიდან თორმეტი წლის ასაკის ბავშვის დაკითხვის დროს გამომ-
იებელს უნდა ახსოვდეს, რომ ამ ასაკში უკვე ისახება ლოგიკური აზ-
როვნება, გაცნობიერებული აღქმის ელემენტები და მორალური შეფასებე-
ი, თუმცა ზოგიერთი რთული მოვლენის აღწერის დროს ამ ასაკის ბავ-

შვები ყოველთვის ვერ ასხვავებენ ერთმანეთისაგან მთავარსა და მეო-
რეხარისხოვანს. ამ ასაკში აღქმის ხარვეზების შევსებაში ფანტაზიის
როლი უკვე დიდია. კარგი ფსიქოლოგიური კონტაქტის პირობებში ამ ასა-
კის მოწმეებს ობიექტური ინფორმაციის მოცემა შეუძლიათ.

თერთმეტიდან თხუთმეტი წლის ასაკის ბავშვების დაკითხვის დროს
გამომძიებელს უნდა ახსოვდეს, რომ ამ ასაკში მოზარდებს ახასიათებს
თვითცნობიერების ზრდა, შემეცნებითი ფსიქიკური პროცესები მაღალი
დონე, დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც ხელს უწ-
ყობს სწორი, ობიექტური ინფორმაციის მიცემას. ამ ასაკის მოზარდებს
უფროსების ზეგავლენით შეუძლიათ არასწორი ჩვენების მიცემაც.

არასრულწლოვანთა დაკითხვის დროს გამომძიებელი სათანადოდ უნდა
მოემზადოს. მან წინასწარ უნდა გაითვალისწინოს როგორ ადამიანებს
შორის მიმდინარეობს არასრულწლოვანის ცხოვრება და სწავლა, რა პირო-
ბებში ცხოვრობს იგი, ვისთან მეგობრობს, როგორია მისი
უნარ-ჩვევების განვითარების დონე, ინტერესთა წრე და ხასიათის ნიშ-
ნები.

არასრულწლოვან დამნაშავეთა დანაშაულის ადრეული პროფილაქტიკის
პროცესში ანდა გავითვალისწინოთ ორი კრიტერიუმი: მისი ობიექტი და
შინაარსი. ადრეული პროფილაქტიკის ობიექტია ანტისაზოგადოებრივი
ქცევის დანაშაულამდელი ფორმები, რომელშიც ასახულია პიროვნების რო-
გორც უარყოფითი სოციალური სიტუაცია, ასევე უარყოფითი ინდივიდუა-
ურ-ფსიქოლოგიური თვისებები. ადრეული პროფილაქტიკის შინაარსია ის
ხერხები და საშუალებები, რომელთა დახმარებითაც უნდა ვაწარმოოთ
ობიექტზე ზემოქმედება. ე.ი. ზემოქმედება უნდა ვაწარმოოთ ანტისაზო-
გადოებრივი ქცევის დანაშაულებრივ გამოვლინებებზე.

ამრიგად, არასრულწლოვანთა დანაშაულის ადრეული პროფილაქტიკა
არის სპეციალური მოქმედება არასრულწლოვანის პიროვნების გამოსწორე-
ბისა და ხელახალი აღზრდისა, რომლის ქცევა გადახრილია საზოგადოებ-
რივი მორალური და სამართლებრივი ნორმებიდან, მაგრამ ჯერ არ გადაქ-
ცეულა დანაშაულად. იგი ჯერ კიდევ წარმოადგენს პიროვნების შედარე-
ბით ... ტ ასოციალურ დეფორმაციას. ადრეული პროფილაქტიკის ამოცანაა
აგრეთ... კრიმინოგენური ფაქტორების თავიდან აცილება.

Activate Windows

შრომა-გასწორების ფსიქოლოგია

შრომა-გასწორების ფსიქოლოგია. შრომა-გასწორების ფსიქოლოგია შეისწავლის ისეთ საკითხებს, როგორიცაა მსჯავრდებულის ხელახალი აღზრდა და რეაბილიტაცია, მათი პიროვნებისა და ფსიქიკურ პროცესთა შესწავლის მეთოდები, ჯგუფების, კოლექტივების და პიროვნებათაშორისი ურთიერთობანი სასჯელის აღსრულების ადგილებში. შრომა-გასწორების ფსიქოლოგიის ამოცანაა მსჯავრდებულის ფსიქოლოგიის შესწავლა, საზოგადოებისაგან იზოლაციის პირობებში მისი ფსიქოლოგიური და კრიმინალური დახასიათება, მისი დამოკიდებულება ბრალისადმი, დანაშაულისადმი, განაჩენისადმი, რეჟიმისადმი ადაპტაცია, ხელახალი აღზრდის სურვილის ტენდენციების გამოვლენა და განვითარება, ფორმალური და არაფორმალური ლიდერების წარმოქმნის და მოქმედების მექანიზმების დადგენა.

ისეთი მსჯავრდებულები, რომელთაც განმტკიცებული სოციალურ-ფსიქოლოგიური დეფექტები გააჩნიათ, საჭიროებენ მკაცრ კონტროლს, რომლის მიზანია ფიქსირებული ასოციალური განწყობის დარღვევა, სოციალურად მავნე კავშირების დიკვიდაცია და უარყოფითი სოციალური გამოცდილების (ჩვევების, ჩვეულებების) მოსპობა.

მსჯავრდებულთა სოციალურ-ფსიქოლოგიური ადაპტაცია ხდება ისეთი კომპლექსური ფაქტორების გავლენით, როგორიცაა დადებითი სოციალური ღირებულებითი ორიენტაციების შექმნა, შრომითი დადებითი მოტივაციის ფორმირება და ა.შ.

შრომა-გასწორების ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანაა მსჯავრდებულის პიროვნების შესწავლა. ხელახალი აღზრდის კომპლექსური აღმზრდელობითი მეთოდების გამოყენება ისე უნდა განხორციელდეს, რომ შეიქმნას თვითაღზრდის მოთხოვნილების ჩამოყალიბების შესაძლებლობა, რაც გააადვილებს აღზრდის ზოგადი მიზანდასახულობის რეალიზაციას.

ამგვარად, შრომა-გასწორების ფსიქოლოგია შეისწავლის შრომა-გასწორების დაწესებულებებში მსჯავრდებულთა ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს, მათი ხელახალი აღზრდის პირობებსა და მეთოდიკას. შრომა-გასწორების ფსიქოლოგია იყენებს ფსიქოლოგიური მეცნიერების სხვა დარგების მონაცემებს. ესაა ასაკობრივი და პედაგოგიური, სამედიცინო, შრომისა და საინჟინრო, ხელოვნების სოციალური ფსიქოლოგია.

ვ.კონოვალოვას მიხედვით შრომა-გასწორების ფსიქოლოგიის პრობლემები შეიძლება ასე დავაჯგუფოთ:

ა) მსჯავრდებულის ფსიქიკური სფეროს შეცვლის კანონზომიერებანი, მი-

სი ქცევის პიროვნული ნიშნები და მოტივები ჩაზოგადოებისაგან იზოლაციის პირობების გავლენით;

ბ) მსჯავრდებულებზე სასჯელის მორალური ზეგავლენის შესწავლა, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის გაცნობიერება მათი ადაპტაციის პირობების შესაქმნელად;

გ) მსჯავრდებულთა იმ ფსიქოლოგიური თავისებურებების შესწავლა, რომლებიც გაპირობებულია ასაკით, ყოფიერებისეული გამოცდილებით, ეროვნული მიკუთვნებულობით, კულტურის დონით, აღზრდის მეთოდებისა და მსჯავრდებულთა კოლექტივების ჩამოყალიბების გზით.

დ) პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების ჯგუფური და ინდივიდუალური ხერხების შემუშავება მსჯავრდებულთა ხელახალი აღზრდისა და რეაბილიტაციის მიზნით.

მსჯავრდებულთა კოლექტივი არსებითად განსხვავდება თავისუფალ ადამიანთა კოლექტივისაგან. მსჯავრდებულთა კოლექტივი იძულებითი ტიპისაა, ე.ი. ჩამოყალიბებულია ისეთი წევრებისაგან, რომლებიც აღნიშნულ კოლექტივში სასჯელის მისახდელად იძულებით იმყოფებიან. ასეთი კოლექტივების მოქმედება მკაცრადაა რეგლამენტირებული შრომა-გასწორების კანონმდებლობით, მათი ჩამოყალიბება და სპეციფიკა განპირობებულია შრომა-გასწორების დაწესებულებათა სპეციფიკით და დანიშნულებით.

დადგინდა, რომ მსჯავრდებულთა კოლექტივებში არის სამი ტიპის – ა) დადებითი, ბ) უარყოფითი და გ) ნეიტრალური ჯგუფები. დადებით ჯგუფებში ერთიანდებიან ისეთი მსჯავრდებულები, რომელთაც აქვთ მსგავსი სულიერი ინტერესები, გემოვნება და პირადი სიმპატიები. ყველა მათგანს აერთიანებს შრომისმოყვარეობა და ისინი კარგი შემსრულებლები არიან. ასეთი ჯგუფების ჩამოყალიბებას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

ნეიტრალური ჯგუფების შექმნის საფუძველია ეროვნული ნიშნები, მატერიალური და პროფესიული ინტერესები, ერთნაირი ბედ-იღბალი, ასაკი. ასეთი ჯგუფები არაა მტკიცე და ხანიერი. მათ არა აქვთ მტკიცე პრინციპები, არ ამღავნებენ ხელახალი აღზრდის მტკიცე სურვილს, რაც აღმზრდელობითი მუშაობის განხორციელების პროცესში დიდ სირთულეებს ქმნის.

უარყოფითი ჯგუფების შექმნის საფუძველია მათი წევრების ნეგატიური დამოკიდებულება და აქტიური წინააღმდეგობა ყოველგვარი საალმზრდელო ღონისძიებისადმი. მათი დამახასიათებელი ნიშნებია: აწეული თვითშეფასება, საკუთარი "ღირსების გრძნობის" გადაჭარბება, რეჟიმის

Activate Windows

მუდმივად დარღვევისა და კონფლიქტური სიტუაციების შექმნის ტენდენცია. აღნიშნულ ჯგუფებში არის უარყოფითი დიდერები. პედაგოგები და ფსიქოლოგები აღნიშნულ ჯგუფებში უპირატესობას აძლევენ ხელახალი აღზრდის ინდივიდუალური მეთოდების გამოყენებას.

მსჯავრდებულთა ხელახალი აღზრდა და გამოსწორება რთული და ხანგრძლივი პროცესია. სასჯელის მოხდის ადგილებში ძირითადათ ხვდებიან ისეთი ადამიანები, როელთაც დაფიქსირებული აქვთ ქცევის მტკიცე ასოციალური სტერეოტიპები და განწყობები. ასეთ პირთა აღზრდის საბოლოო შედეგები ყოველთვის არაა დადებითი და სასურველი. გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის მაჩვენებელია ისეთი ძირითადი ნიშანი, როგორიცაა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომითი საქმიანობის დაწყების შესაძლებლობა და ასოციალური ქცევის რეციდივის არსებობა.

მსჯავრდებულთა პიროვნებას ყოფენ რამდენიმე ტიპად: (ა.კოვალიოვი):

1) ღრმა დამნაშავე ტიპი, რომელიც ხასიათდება თავისი ასოციალურობით, შრომისადმი და სხვა ადამიანებისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით. მას ვერ წარმოუდგენია არსებობა დანაშაულის ჩადენის გარეშე.

2) პარციალური ანუ ნაწილობრივ კრიმინალური ტიპი, რომლის პიროვნებაში შეიძლება ერთდროულად იყოს ნორმალური სოციალური და დამნაშავის ნიშან-თვისებები. პარციალურ ტიპებს შეიძლება ჰქონდეთ კეთილი ზრახვები, მეტობრები, ესთეტიკური მიდრეკილებანი, მაგრამ ამასთანავე სისტემატურად ჩადიან დანაშაულს. პრაქტიკამ უჩვენა, რომ პარციალური ტიპები ძირითადათ ქურდები და სახელმწიფო და პირადი ქონების დამტაცებლები არიან.

3) წინარეკრიმინალური ტიპი, რომელიც ხასიათდება ისეთი ნიშნებით, როგორიცაა მაღალი ემოციური აგზნებადობა და სუსტი თვითფლობა, რაც კონფლიქტური სიტუაციების შექმნისა და დანაშაულის საფუძველი ხდება. ასეთი ტიპები მოქმედებენ ძლიერი ემოციური აგზნებულობის ნიადაგზე და ძირითადად არიან ხულიგნები, მძიმე სხეულებრივი დაზიანების მიმყენებლები და მკვლელები ძლიერი სულიერი აღელვების ნიადაგზე. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპები თავიანთი დანაშაულებრივი ქცევის მოტივად ასახელებენ საკუთარი ან ახლობლების ინტერესების დაცვას.

განსაზღვრული ცხოვრებისეული პირობების ტავლენით ყოველ ადამიანს უმუშავდება გარეგან ფაქტორებზე ზემოქმედების მყარი სისტემა და ყალიბდება დინამიური სტერეოტიპი. ქურდს, მძარცველს, ყაჩაღს, ხულიგანს და ა.შ. დანაშაულებრივი ქცევების ხშირი განმეორების შემთხვე-

ვაში უმუშავდება თავისებური ჩვევები და ჩვეულებები, დანაშაულებრივი ქცევის დინამიური სტერეოტიპი, რომლის დარღვევაც აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარების საშუალებით მეტად ძნელია და ყოველთვის ვერ იძლევა დადებით შედეგებს.

ხელახალი აღზრდის მიზნით დამნაშავის პიროვნებაზე ზემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია შრომა. დამნაშავეებს შრომისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ, რის გამოც მათ შრომითი ჩვეულებებიც არ აქვთ შემუშავებული. მათთვის შრომა არ წარმოადგენს არსებობის საშუალებას.

ა.დულოვის მიხედვით აღმზრდელობითი მუშაობა შრომა-გასწორების დაწესებულებაში შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

1) ყოველი კონკრეტული პიროვნების შესწავლა; 2) მსჯავრდებულთა ცალკეული ჯგუფების შექმნა, რომლისგანაც შემდგომში ჩამოყალიბდება კოლექტივი; 3) მსჯავრდებულთა ჯგუფებზე და თვითეულ წევრზე რეჟიმული და შრომითი ზემოქმედება, უარყოფითი სოციალური დეფექტების დიკვიდაცია და დადებითი თვისებების აღზრდა; 4) ცალკეული მსჯავრდებულის ინტელექტუალური, ნებელობითი, ეთიკური და ესთეტიკური ღონის ამაღლების მუდმივმოქმედი ღონისძიებების გატარება; 5) მსჯავრდებულთა მომზადება თავისუფალი ცხოვრებისათვის.

შრომა-გასწორების დაწესებულებებში აღმზრდელობითი მუშაობის მყარი ორიენტირია წარსულისადმი უარყოფითი დამოკიდებულების შექმნა ჩადენილ ქმედებაში დანაშაულის გრძნობისა და სინანულის გამომუშავება, შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობისადმი ინტერესების გაჩენა, იმ უარყოფითი თვისებების შეცვლის სურვილი, რომლებმაც პიროვნება დანაშაულამდე მიიყვანეს და გათავისუფლების შემდგომი ცხოვრებისეული პერსპექტივების კონტურების შექმნა.

მსჯავრდებულის ფსიქიკური მდგომარეობის შეცვლა დამოკიდებულია სასჯელის მოხდის ადგილებში ყოფნის პერიოდების ხანგრძლივობაზე. ა.დულოვი გამოყოფს ოთხ პერიოდს:

1) ადაპტაციის პერიოდი, პირველი ოთხი თვე, როცა ხდება რეჟიმული ცხოვრების ახალ პირობებთან შეგუება. ეს ძნელი პერიოდია, როცა მსჯავრდებულებს განსაკუთრებით უჭირთ. ამ პერიოდში ზოგიერთი მსჯავრდებულს აღენიშნება აწეული აგზნებადობა, ხოლო ზოგიერთს პირიქით – დაჩაგრულობისა და გულდამძიმებულობის განცდა. ყოველივე ეს იწვევს უარყოფით რეაქციებს, აგრესიულობას, იმპულსურობას, რაც ხშირად რეჟიმის დარღვევის მიზეზი ხდება. შრომა-გასწორების დაწესებულებების აღმზრდელებმა ამ პერიოდში მსჯავრდებულების მიმართ განსაკუთრე-

Activate Windows

ბული მოთმინება და ტაქტი უნდა გამოიჩინონ.

2) ცხოვრების ახალი პირობებისადმი ინტერესის განვითარების პერიოდი, რომელიც დაკავშირებულია დადებითი ემოციების გაჩენასთან. ამის მიზები შეიძლება იყოს მიკროჯგუფის შექმნა, მსჯავრდებულთა კოლექტივების ცხოვრებაში მონაწილეობის დაწყება, სამუშაო, კულტურული დასვენება, სწავლა, ნათესავები, პაემანი და სხვა.

3) გარეგანი ზემოქმედების თვითაღზრდასთან შერწყმა. ეს ის პერიოდია, როცა თვითაღზრდისადმი მზადდება ფსიქოლოგიური წინამძღვრები, როცა მსჯავრდებულის პიროვნებაში ჩნდება მონანიების ნიშნები. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია ღირებულებების გადაფასება და მსოფლმხედველობის შეცვლა.

4) გათავისუფლების წინარე პერიოდი. გათავისუფლების ღირი ხშირად მძიმედ განიცდება. ეს მოლოდინი ბადებს აგზნებულობას. აღმზრდელ-ფსიქოლოგთა ვალია განთავისუფლების მომლოდინე მსჯავრდებულს ნათელ ფერებში დაუხატოს მომავალი თავისუფალი ცხოვრება, ოჯახთან შეხვედრა და შრომითი საქმიანობის დაწყება.

შრომა-გასწორების დაწესებულებებში ერთ-ერთი ცენტრალური სპეციფიკური საალმზრდელო ღონისძიებაა რეჟიმი, რომლის დანიშნულება და ფუნქციაა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

ა) რეჟიმი არის მსჯავრდებულთა სოციალური კონტროლის განხორციელების საშუალება, რომელიც გულისხმობს ხელახალი აღზრდის პროცესში შრომითი მოქმედების, ურთიერთობათა და სწავლების სისტემის სპეციფიკურ მიმდინარეობას.

ბ) რეჟიმი არის მსჯავრდებულის პიროვნების მოთხოვნილება სისტემის დეფექტების შეზღუდვისა და გამოსწორების საშუალება. უმეტეს შემთხვევაში მსჯავრდებულთა მოთხოვნილებები მატერიალური, მომხმარებლური და უტილიტარულია. მსჯავრდებულების აღნიშნული სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხერხები და ფორმები ამორალურ, გაუკუღმართებულ და სოციალურად საშიშ ხასიათს იღებს. მოთხოვნილებები განსაზღვრავენ ქცევის მოტივაციურ მხარეს, რის გამოც ასოციალური მოთხოვნილებანი ბადებენ ასოციალურ მოტივებს, რომლებიც შემდეგ ასოციალურ ქცევებში ნახულობენ რეალიზაციას. სასჯელის მოხდა არის რეჟიმის საშუალებით მოთხოვნილებათა სისტემის ფორმირებაც. რეჟიმი ზღუდავს ბევრ ასოციალურ მოთხოვნილებას და ასპარეზს აძლევს დადებითი მოთხოვნილებების ფორმირებას.

გ) რეჟიმი არის მსჯავრდებულთა შორის დისციპლინის აღზრდის საშუალება.

დ) რეჟიმი არის ქცევის ახალი სტერეოტიპის შექმნის პირობა. რეჟიმი ხელს უწყობს უარყოფითი სტერეოტიპების რღვევას და საშუალებას იძლევა დაცული იქნას წინასწორობა აგზნებისა და შეკავების პროცესებს შორის.

მსჯავრდებულთა კოლექტივზე ზემოქმედების ფსიქოლოგიური მეთოდებია:

ა) დარწმუნების მეთოდი. ეს მეთოდი რეალიზდება მსჯავრდებულთან ინდივიდუალურ საუბრებში. მისი მიზანია მსჯავრდებულმა შეიგნოს ჩადენილი დანაშაული და გაიღვიძოს სინდისის ტრძნობამ.

ბ) ფსიქიკური ურთიერთობის რეგულაციის მეთოდი. ეს მეთოდი გამოიყენება მაშინ, როცა აღმზრდელი რეგულაციას და კონტროლს უწევს მსჯავრდებულის ურთიერთობას კოლონიის ნებისმიერ წევრთან და სხვა პატიმრებთან ფსიქოლოგიური ურთიერთობებისა და კონტაქტების დამყარების პროცესში.

გ) შთაგონების მეთოდი. ეს მეთოდი დამყარებულია აღმზრდელის ავტორიტეტზე. თუ აღმზრდელი მსჯავრდებულში არ სარგებლობს სიმპატიებით, მაშინ მისი სულიერი და აღმზრდელობითი შეგონებანი ფუჭია.

Activate Windows